სახლში არ გაიცემა

# მ ნ ა თ ო ბ ი

სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

## 1871

ა პ რ ი ლ ი.

ჩვენ უნდა ვშობოდ ჩვენი მყობადი.
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

***

არც კაცი კარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა
ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არარა
არგოს...

ნ. ბარათაშვილი.

თფილისი
დუბელირის (გ.. წერეთლის და ამხ.) სტამბა.
1871.

Дозволено цензурою, Тифлисъ 30 Апрѣля 1871 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი-მოურავი

ტრაგედია

(დასასრული).

## მოქმედება 4

### სურათი 1

#### სცენა 1.

სცენა წარმოებს ტაბახმელას, სადაც სდგას თეიმურაზ I ქართლ-კახეთის ჯარებითა. თეიმურაზისას არიან შეყრილნი ზოგიერთი თავადები.

მეფე თეიმურაზ.

რა ჰქნეს, სხვები სად არიან? დრო არის, რომ ახლა ომის საქმე გადავწყვიტოთ. ამოდენა აურაცხელი ჯარი ჯერ საქართველოს არ მოსდგომია, და თუ დროთი არა ვარჩიეთ რა და ვიღონეთ, მაშინ საქართველოზე უბედური ქვეყანა დედამიწის ზურგზედ აღარ იქნება. ამქვინჯებული თათრები ყორჩიხანისა და ფეიქარხანის ჯარს ცუდად იურიან საქართველოზედ.

ნოდარ ჯორჯაძე.

ყველანი მალე მოვლენ. მაგრამ მანამ ყველანი შეიკრიბებოდნენ, საჭიროა ეხლავე გადავწყვიტოთ აქ მყოფთა, რომ მეფის გარდა არავის არ უნდა ჩაჰბარდეს მთლად ჯარების გამგეობა ომის დროს. არიან ჩვენში დღეს ბევრნი, რომელთაც ჰსურთ, რომ სხვა სარდლებს ჩაჰბარდეთ ჯარების გამგეობა, მაგრამ მე მომეტებული ნაწილის აზრს მოგახსენებთ, რომ მეფე უნდა იყვეს გამგე სრულიად ომისა.

ზურაბ ერისთავი.

ვითომც ზოგნი ამობენ, რომ რაკი მოურავს სახელი აქვს, იმას ჩაჰბარდეს ომის გამგეობა. მაგრამ ვაითუ თავი არ დაუდონ ზოგიერთა დიდებულთ.

მელიქ ათაბაგი.

ნეტა რა ვქნა! რა გაგვიხდა ე მოურავი, რომ იმისი ბადალი აღარც მეფეა საქართველოში და აღარც დიდებულნი! ვაჰო, ვინ არის იმაზედ ნაკლები ვაჟკაცი. პირში ქებით არ გეტყვი, ზურაბ, და შენ რა იმაზედ ნაკლები ხარ. ვინც შენ გიცნობს ყველა იმას გეტყვის, რომ ვაჟკაცად, თუ უკეთესი არა, ნაკლები არა ხარ იმაზედ,—და გვარიშვილობა შენი კიდევ მეტია.

ბაადურ ციციშვილი.

ვაჟკაცად მრავალნი ვართ გათქმულნი და ქვეყნისთვის თავდადებულნიცა, აი, თუნდა ბატონი ბარათ, დღეს ჩვენში უკეთესი სარდალი არ არის: სახელიც დიდი აქვს და ძალაც. რასაკვირველია, ბატონი ჩვენი, მეფე თეიმურაზ, თავისის ვაჟკაცობით ყოველგნით გათქმულია და ომის გამგეობაც მაგათი უპრიანია. მაგრამ, ბატონებო, ნუ დავივიწყებთ, რა დღეც არის ჩვენთვის ეს დღე. ჩვენი თვითვეული საქმე ასჯერ უნდა იყვეს აწონილი და მერე დაწყობილი. წეღან ბატონმა მეფემაც ბრძანა, რომ ამოდენა ჯარი ჯერ საქართველოს არ მოსდგომია; და თუ ახლა საქართველო დამარცხდა, ქვას ქვაზედ

აღარ გაუშვებენ თათრები. პირფერობა, თავმოყვარეობა, დიდობა და პატარაობა, გვარიშვილობა და უგვარობა უნდა გადავდოთ. ეხლა ერთი უნდა გვქონდეს ფიქრად, რომ დამარცხდეს მტერი. ამოდენა მტერის დამარცხება ჩვენში არავის შეუძლიან მოურავის მეტს. მე არა ვარ მეგობარი და არც მოყვარე მოურავისა, მაგრამ დღეს, ვალი მაწვევს, რომ სწორეთ ვსთქვა: ეხლა ბედი და უბედობა საქართველოსი ჩვენზედ არის დამოკიდებული. იქნება მოურავზედ ნაკლები ვაჟკაცნი არ იყვნენ აქ, მაგრამ, უნდა გავსტყდეთ, რომ მოურავის ოდენა საქმე ჩვენში არავის უქნია. იმისი სახელი არა თუ მარტო საქართველოში და სპარსეთში,—ინდოეთში, საოსმალოში და თვით ხონთქრის კარამდინ არის მისული. ვინ არის ეხლა ჩვენში იმისთანა, რომ ქართველი მდაბიო გული მიენდობოდეს და ერთის თავით სახელით ერთი ორად მიუმატოს გული და ძალა? ვინ არის ისეთი, რომ ერთის თვისის დანახვებით მოურავივით შიშის ზარს დასცემდეს მტერს? ამისგამო იმედი მაქვს მეფე არ მიწყენს, რათგან საქვეყნო საქმეა,— მე ვფიქრობ, რომ ომის გამგეობა უნდა მივცეთ მოურავს, თუ გვინდა, რომ ქვეყანა არ დაიღუპოს.

### ედიშერ ჩოლოყაშვილი.

ახლა რომ მეფეს დარჩება გამარჯვება, მაგაზედ ეჭვი არ არის. კვლავ უფრო ცოტა ჯარებით გაგვიმარჯვნია, და ეხლა მთელი ქართლი და კახეთი ერთად ვართ შეყრილნი და როგორ შეუძლიანთ თათრებს, რომ გაგვიძლონ. ყორჩიხანის ომში სულ არ ვიყავით ორი ათასი კაცი, მაგრამ ქვა-ქვაზედაც აღარ გაუშვით და სხვა დროსაც ესევე ამბავი დაგვიყენებია თათრებისთვის. ეს არის მიზეზი რომ არ გვინდა, რომ მოურავს ჩაჰბარდეს ახლა ჯარების გამგეობა. თორემ, თუ ეხლაც მოურავს დარჩა გამარჯვება, მაშინ იმის ბატონობას უფრო ვეღარავინ აუვა. თავად ეხლა ისეთი აზვავებულია, რომ მთელს საქართველოს როგორც უნდა ისე აბრუნებს.

მელიქი.

აბა, მეც მანდა ვარ. მადლობა ღმერთს, რომ კახელებსაც კი შეგინიშნავთ ეგ. აბა კახელები რომ მაგას ამბობთ, ჩვენ, ქართლელებმა, რა უნდა ვქნათ!?.. თქვენმა მზემ ისე აზვავებულია და ისე არად გვაგდებს, როგორც ერთს ვისმე უკანასკნელს. არა თუ სხვანი, თვით მრავალი ჩემი სახლის კაცები და ბარათაანიც ისე უყურებენ მაგას, როგორც მეფეს. ეხლა რომ მაგაებს სჩადის, ღმერთმა ნუ ჰქნას და ეს გამარჯვებაც მაგას დარჩეს, მაშინ თქვენმა მზემ, იქნება თვით ჩემმავე ძმებმა მიუტანონ და დაადგან საკაძეს საქართველოს მეფის გვირგვინი.

შადიმან ბარათაშვილი.

ბატონო! ამოდენა ჯარების დაწყობა და ქვეყნის ცოდო, რომ მაგას მოვახვიოთ, რა ვიცით, რომ არ აიღებს თავისის ხელით და არ მიგვცემს ურჯულოებს ხელში. მე შენ მოგახსენო დაჩვეული არ არის. ყეენი დაჰპირდებოდა რასმე წყალობას, და ახლა ადგება და ყეენს მიუდგება. ჯარების გამგე ამისთანა გაჭირვების დღეს უნდა იყოს სანდო კაცი. მითხარით როგორ მივენდვნეთ მაგისთანა გოროზს კაცს, რომელიც დღეს ჩვენია, ხვალ თქვენი, თავისი და სხვისა არ გაარჩნია, დიდსა და პატარას ერთს ტომარაში სტენს. კაცი რომ მეფეებს არაფრად აგდებდეს—ვინ უნდა მიენდოს იმისთანა კაცს.

ბაადურ ციციშვილი.

შადიმან! მე დიდი პატივის მცემელი გახლავარ თქვენი, მაგრამ სწორედ თქმა მიყვარს. სხვამ რაც უნდა სთქვას მოურავზედ,—შენ ხმა არ ამოგელება და არც არა დაგეჯერება რა.

შადიმან.

მე ხომ მარტო არ მოგახსენებ. აი ამოდენა საპატიო და დიდებულნი სულ მაგას სჩივიან.

დავით ასლანიშვილი.

მოურავს ეკუთვნის ჯარების გამგეობა, მაგრამ იმას ბევრნი თავს

არ დაუდებენ. ცხადად ვიცი, რომ ბევრი თაკილობენ მაგის უმფროსობას. თქვენ რასა ბრძანებთ, ზურაბ ერისთავო?

ზურაბ.

მე რა უნდა მოგახსენო? მეფე ბძანდება ჩემი სიმამრი და მოურავი—სიძე. მეფე არის— მეფე და ჩემი ბატონი, მოურავი—გამზრდელი. მაგრამ, სწორედ მოგახსენოთ, გამგეობა ამისთანა დღეს—მეფეს ეკუთვნის... ვაი თუ მართლა რომ მოურავს დარჩეს გამარჯვება, უფრო თავში აიწიოს და საქართველოში არეულობა მოხდეს. თუ აქამდინ მოურავის ოდნობას ვერავინ სჩადიოდა, იმიტომ რომ არავის აცლიდა და არცარა ვისა ჰქონია იმისთანა დრო.

მეფე თემურაზ.

სწორედ, რომ მოურავს არ უნდა დარჩეს ეგ გამარჯვება. მაშინ, უნდა გითხრათ, რომ მე მეფობა აღარ შემიძლიან. არავისი აზრი არ მოსწონს, სუყველას თითონ გისრულობს. თუნდა რომ არ გინდოდეს იმისი სიტყვის დაჯერება ძალათი დაგაჯერებს. უნდა გაგიტყდეთ ამოდენა ქართლ-კახეთის საპატიო კაცის შვილთა, რომ თვით მეც არაფრად მაგდებს, და რაც იმისი სურვილია, სულ ის უნდა რომ შევასრულო. ამასთან, ის კაცი, რომელმაც თავისი სიძე და მეფე არ დაინდო, მე სანდოდ არ მიმაჩნია. მეფის ლუარსაბის სისხლი არ ასვენებს მაგას.

შადიმან.

ჭეშმარიტად, რომ მეფის გარდა ჯარების გამგეობა არავის ეკუთვნის; ვაჟკაცათაც მეფე სჯობიან მოურავს და გამგეობაც უკეთ უწყის, ქვეყანისაც უფრო მაგაზედა აქვს გული, და გამარჯვებაც მეფისა უნდა იყვეს და არა მოხნისა. მეფის ლუარსაბის სისხლის დამღვრელი ვიღას დაინდობს, თქვენი ჭირიმე... ვაი! უმანკო სისხლო მეფისავ... (ოხრავს და თვალებს იწმედს).

ხოსია ბარათაშვილი.

ბატონო! ჯერ ერთი უნდა ჰნახოთ სულ რა კაცები ჰყავს

მაგას გამორჩეული: ერთი რიგიანის ოჯახიდამ არავინ არის: შაშუნა ჩივაძეო, შაშუნა ვაშყაშვილიო, გიორგი ქავთარაძეო, თამაზ ქარსიძეო, ელია დიასამიძეო! და სულ ამისთანა მინაყარ-მონაყარნი. ეგ საქართველოს საპატიო კაცისთვის კარგს რათ მოინდომებს.

ედიშერ ჩოლაყაშვილი.

მეფემ უნდა განაგოს ჯარები, სხვას არავის არ შეუძლიან.

მრავალნი.

მეფემ! მეფემ!..

ზარათა.

აგერ მოურავიც მოდის. აბა ჭნახავთ ეხლა რჩევა რომ შეგვექნება—ის რაებს იტყვის. თავის დღეში ნუ იფიქრებთ, რომ ერთხელ ისა სთქვას, რასაც სხვები ამბობენ, და იმ ნაირად კი დაიწყებს ლაპარაკს, რომ თითქო ამის მეტს სხვას არავის რა ეყურებოდესო. (შემოდიან მოურავი, მანუჩარ ათაბაგი, თეიმურაზ მუხრან-ბატონი, ქაიხოსრო მუხრან ბატონი, იასე ქსნის ერისთავი და სხვა მრავალი საპატიო კაცისშვილნი).

მეფე თეიმურაზ. (მიეგებება ათაბაგს და მოურავს).

მობრძანდი, ბატონო ათაბაგო! მობრძანდი, ჩემო ძვირფასო გიორგი!... მობრძანდით, დიდებულნო. აი ეს არის ეხლა თქვენს ხსენებაში ვიყავით. ჩვენ გვქონდა ლაპარაკი ომის დაწყობილებაზედ· დიდებულთ ისურვეს, რომ ომის დამწყობი მე ვიყო და მეც ვიკისრე.

იასე ქსნის ერისთავი.

ჩვენ ამ რჩევაში რომ...

მრავალნი (გააწყვეტინებენ).

სსსუ! სსს!

ქაიხოსრო მუხრ. ბატ.

ჩვენც სამარტი...

მრავალნი.

ხსს!... რა დროსია... რა დროსია!..

მეფე თეიმურაზ.

ახლა ჩვენ ყველამ უნდა ვარჩიოთ, თუ როგორ დავაწყოთ: იქ მივიდეთ, თუ აქ მოუცადოთ. მე ვგონებ, რომ იქ მისვლა უნდა სჯობდეს. იქ რომ შეიუხდეთ, თათრები ვერ არიან კარგის გულისა და უფრო შეშინდებიან. ჩემი აზრი ეგ გახლავთ და თუ უკეთესს ვინმე იტყვის, მეც დავუაბულდები.

მოურავი.

რა საკვირველია, მეფეო, ამოდენა ჯარების გამგეობა უფრო არავის ეკუთვნის, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ამოდენა ჯარი, თითქმის, არა ოდეს არ დასხმია საქართველოს, და აქ არიან საუკეთესო სპარსთა სარდლები: ხოსრო მირზა, ისაკ-ხანი, ერევნის ბეგლარ-ბეგი და სხვანი.

ბარათა ბარათაშვილი.

დიახ, ბატონო მოურავო, ეგ ყველაფერი მოსაზრა მეფემ და ჩვენ ყველას თხოვნით იცისრა ჯარების გამგეობა ომის დროს. ამაზედ ლაპარაკი ახლა აღარ გამოდგება, ახლა ის უნდა დავიწყოთ: სად მოხდება ომი: ჩაუხტეთ ალგეთზედ, თუ აქ მოუცადოთ. ჩემის აზრით აქ მოცდა არ იქნება იმიტომ რომ რაკი ისინი შეიტყობენ, რომ აქ ამოდენა ქართველობა ვართ შეყრილნი, ჩვენზედ მოსვლას თავის დღეში ვერ გაჰბედავენ, და იქ დგომას არას ინაღვლიან, რათგან საძალი ბლომათა აქვთ... ამისთვის მე ვფიქრობ, რომ იქ უნდა ჩაუხდეთ.

ედიშერ ჩოლაყაშვილი.

სწორედ, რომ იქ უნდა ჩაუხდეთ. ისეც დიდი ხანია აქა ვდგევართ უომრად. კახლები მოუთმენლად თხოულობენ ომს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოურავი.

ბატონებო, თუ ჩემს აზრს მოისმენთ, მე მოგახსენებთ, მინდორზე ჩასვლით დავიღუპებით. მართალია ასე ერთად შეერილნი არიან საქართველოს ხალხი დიდი ხანია არა ყოფილა, მაგრამ, როგორც წეღანაც გსთქვი, ამოდენა ჯარიც, მერე ასეთის კარგის სარდლებით დიდი ხანია საქართველოს არ მოსდგომია: ჩვენი ჯარი იმათთან ისე არაფრად გამოჩნდება, როგორც ერთი კაცი ას კაცთან. ამას გარდა ჩვენ აქ გვიჭირავს კარგი მაგარი ადგილები, ასე რომ ამაზედ ცოტანიც რომვიყვნეთ—ფიქრი არა გვაქვს. იქ კი თათრებს უჭირავთ მაგარი ადგილები, და თუ იქ ჩაუხდით, ისე ჯარებით არ გაგვიჭირებენ საქმეს, როგორც სიმაგრეებით. მეორეც ესა, სადაც თათრები სდგანან არის საშინელი ფიცხი ადგილები. ჩვენი ჯარი თითქმის ნახევარი სულ მთის ხალხია და სიცხეს არ არიან დაჩვეულნი. იქ რომ ჩაუხდეთ, რაც უნდა გულადად მივიდეთ, თუ პატარას ხანს გაგვიმაგრდნენ, იმ სიცხეში, არა თუ ჩვენი მთის ხალხი და თვით ბაკელებიც ვერ შესძლებენ ომს. თათრებს კი, არა თუ მაგისთანა სიცხეს, და მაგაზედ უარესს სიცხეშიაც არა უჭირთ რა, რადგან თვითონ ფიცხი ადგილისა და ცხელი ქვეყნის შვილები არიან. აი, ბატონებო, ამისთვის მოგახსენებთ, რომ იქ ჩასვლით დავიღუპებით მეთქი. თუ გვინდა გამარჯვება და ქვეყნის აოხრებიდამ გადარჩენა—ჩვენ აქედამ არ უნდა დავიძრათ.

ზურაბ არაგვის ერისთავი.

ეგ ყველაფერი რაც მოურავმა ბრძანა ჭკუაზედ ახლოა, მაგრამ ძნელი ეს არის, რომ თათრებს ზღვათა აუარებელი საგძალი მოსდით და რა კი იციან, რომ ჩვენ აქ მაგარი ადგილები გვიჭირავს და ერთობ ქართველები ვართ შეერილი, არას დროს ადგილიდამ არ დაიძვრიან. ამისთვის იქ გვირჩევნია ჩახდომა.

ბაადურ ციციშვილი

თუ არ მოვლენ აქ, და მაშინ ჩვენც აქ ვიდგეთ, მინამ აგრილდებოდეს. თუ კი ეგენი სხვის ქვეყანაში თავს შეინახავენ, დავიჯეროთ ჩვენ ჩვენს ქვეყანაში თავს ვერ შევინახავთ! რაკი აგრილდება, მაშინ

როგორც იქნება შევძლებთ იქ ბრძოლას. მანამდინ ჩვენ წვრილის თარეშებით ვაწუხოთ ისინი, ვტაცოთ საგძალი, შეუკრათ გზები, წყ-ლები, და ამითი კიდეც შევასუსტებთ, ან არა და მეტი ღონე არ ექ-ნებათ, რომ აქ არ მოვიდნენ. იქ მისვლა კი იმ სიცხეში ჩვენ ხეირს არ დაგვაყრის.

ბარათა.

ვისაც სამღრთო უნდოდა ცხვარი იძახდა, ვისაც გაძღომა—გამ-ბეჩსაო. ვაყო! თუ ომია—ვიომოთ, თუ არა და ამოდენა ხალხს ოხ-რად უყრიათ ცოლშვილი—რაზედ ვაცდენთ თავის სახლს-კარსა! მე მომისხენებია, რომ თუ ეხლა ომი არ მოხდა, აღარც ერთი ბარათა შვილი არ დადგება აქ თავისის ყმით და ყველანი წავლენ შინ თავის ცოლშვილის მისაპატრონებლად... თუ სიცხის ფიქრი გვაქვს, რა უგუ-ნურები უნდა ვიყვნეთ, რომ სიცხეში შევებათ. მანამდინ დაცხება, მა-ნამდინ გაქცეულებიც უნდა გვეყარნენ.

მოურავი.

მე მაინც კიდევ მოგახსენებთ, რომ იქ ჩასხდომა არ გვიჯობს. მარტო ვაჟკაცობა და ომის სურვილი არას გახდება. ამისთანა დროში ოსტატობა და მოთმინება არის პირველი გამმარჯვებელი. უწინ თუ გაუმარჯვნიათ ქართველებს მცირეთი მრავალზედ, იმიტომ რომ სიმარ-ჯვე ჰქონიათ. ეხლა კი ჩვენ იქ ჩასხდომით არავითარი სიმარჯვე არა მიგვიძლევის რა.

მეფე.

თქვენ რაღასა ბძანებთ, ბედნიერო სტუმარო, ბატონო მანუჩარ?

მანუჩარ ათაბაგი.

მე ყოველთვის ისე გახლავართ ჩემის მეხსებით ომს ჩვეული, რომ რა წამს ჯარს შევყრი, მაშინვე შევებრძვი მტერს: ჯარი თუ დიდს ხანს უომრად დგას—გული უხდება. თუ სხვა არა გაბრკოლებთ რა, დგომას—ომი სჯობია.

მეფე.

ყველანი თითქმის ომის მსურველნი არიან. მაშ ბატონო, შუაღამემდინ უნდა ავმაღლოთ ჯვრები, რომ გათენებამდინ გაგცეულებიცა გვეყანდნენ თათრები. (ყველანი აიშლებიან და გადიან.)

## სცენა II.

სცენა წარმოებს მარაბდის მინდვრებზედ. სცენაზედ შემოდიან ორმოცამდინ ქართველები, სისხლში მოსვრილნი და ქანც-მოწყვეტილები. ისინი უმღურად ეყრებიან წყლის პირას და წყალში ჰყოფენ თავს, ზოგი ზედისხამს წყალს, ზოგნი კი ტანისამოსიანად ცვივიან წყალში.

1 მხედარი.

ჰა ჰა ჰა! დაგვხოცა ამ ოხერმა სიცხემ... გაიმუსრა, გაიმუსრა ამოდენა ქართველობა... სიცხისაგან როგორ თავზრუ ესხმოდათ და გულთ უღონდებოდათ... არაგველები!... ჰა ჰა ჰა! ნახევარზედ მეტი სულ გაიმუსრა... ახლა მარტო მოურავისა და ბარათას მეტი აღარავინ იბრძვის... თუ ისინი არა, აქამდინ სულ ტაბახმელამდინ აგვრეკავდნენ.

2 მხედარი.

ვაჲო! ყათლანი მეტი იქნება: ცხრა ძმა ხერხეულიძენი ესე ერთ ადგილას დაიხოცნენ და ერთს ადგილასა ჰყრიან... სიცხემ დაგვღუპა, შმავ, სიცხემ, თორემ, თავი არ მამიკვდება, ასე არ წავსდებოდით.

3 მხედარი.

სიცხემ, თავი არ მამიკვდება... ხუთჯერ ჩავიჩოქე სიცხისგან... ცალკე მზის ღუღი, ცალკე ამოდენა ხალხი ერთად, ახლა თოფ-

ზარბაზნის კორიანტელი... ი ურჯულოები დაჩვეულები არიან და არც კი ეტყობათ.

4 მხედარი

რა შეეტყობა, ძმავ! ისინი ბევრნი იყვნენ: ერთი ხელობა რომ ერთი ჯარი იომებდა და გავაქცევდით, მერე სხვა დასვენებულები ჩამოდიოდნენ. მოდი და შენ გაუძელ ამოდენა ჯარს ამისთანა სიცხეში. ხომ ჰხედავ ქვეყანა იწვის ამისთანა სიცხით.

5 მხედარი.

დაიღუპა ახლა ქვეყანა, თუ ბარათამ და მოურავმაც არა უშველეს რა. მთლად მთის ხალხი სულ გასწყდა... ბაადურ ციციშვილს ჯერ სამჯერ შესწუხებია გული... მოვა ჩაწვება წყალში და გადაერევა ისევ მტერში... ახლა მარტო მოურავისა და ბარათას ჯარები და იბრძვიან... ქვეყანა იღუპება და მკვე დადის და დაჭრილებსა სცემს ნუგეშს ...რა დროს დაჭრილებია—დაწყობილებს და გამხნევება უნდა ჯარებს...

(შემოდის მრავალი ხალხი და შემოჰყავთ მოკლული თეიმურაზ მუხრანბატონი და სხვები).

ქაიხოსრო მუხრ. ბატ.

ჩაასვენეთ წყალში... იქნება მოსურიელდეს. (უშვებენ წყალში). ძმაო თეიმურაზ! შენი ჭირიმე! თეიმურაზ! მოიხედე... გაამხნევე შენი ქართველები... ამისთანა დროს როგორა მტყუნობ შენს საყვარელს ქვეყანას...

(შემოდიან სცენაზედ რამდენიმე თავად-აზნაურნი და გლეხნი მთლად სისხლში მოსვრილნი. ამათ შემოჰყავთ მძიმედ დაჭრილი ზურაბ ერისთავი).

რამდენიმე ახლად შემოსულნი.

უშველეთ თავს! სულ გაიმუსრა ქვეყანა... მთელი ქართველობა გამორბის და ურჯულოები მოსდევენ უწყალოდ ჟლეტით. (ყველანი აიშლებიან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ერისთავი.

გამიშვით აქ მოვკვდე... აქ დავიხოცნეთ ყველანი.. დავიხოცნეთ— შენ მისვლას ის გვირჩევნია... რა პირით უნდა შევხვდოთ ქვეყანას!.. დადექით, ძმებო, და დავიხოცნეთ ვაჟკაცურად... (ისმის მახლობლად არეულობისა და ყიჟინის ხმა. სცენაზედ მეომნი შეიკრეფენ ღონეს, გაიტაცებენ მკვდარს თეიმურაზ მუხრან ბატონს).

ზურაბ ერისთავი (რომელსაც მიათრევენ მხედარნი).

გამიშვით აქ მოვკვდე... (მიჰყავთ). ვაიმე, ვაი ქვეყანავ დაღუპულო!... (შემორბიან სცენაზედ მწარედ დაღალული და ქანცმოწყვეტილი ჯარები. ზოგს სიცხისა და დაღალვისაგან აღარ შეუძლიანთ სირბილი და ისე ტანისამოსიანად წვებიან წყალში, ზოგნი ეცემიან გზა-გზა და ჯარები გადადიან ზედ. ისმის თან-და-თან ახლოს ყიჟინა.)

მეფე (შემოდის სცენაზედ დაღალული შემკრთალისა და შეღონებულის სახით. უკან შემოსდევს თავის ამალა და გამოქცეული ჯარები).

არ იქნა, ბიჭებო, თქვენი ჭირიმეთ! ნუ გეშინიათ, აღსენეთ ღმერთი... შემოიკრიბეთ ღონე... ერთი რომ შეუტიოთ გაიქცევიან ეგ ურჯულოები...(ჯარები ზარდაცემულნი გარბიან წინდაუხედავად. ისინი ჰყრიან გზა—გზა იარაღს, გუდა ნაბადსა; ზოგნი ისვრიან ჩოხას და ახალუხებს, რომ იმითი შეიმსუბუქონ სიცხისა და სიმძიმისაგან თავი. ისმის თათრის ჯარების ყიჟინა).

რამდენიმე ამალათან.

გავეცალნეთ, მეფევ,—ჰხედავთ, ჰხედავთ როგორ მორბის ჯარი და რა რიგად ჰხოცვენ.

მეფე.

სად არის მოურავი...არა, სად არის ბარათა!...ის კიდევ იბრძვის... დავიჯერო ისიც ვეღარ გვიშველის...მოურავს ეხლა მტრობა უდევს გულში, თორემ ის როგორ არ გამოგვიხსნიდა ამ უბედურებიდამ...ბარათას მიეშველენით...

რამდენიმე თავადი.

მოვიდნენ, უშველეთ თავს.. (თეიმურაზ გარბის, თან გასდევენ, ვისაც კი შეუძლიან).

(შემოდის სცენაზედ ერევნის ბეგლარ-ბეგი ჯარებითა. მეორეს მხრით შემოდიან მანუჩარ ათაბაგი და ბარათა ბარათაშვილი—ჯარებით.)

ბეგლარ-ბეგი.

გამუსრეთ ეგ გიაურები, გამუსრეთ.. ცოცხალი აღარა ვინ გაუშვათ.

ბარათა.

არ იქა თქვენი ჭირიმეთ, ბიჭებო. (შეუტევს ჯარებით).

მანუჩარ ათაბაგი.

არიქა, მეხსნეთ! ვასახელოთ ჩვენი თავი (ჩაერევა თათრებში).

ბეგლარ-ბეგი. (გადაეგებება მანუჩარს).

სად მიხვალ, მანუჩარ, სადა?!

მანუჩარ.

შენზედ, შე ურჯულო, შენა. (მანუჩარ შემოჰკრავს ხმალს, ბეგლარ ბეგი დაეცემა. მანუჩარ უპირებს მოკვლას).

ბეგლარ-ბეგი.

ჭაი, შე უპურმარილო მანუჩარ... ემართლები განა შენს გამზრდელს.. არამი იყვეს შენზედ ჩემი ამაგი. (მანუჩარ გამობრუნდება. ამ დროს შემოდის მეორეს მხრივ მოურავი).

მოურავი.

ჵაი, თქვენ ურჯულოებო, თქვენა, სად მოხვალთ სადა!?... მუს რი მაგათა. (ჩამოერევა თათრებში და პატარა ხანს გაცხელდება ბრძოლა. მერე აირევიან თათრები და გარბიან ძახილით: მოურავ). აბა, ბიჭებო, მიჰყევით, სულ ღმერთამდი მიჰყევით. (გასდევს თითონ თან. მოწყვეტილი და მოქანცული სიცხისა და ომისაგან ქართველები შემოიგრებავენ ღონეს და გასდევენ. პატარას ხანს უკან ისევ ბრუნდებიან ცოტ—ცოტათი და ცვივიან წყალში, ზოგი წყლის პირას. ზევრსმისდის სიცხისგან გული, და ზევრნი იხოცებიან სიცხისგან მოწყვეტილნი).

 რამდენიმე მეომარი.

ვიჰ, დედავ! დაგვხოცა სიცხემ... ვაი დედას მაგათსას; რომ ამისთანა სიცხე დაგვიდგა. (შემოდის მოურავი, ზარათა და მანუჩარათაბაგი, მცირის ჯარებით).

მოურავი.

არიქა, ბიჭებო! ერთიც კიდევ, ერთიც კიდევ შეუტიოთ და ღმერთი გვიშველის.

ჯარები.

ბატონო მოურავო! აღარ შეგვიძლიან... დაგვხოცა სიცხემ... ხმალს ვეღარა ვხმარობთ და ისარს...

მოურავი. (ამოიღებს ხმალს, ჩაუსობს მიწაში, ჰკრავს წიხლს და გადაამტვრევს).

ასე დაიქცეს იმათი ოჯახი, ვინც დღეს საქართველო დაჰღუპა. ღმერთო მაღალო, ნუ თუ არ უყურებ ამოდენა ქვეყნის საცოდაობას... როდემდის უნდა სდიოდეს საქართველოს სისხლი... როდემდის უნდა იღუპებოდეს შურითა და უპირულობით. (დაიკრებს გულხელს და გაჰყურებს).

ბარათა.

ღმერთო! დაიღუპა ქვეყანა... სააკაძევ, შენა ხარ პირველი გაცი... (იტაცებს თმებში ხელს და გადის).

პაპუნა ვამაყაშვილი. (შემოდის საჩქაროდ.)

არ იქა, ბატონო, ახალი ჯარი მოდის თათრებისა და გაქცეულებიც მოგვიბრუნდნენ...

მოურავი.

აბა, ადექით, ვისაც შეგიძლიანთ, ხმაგრები დავიჭიროთ. ახლა მეცა ვხედავ, რომ აღარცარავის ომი შეგიძლიანთ და ვერცარასმარტონი აქ გავხდებით... მაგრამ ნუ გგონიათ, ურჯულონო, რომ მე იაფად დაგისვათ საქართველოს აყრა და გაოხრება... მინამ გიორგი სააკაძეს თავი აბია მხრებზედ, მანამ ვერ შეასრულებთ თქვენ თქვენს ურჯულო განზრახვას!. მომყევით, ძმებო!... ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლა გვიდევს წინ... კიდევ ბევრჯერ გაგაძღობთ მაგ ურჯულოების სისხლით... ღმერთი ძლიერია. (გადის და გადასდევენ ჯარები თან).

სურათი. II

სცენა III

სცენა სწარმოებს ზურაბ არაგვის ერისთავის სასხლში. აქ არიან შეყრილნი მეფე და მრავალი ქართ-ლ კახეთის დიდებულნი).

მეფე თეიმურაზ.

მე საშინლად მაკვირვებს ასე უწყალოდ აზვავება და ჩვენი თავდაუდებლობა გიორგი მოურავისა. არ ვიცი ვითომ რა სწადიან,

რომ ასე იხიბლავს წვრილმან თავად—აზნაურობას და გლეხკაცობას. აშკარად ვხედავთ, რომ მეც ღალატს მიპირებს და ჰსურს გვალად საქართველოს არევა. დიდებულნო! თქვენთვის გამომიცხადებია ესე ყოველისფერი. ვგონებ ჩემს მეფობაში მე ყოველთვისა მქონოდეს ქვეყნის სიყვარული და კიდეც მცოდნოდეს ფასი საქართველოს დიდებულთა. რა უნდა ახლა მოურავს ჩვენგან! ქართლია და ასე ჰრევს. თუ მე არ შემეკავებინა თავი, იმას უნდოდა, რომ მეც გავერივე ქვეყნის სისხლში. რა აზრი ჰქონდა მოურავს, რომ ამაგრებდა იმერეთის მხრივ ციხეებს!? იმის გულიდამ ხომ არა ამოვა რა, მინამ საქმეს არ გაათავებს; და მაინც კიდევ წამოსცდა ეს თავისი აზრი. მე ისეთი სარბი და გაუმაძღარი ვგონივარ, როგორც თითონ არის. ერთხელ მეუბნება: რა კარგი იქნება, რომ მესამე ტახტიც შენ დაიჭიროვო... თქვენმა მზემ მე რომ იმას ავყოლოდი, აქამდის იმერლების სისხლში ხელს გამასვრევინებდა და გადამკიდებდა გიორგი მეფეს მტრად, რომლისაც პურ-მარილი ჯერაც ყელში ამომდის.

შადიმან ბარათაშვილი.

აგი მოგახსენეთ! თქვენმა მზემ ერთ წუთას არ შეუძლიან მოისვენოს. სულ სისხლი, სისხლი და სისხლი! იმისი გული სისხლით არ გაძღება. თქვენი ჭირიმეთ, მაგას ვიღა მოიფიქრებდა: თათრები ძლივს მოვიშორეთ, რომ ახლა იმერლები მტრად გადვიკიდოთ!

ბაადურ ციციშვილი.

მე არ ვიცი უნდოდა მოურავს იმერლების სისხლი თუ არა, და ეს კი ვიცი, რომ თუ მოურავი არა—საქართველო აქამდინ მტრათ იქნებოდა ნაქცევი. შადიმან ბრძანებს, რომ ძლივს მოვიშორეთ თათრებიო. ვისის მოწყალებით!? სხვა იქით იყვეს, ვინ იყო, ბატონებო, რომ-მარტოდ მარტო ებრძოდა მარაბდის ომის შემდგომ ისაქხანისა, ხოსრო მირიზისა და ამირგუნის ხანის ჯარებს და სა-

ქართველთ ყოველს ნაბიჯს იცავდა თავისის საკუთარის სისხლით იმოდენა უთვალავის ჯარებისაგან. ვილას ეგონა, რომ საქართველო კიდევ გადარჩებოდა აურასა და მთლად გამუსრავს. ჩვენ ყველანი, შიშის ზარ-დაცემულნი, დავიმალენით თაგვის სოროში. თქვენ, მეფეო, გასცალეთ თავი და აბრძანდით ხევსურეთში, საიდამაც აპირებდით რუსეთს წაბრძანებას. ზურაბ ერისთავმა უმუხთლა საქართველოსაც და მოურავსაც და შეუშვა არაგვზედ თათრების ჯარები. ყველანი მიიმალ-მოიმალნენ. ხოსია და ქაიხოსრო ზარათაშვილები დაუმეგობრდნენ ხოსრო მირზას. მარტო მოურავი ებრძოდა ამოდენა უთვალავს ჯარს, და მარტო მოურავიდაზრუნავდა თქვენი სამეფოებისათვის, მეფეო. ზოგჯერ თითქმის ცარიელის ხელით, სამოცის კაცის ამარა დარჩენილა და კიდევ არ დაუხებებია თათრებისთვის თავი. ამ ხანებში სააკაძე არა თუ იბრძოდა, ის კიდევ ამასთან მარტოდ-მარტო ამაგრებდა ციხეებს, ჰკრავდა გზებს, და ბოლოს იქამდის მიაღწევინა, რომ გარეკა აქედამ თათრები და საქართველო გადაარჩინა მესამედ იმ საშინელს განსაცდელს, რომელსაც ყველა განწირულებით მოელოდა. ერთსა და იმავე დროს მოურავი არათუ მარტო თათრებს უნდა ჰბრძოლოდა, უნდა ჰბრძოლოდა ის თვითონ ქართველებსაც, რომელნიც გადასდგომოდნენ თავის ქვეყანას და აძლევდნენ ყოველრიგს შემწეობას თათრებს საქართველოს დასანთქმელად. და ის ქვეყნის მოღალატენი, მეფეო, დღეს შენ გახლავან გვერდით და გიჩვენებენ მოურავს ქვეყნის მტრად და თავის თავს ერთგულად... მოურავმა გააძლიერა საქართველო და თქვენი ხმალი, მეფეო. დღეს რომ ჩვენ ყველანი ჩვენს ჭერს ქვეშ პურსა ვსჭამთ და ვლოცულობთ ჩვენს სალოცავებს—ეს სულ მოურავის მოწყალებით, ასე რომ სხვებს არაფერი საქმე ამაში არ ურევიათ.

ზურაბ ერისთავი.

კიდევ მაგანაზავა მოურავი, რომ მუხრანბატონისა, ერისთავისა

და ციციშვილისთანა დიდებულნი, თითქმის მეფედ ჰსახავს იმას. ჩემისთანად მოურავს ვერავინ იცნობს. მოურავს საპატრონ-ყმოდ აგ-რე ადვილად თავს არავინ დაუდებს. რაც უნდა იყვეს დღეს მე მე-ფის სიძე და შვილი ვარ, მაგრამ თქვენმა მზემ ისე არაფრად მივაჩ-ნივარ, თითქო ერთი უკანასკნელი ვინმეო. თავის პაპუა გამაყაშვილს უფრო გაუგონებს, ვიდრე მე. მე კიდევ არაფერი. ასლა რაკი, ჰხე-დავს, რომ მეფე აღარც ასდევს მაგის სიტყვას სულ მაგის უმადურობას ლაპარაკობს; დაუწყო მეგობრობა იმერთა მეფეს. ესლა ის ჩუმ ჩუ-მად რაღაებსაც ელაპარაკება იმერლებს, აქ ქართლში სალხს ჰბირავს და იკვეთამს და თქვენა ჰნახავთ მაგას რაც უდევს გულში. ან ქართლს იმერთა მეფეს მისცემს, რომელსაც როგორც უნდა ისე აკუნტრუშებს, ან თითონ მოინდომებს მეფობას. კიდეც გამეფდება, იმიტომ რომ ქართლის მდაბიო და წვრიმალი თავად-აზნაურობანი და შიგა და შიგ დიდებულნიც მოურავს უფრო იცნობენ მეფეზედ და მეფის თავს მო-ურავი ურჩევნიათ.

შადიმან ბარათაშვილი.

ბატონო, როგორ არ ვიცნობ გოროზ სააკაძეს! წყეულიც იყვეს ის დღე, რა დღესაც ჩვენ მაგის ხელში ჩავცვივდით. განა არ ვიცი, რომ მაგას მეფობის მეტი სხვა გუნებაში არა უდევს რა. ჯერ გაადედოფ-ლა თავისი და, ვითომც სალხი შეეჩვიოს ამასაო, და მერე თითონაც უნდოდა გამეფება. სააკაძე—საქართველოს მეფედ უჯდეს!.. რატომ რა გასკდება დედამიწა და ქვეყანას თან არ ჩაიტანს.

მელიქ ათაბაგი.

ბატონო, თუმა გას მეფობა არ ედოს გულში, მაგ საქმეებს, ჩაიდენდა? აი ეს ხოსია ბარათაშვილი, პირველი თავადის შვილი, პირველი კაცის შვილი და დღეს გამოჩენილი კაცი საქართველოში, მთელი სამი წე-ლიწადი ციხეში გამოალპო. რომელი მეფე იზამდა ამას! მეფეს არას ეკითხება; ჰკრებავს თავად-აზნაურთაგან და ქვეყნისაგან ხარჯს, მოჰ-

უჭამს ბერძები, უძახის მუშას, აშენებს სადაც არამგონი ციხეებს, გაჭყავს გზები იმისთანა ადგილებში, სადაც თავის დღეში ქვეყნიერთაც არ გაუვლია კაცს; აჩენინებს ტყეებს, გამოჭყავს მთიდამ უმამული ისი და მთიული დაასახლებს იქ. ერთის სიტყვით არც ერთს მეფეს არ უქნია ეს საქმეები; რასაც ეგ სჩადის. რაკი პიტარა არ შეისვენა საქართველოს მტრისაგან, ახლა ვეღარ გაუძლია უსაქმურად და ხან რას იგონებს და ხან რას: რა არის, ქვეყანას უჩვენოს, რომ რაც არის ეგ არის. ჭლამის ქვეყანა აამტუტოს.

მეფე.

აი, თქვენც ხომ ჭხედავთ, დიდებულნო, რაც საქმების მომქმედის მოურავი. თქვენ თითონ ჭხედავთ, რომ თუ მაგას არა მოუსპერხეთ რა—ქვეყანას არ მოასვენებს

ბაადურ ციციშვილი.

მეფეო! თუ მე მაგისთვის მამიწვიეთ, რომ საავაძის უზედურებაში გამსჯიოთ, ჩემი იმედი ტყუილათ გაქვთ. დიდებულნო! დაფიქრდით კარგათ: მინამ მოურავი ცოცხალია, მინამ მაგრად მოვკიდოთ ხელი და მივყვეთ, სადაც წაგვიყვანოს, თორემ, თუ მოურავი ხელიდამ გაუშვით და მოურავმა საქართველო არ დაამყარა იმ დონეზედ, რომ საქართველოს თავისი დაცვა შეეძლოს,—მოურავის უკან ჩვენ ვიქნებით ჩვენივე ხელით ჩვენი სათვალავის გამთხრელი. თუ არ ესლა, მერე გვიანღა იქნება საქართველოს შველა. შეჭხედეთ აბა რას სჩადიან ოსმალები: ჩვენი დავით აღმაშენებლის სამშობლო, ჩვენი რუსთაველის სამშობლო, სამცხე—საათაბაგო, ლაზი, ქობულეთი—ჭლამის სულ დაათათრეს და ერთს ასს წელიწადს უკან ეს მირის-მირი ქართველები, რომელნიც აქამდინ იყვნენ საქართველოს სჯულისა და მეფეთა დამცველნი, აღარც კი იცნობენ თავს ქართველად და პირველი ისინი დაუსობენ მომაკვდავს საქართველოს გულში ლასვარს.

ბარათა ბარათაშვილი.

მოურავი პირველი კაცია დღეს საქართველოში.

მელიქ ათაბაგი

არა მოურავს უნდა მეფობა და არა ქვეყნის შველა. ეს ყველა იმის საქმეებიდამ სჩანს.

შადიმან.

ამას ყველა დაინახავს, ვისაც თვალები აქვს.

ედიშერ ჩოლოყაშვილი.

მთელი კახელობა სულ მაგ აზრისანი ვართ. თუ მეფობა არ ედოს გუნებაში—ის ჩვენი ბრძენი მეფის ბრძანებაზედ ივლიდა.

ნოდარ ჯორჯაძე

ყველა საქმით ამტკიცებს ამას მოურავი. ჯერ საქართველოს დიდებულნი ასე არ დამცირებულან, რომ ერთი გუდამშიერი აზნაური მეფედ დაისვან.

ბაადურ ციციშვილი.

გუდამშიერი აზნაური, რომელმაც მისცა რამდენჯერმე საქართველოს ცხოვრების სახსარი, და რომელმაც შეაერთა ქართლი და კახეთი და მისცა ერთს მეფეს.

ზურაბ ერისთავი.

და რომელიც დღეს ამ მეფეს არ ემორჩილება და საქართველოს დიდებულთ არ არჩევს თავის ყმებისგან

მეფე.

ვისაც სწყურს ჩემი მეფობა—დამიდებს თავს, ვისაც არა და—სააკაძე ნდომებია მეფედ.

ბარათა.

შენ მეფე ხარ, ბატონო თეიმურაზ, მე შენ მუხანათში ვერ ჩავდგები, და მოურავი ჩვენში პირველი კაცია და არც იმის გადადგომა შემიძლიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შადიმან.**

ღმერთი ისე არ დაჭქცევს საქართველოსა, რომ საიკამისთანა კაცები გაგვიჩერთს.

**ბაადურ ციციშვილი.**

მაშ მე ვხედავ, რომ აქ სხვა არაფერია, რომ ხელ ახლად კიდევ შურისან მოურავის მტერნი, რომ მეფესაც და სხვებსაც გაასვრევინონ იმის სისხლში ხელი. მე ვხედავ, რომ აქ მუშაობს შური, მტრობა და არა საქვეყნო საქმე. კიდევ არიან ქართლში კაცნი, რომელნიც არ მისცემენ საქართველოს მტერთ ნებას, რომ დაჭქცევონ საქართველოს პირველი კაცი—აზნაური საიკამე. მაგრამ გასსოვდეთ, ბატონო, რომ თქვენ თქვენის შურით უთხრით საქართველოს სამარეს. აქამდის არა გვჯეროდა მოურავის სიტყვა თქვენზედ, მეფეო, და გვინდოდა დაზავება, ახლა კი ვხედავ, რომ მოურავი არაში სტყუის .. ბაადურ არ გაერევა საქართველოს ღალატში და არც გაერევა, და ვაი იმათ, ვინც მოინდომებს საქართველოს დაღუპვას. (გადის).

**იმერული თავადის შვილი.** (შემოდის)

აქა მშვიდობა მეფეთა და დიდებულთ.

**მეფე.**

მობრძანდით, დიდებულო იმერო. როგორ განისვენებს მამად საგულებელი მეფე გიორგი?

**იმერელი.**

რაღა განისვენებს და მე შენ მოგახსენებ, თუ კაი ჯილდოს მიბოძებ. კი ჭკვიანს შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს ჯილდოთ. თუ არა და დეიღუპე, შენი მტერი დეიღუპოს.

**მეფე.**

ბრძანეთ და რისაც ღირსი იქნები, ყველას მოგანიჭებ.

**იმერელი.**

მე, ბატონო, რავარც მოგახსენებ ყველაფერს, ჩემს ქვეყანაში

აღარ მიმესვლება იმდენი წყალობა მაინც უნდა შეიღო, რომ ღირდეს ჩემი ყმა და მამულის დატოვება და ჩემის ქვეყნიდამ გადმოხვეწად.

მეფე.

რასაც ისურვებ — ყველას შეგისრულებ. უთუოდ მძიმე რამ გაქვს სათქმელი.

ზურაბ ერისთავი.

ნახავთ თუ მოურავის ღალატი არ იყვეს.

იმერელი.

კი, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს. მისთანა საიდუმლოდ აქვთ მითქმა — მოთქმა მოურავს და მეფეს გიორგის თქვენს დაღუპვაზედ, რომ ქრისტიანი კაცი ვერ გეიგებს. აპა და ჩემი სიდედრი გახლავსთ გამზრდელი პატარა ბატონის შვილის, გიორგი მეფის შვილის. ის უნდათ აბა ქართლ-კახეთის მეფედ და მერე იმერეთიც ხომ იმას დარჩება. იმას უთქვამს ეს ჩემი სიდედრისთვის და მე მისგან გევიგე. რაკი თქვენი სიუხვე ვიცოდი, კი გარჩიე თქვენი ცნობა ამ ამბის. ისინი სულ მზადებაშით არიან და აპირობენ უცებათ დასხმას.

ყველანი (ერთ ხმით).

აკი მოგახსენეთ!

## სცენა IV

სცენა სწარმოებს მოურავის სახლში.

ზურაბ ერისთავი.

მაშ ეგ არის, აღარ იშლი, მოურავო, გვითხოვ რაღა?

მოურავი.

არა, ზურაბ! მე კიდევ ვერ დამიჯერებია გული, რომ შენ აგრე სამტროდ გაიმეტე საქართველო, რომელსაც შესწირე შენი საყვარელი

ცოლი. არა მჯერა, რომ გაიმეტე სამტროდ შენი გაზრდილი გიორ-გი, რომელთანაც ამდენს ხანს გვიწევია მშურად ყოველივე ჭირნა-ხული, განა იმისთვის ვკოცნიდი თეიმურაზს მუხლზედ ზურაბს ქალი მიეც მეთქი, რომ ბოლოს შენ და იმას ჩემ სამტროდ და საქართვე-ლოს დასაღუპავად შეგეკრათ პირი. მე თეიმურაზის იმედი არასოდეს არა მქონია და იმისთვის დავამოყვრეთ შენ და ის, რომ ზურაბ კაი გზაზედ დააყენებს მეთქი, ის კი არა თუ შენ იმან აგიყოლია... რო-გორ მოვიფიქრებდი, რომ ზურაბ თავის დღეში ჩემთან თანა მკვდარი არ იქნებოდა საქართველოსთვის... გამიგონე ზურაბ, აიღე ხელი შენს განზრახვაზედ, შეჰხედე საქართველოს მდგომარეობას, დააცქერდი რა-ომ ბოლოელის, თუ დღეს მე და შენ ერთმანერთს უმტყუნეთ. ვფი-ცავ მამიჩემის სულს, რომ ეხლავე კისერს მივუშვერდი თეიმურაზისა და შადიმანის ხმალს, თუ დარწმუნებული ვიქნებოდი, რომ თეიმურაზ შადიმან და ის კაცნი, რომელნიც მეფეს ჩემს სამტროდ დაუახლოვე-ბია, არა თუ შეიძლებდნენ—ან კი იფიქრებდნენ საქართველოს საბო-ლოვოსათვის. გახსოვდეს, ზურაბ, რომ თუ დღეს თეიმურაზს დარჩა გამარჯვება, დარჩება შენის მიზეზით და შენ იქნები მაშინ იმავე სა-ქართველოს დამღუპავი, რომელსაც ერთხელ შენ შესწირე შენი გულა-თადი საყვარელი და თვით შენი თავიც. მოდი, მოვხვიოთ ჩვენ ერ-თმანეთს მკლემბურად ხელი და შევუდგეთ საქვეყნო საქმეს. ნუ ჩავდ-გებით ქვეყნისა და ჩვენი მომავალის ცოდოში. ნუ დავივიწყებთ, რომ დღევანდელი ბედნიერება არ გამოგვიხსნის იმ სირცხვილისა და წყევ-ლისაგან, რომელსაც მივეცემით ჩვენ ჩვენის შვილის შვილებისგან ჩვე-ნის ცუდის საქმეებისათვის.

ზურაბ.

ნუღარა გგონია, გიორგი მოურავო, რომ შენის ცბიერის სი-ტყვებით კიდევღა მომხიბლო. მე თუ აქამდინ გიჯერებდი და აგდევდი შენ, ეს უმაწვილობით მომდიოდა. ახლა ღვთით, გიცანი, რომ შენ

მარტო შენი დიდება გიდევს გულში, გინდა შენისთანავე დაცემული კაცის შვილები გამოიყვანო კაცად და დიდებულნი კი დანსთქა. გინდა რომ შენ იყვე ბრძანებელი და მპყრობელი ქვეყნისა და ის კაცნი, რომელთათვისაც ღმერთს მიუნიჭებია ძალა და დიდება, დაამცრო და გაუსდე ბატონად, რომ მასუკან ქართლში დიდი და პატარა გაასწორო არა ამას იქით, გიორგი მოურავო, მედა შენობა აღარ იქნება, აღარ მოგაგლეჯინებ ჩემის ხელით ნარს და ამას იქით აღარ მოგვყვები, რომ ჩემის შემწეობით ჴრევდე ქვეყანას. აი ეგ შენა და ეგ შენი იმერლის ჯარები—მობრძანდით! მე და მეფეც იქ დაგიხვდებათ. შენ ჴნახავ როგორც მოგიმართავს ღმერთი ხელს ამოდენა ქვეყნის შეწუხებასა და მეფის ორგულებაში. გიჩვენებ, რომ მე ვარ ნუგზარის შვილი და ჩვენი შემუსვრა ისეთი ადვილი არ არის, როგორც შენა გგონია.

მოურავი.

კიდევ იმიტომ არ მინდა შენი მტრობა, რომ შენი შემუსრვა არ მეადვილება... მე ვიცი, ზურაბ, რომ თეიმურაზის ფარ-ხმალი შენა ხარ. მე ვიცი, რომ ყველაზედ გასაფრთხილებელი ხარ შენ და კიდეც იმიტომ გეხვეწები, რომ ნუ სდგები ქვეყნის საცოდაობაში. გახსოვდეს, ზურაბ, რომ თეიმურაზ, რომელმაც არ დაინდო ქაისოსრო სარდალი, არ დაინდო ადამ აბელიშვილი, არ დაინდო გიორგი საკაძე, — ეს თეიმურაზ არ დაინდობს ზურაბ არაგვის ერისთვისშვილსაც. გახსოვდეს ეს სიტყვები და დანიშნე ეს დღე, რომ შენ და თეიმურაზს მტრობა არ აგცდებათ და რაც უფრო ბევრს სიკეთეს უზამ, იმდენი უფრო შურს აიღებს და თავისებურად ღალატით დაჴლევრის შენს სისხლს.

ზურაბ.

ჴოი, გიორგივ! გეყო მაგდენი ოსტატობა.... ნუ გგონია ზურაბ ისეთი უგუნური, რომ არ ესმოდეს შენი ლაპარაკი. მაგრამ ვერა, ველარ შემაცდენ შენ. თეიმურაზ მაშინ დაჴლევრიდა ჩემს სისხლს და

შე იმისას, თუ მე შენ აგულოდი. მაგრამ გიცან, და თუ ღმერთმა მოგვცა შენსა და იმერლებზედ გამარჯვება, მაშინ მე ვიცი ვისიც სისხლი დაღვრება და ვისი სისხლის დაღვრაც არის საჭირო ჩვენი ქვეყნის დასამშვიდებლად. ახლა მშვიდობით! ან ზურაბ და ან შენ. (მიდის).

მოურავი.

ზურაბ! მოიცადე.... დაფიქრდი, ზურაბ.... ნუ აჰყოლიხარ გულის თქმას და თავმოყვარებას... გახსოვდეს, რომ მე და შენი გადაკიდება დაჰღუპავს საქართველოს.... ზურაბ, შეჰხედე შენს ღმერთსა, უსმინე ქვეყნის ცრემლს.... ნუ ჰმტყუნობ ამისთანა დღეს ერთხელ შენგნით განთავისუფლებულს საქართველოს.

ზურაბ (შემობრუნდება).

ამ ხმალმა გასცეს პასუხი, ვინც თავის ქვეყანას უმტყუნოს (იდებს ხმალზედ ხელს და გადის საჩქაროდ).

მოურავი.

ღმერთო ძლიერო! რარიგ ეცრება ხელი ყველა ჩემს დაწყობილებას! თითქო მოთილისმული და მოჯადოებული იყვესო ეს ჩვენი ქვეყანა..... ღმერთო! ამოდენა ქვეყანაში რომ ქვეყნის სასარგებლო საქმეს კაცი ვერავის გაანდობდეს — უბედურება მეტი რაღა იქნება... გაცემას რაღა მომაფიქრებდა!... ნეტავინ იყო-ის მეხსანათი, ან როგორ გაიგო ეს ჩვენ ამბები... ახლა მაგათ უფრო მეტი ჯავრები შეუყრიათ... თვით ჩემი გაზრდილი და გაწრთვნილი ამ საქმისთვის, ზურაბ დღეს ამ საქმეში მღალატობს და უდგება იმ კაცს, რომელიც მარტო თავისის მუცლისა და სიამოვნებისთვის ზრუნავს... ეს არის! ზურაბს ვეღარას ფრით ვერ მოვიზიდავ... მე და ზურაბმა უნდა დავღვაროთ ერთმანერთის სისხლი... ახლა უნდა ყოველი ჩემი ძალა და ღონე ვისმარო, რომ ჩემი პაატას მსგავსი ზურაბის სიცოცხლე შევმუსრო, რომ გვეშველოს რამე... ღმერთო! რა მდგომარეობაა ჩემი მდგომარეობა... უნდა გამარჯვებას ვცდილობ-

18

დე, რომ ზურაბ დავღუპო, და უნდა ჩემივე დამარცხება მენატრებოდეს გულში, რომ ზურაბ სისხლში შემუსვრილი არა გნახო... ზურაბ, ზურაბ! რომ იცოდე რა რიგად უკვდება მოურავს გული შენის დაშორებით და შენის გამეტებით... მადლობა შენს განგებას, ღმერთო! ალბათ კიდევ ბევრი მსხვერპლი გინდა ჩემგნით და ქვეყნისგანაცა რომ მიეცეს შენს ერს კეთილი ბოლო... ახლაა ჩვენი განჩინება: თუ ეს ომი მოვიგეთ იმერეთი და ქართლი შეერთდება. მასუკან კახეთის შეერთებაც ისეთი ძნელი აღარ იქნება: თეიმურაზ რაკი ერთი დამარცხდება თავისებურად საითმე გაჰკურცხლავს და გაუშვებს თავის სამეფოს ღვთის ამარობაზედ... მაშინ სამი სამეფო შეერთებული იქნება... ღმერთო! რა მოუთმენლად მიცემს გული... ასე მგონია ერთი ათაასი კაცის სიცოცხლე კიდევა დევს მეთქი იმ დრომდინ... აქამდინ უფრო მოთმინებით ველოდი ამ საქმეს... ახლა ყოველი მოთმინება მეკარგება.

ისე ქსნის ერისთავი. (შემოდის).

ზურაბ იყო აქა?

მოურავი.

დიაღ.

ისე ერისთ.

და კიდევ ცოცხალი გაუშვი ის აქედამ?! მიკვირს, გიორგი, შენგან ეგ ამბები: მტერი ხელთ გყავდეს და ხელიდამ გაუშვა! შემუსრე მტერი რითიც შეგეძლოს და როგორაც მოასწრო. ზურაბი განა კიდევ დასაზოგი ღაა ჩვენგან... სულ ეგ არის რაც არის, უმაგისოდ თეიმურაზ ვერაფერს ვერას იკადრებდა.

ქაიხოსრო მუხრ (შემოდის).

აბა, გიორგი, ყველანი მზად არიან. მრავალნი გადაგვიდგნენ და გავიდნენ ზურაბისაკენ, მრავალნიც ყოყმანში არიან. უნდა დავაჩქაროთ მისვლა. ყველა ჯარების წინამძღოლნი აქ არიან და უბრძანე გამ-

გზავრება.

მოურავი (ჩაფიქრდება).

ქაიხოსრო.

რატომ აგრე დაფიქრებული ხარ, გიორგი? ვინ შენ და ვინ ეგ ამბები ამისთანა დროს?

მოურავი.

ოხ, ქაიხოსრო! კვლავ რომ გვიომნია, ის სხვა ყოფილა; და დღეს ჩვენ მივდივართ ქართველის ჯარებით ქართველებისავე სისხლის დასაღვრელად... ქართველი ქართველის სისხლსა ჰღვრის, ქართველი ქართველზედ აღშფოთვილა ასე გამეტებით და ახლა თვით ქართველებისგანვე უნდა გადაწყდეს ბედი და უბედობა საქართველოსი. ერთს მხარეს დგას მოურავი, და მეორეს მხარეს ზურაბ, რომელნიც ერთხელ როდესღაც საქართველოს გულისთვის ერთად თავგაწირულნი ებრძოდნენ საქათველოს მტერს და დღეს —ერთმანერთს... იმავე საქრთველოსთვის. (დგება და მიდის. ქაიხოსროც თან გასდევს).

სცენა V.

სცენა სწარმოებს ბაზალეთის ტბასთან, სადაც სდგას თეიმურაზ მეფისა და მოურავის ჯარები. შეურილობაა თეიმურაზის ერთგულთ დიდებულთა.

მეფე თეიმურაზი

აი, ბევრს რომ არა სჯეროდა მოურავისაგან ჩემი გადადგომა! ჰხედავთ, დღეს საომრათაც მოგვდგომია ჩუენ, ქართლ-კახეთის ბატონს, ერთი უბრალო აზნაური, საკვირველი!.. ნუთუ ქართლ-კახეთის დიდებულნი იზამენ და იკადრებენ იმას, რომ თავისის ცოცხალის თა-

გით დღეს სააკაძეს დაანარჩენდა თავის მეფეზედ გამარჯვება და შემდგომ ამეფონ ჯავახიშვილი აზნაური. ნუ გჯერათ, რომ მოურავი მართლა იმერთა ბატონს აძლევდეს ქართლს. მოურავი ემეჩს დროს და მერე იმერთა მეფესაც ისე უმტყუნებს, როგორც მე და როგორც წამებულს ლუარსაბს, მინამ თითონ არ იგდებს ხელთ მეფობას. ჰხედავთ ეხლაც როგორ მეფესავით უჯერებს იმას თითქმის მთელი ქართლი. მდაბიო ხალხი იქით იყოს, რომელსაც ის ისე ჰხიბლავს: მუხრანის ბატონი, ქსნის ერისთავი, ციციშვილი, ამილახვარი და სხვა დიდებულნი მოურავს თითქმის ჰხადიან და ყოველს იმას ბრძანებას ისე ასრულებენ, როგორც უბრალო ყმანი... ნუ მიუშვებთ საქართველოს დიდებულნო, რომ ქვეყნის სამარცხვინოდ სააკძე გავამეფოთ ბაგრატიონთ ტახტზედ. ან მთლად დავიხოცნეთ აქ, და შევსწიროდ ჩვენ მეფეს სულნი, ან გავიმარჯვოთ მაგ ქვეყნის ამრევზედ, რომელიც მეფეთა და დიდებულთ არა რად აგდებს და აპირებს მათს დამხობას.

### ყველანი.

სიკვდილი, ან გამარჯვება და შემუსრვა მოურავისა,—ეხლა ჩვენს გულში სხვა აღარა არის რა.

### ზურაბ ერისთ.

სწორედ! ან უნდა დავიხოცნეთ, ან გავიმარჯვოთ მოურავზედ, თუ გვინდა, რომ მოურავის წინააღმდეგთ ვიბოგინოთ საქართველოში. თუ აქამდინ მოურავი ჰზოგავდა თავის მტერთ და არას ავნებდა, მაგის მიზეზი ის იყო, რომ უნდა თვით თავისი მტერნი დაეახლოვებინა, რომ უფრო უწინააღმდეგოდ დაეპყრო საქართველო და ბოლოს მეფის გვირგვინი ეგდო ხელთ. ახლა რაკი ერთხელ და ორჯერ სცადა, რომ მტრები მტრობას არ უშლიან, იცოდეთ რომ გვარით და ნათესავით სულ ამოჰგვის ყველა თავის მტერს... ამასთან ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ მოურავზედ გამარჯვება არ შეგვიძლიან, იმიტომ

რომ გლეხკაცისთვის ერთი იმისი სახელი მეხსა და ჭექვაზედ საზარელია. ამისაგამო თვითონ ჩვენ თავადობამ უნდა მოვკლათ როგორმე ომში პირდაპირ იყვეს თუ როგორც მოვისერხებდეთ.

ედიშერ ჩოლაყაშვილი.

პირველი მე მივდივარ მოურავზედ და, ღვთით, ყველამ იცის რომ ღონე და სიმარჯვეც შემწევს.

მრავალი ხმა.

მეც! მეც! მეც!

ზურაბ ერისთ.

ეხლავე უნდა დავაწყოთ მოურავის სიკვდილი. აი რა უნდა ვქნათ. ის რაწამს გამოაპოს ჩვენს რაზმებს, მაშინვე მეფეს მიემართავს. უნდა მეფეს ვაახლოთ ერთი ოცი სულ კარგი მარჯვე თავად—აზნაური. ისინიც უნდა იყვნენ მიმალულნი მარჯვე ადგილას და როდესაც მეფეს მოურავი შემოუტევს, მაშინ უცებ უნდა შემოერტყან და მოჰკლან.

თეიმურაზ.

სწორედ, ეგ კარგი სიტყვა სთქვი,—ზურაბ. აბა მაშ, ზურაბ, შენ და ედიშერმა ამამირჩიეთ ერთი ოციოდე კარგი თავად-აზნაური, ედიშერ, შენც ჩემთან იქნები. ზურაბ, შენ აკი უნდა დუშეთის მხრივ იყვე, რომ იმ მხარიდამ მოასდინო რაზმების დაწყობა და ომის გამღოლა. (ისმის შორიდამ საომარი საკრავების ხმა. რამდენიმე გზის მოდარაჯენი შემოცვივიან.)

მოდარაჯენი.

შეიძრა მოურავის ჯარები და მოდიან. ჩვენი მოწინავე ჯარები კიდეც გამოაქციეს.

ზურაბ.

აბა ჩქარა გაამზადეთ ყველამ რაზმები და დაწყობით მიეცით მტერს, რომ ადვილად ვერ შესძლონ გაპობა. მეფევ, თქვენ წაბრძანდით და ეხლავე გაახლებთ იმ ოცს კაცს; ედიშერ გიჩვენებთ სადაც უნდა დაიმალნენ ის ოცი კაცი.

თეიმურაზ.

აბა, თქვენი ჭირიმეთ, თავადებო, თქვენზეა ეხლა ჩემი თავი და ჩემი ცოლშვილის საბოლოოვო დამოკიდებული... ღმერთო აბრამისა, ისაკისა და იაკობისო, სნეულთა მკურნალო, ტყვეთა მხსნელო და

გლახათა შემწყნარებელო, ნუ დამიტევებ მონასა შენსა, მომაგე სიმართლისამებრ მოსაგებელი. (იჩოქებს და განიპყრობს ხელებს. ყველანი იჩოქებენ). ღმერთო და ყველა ჩვენო ყოველნო მამაპაპათა სალოცავნო და სავედრებელნო! თქვენი არს ძალა და დიდება და თქვენთვის ჩამიბარებია სული ჩემი. (დგება და გადის. ყველანი გასდევენ).

(სცენაზედ შემოდის მოწინავე ჯარების წინამძღომელი საამ კობიაშვილი, თავში დაკოდილი, და შემოსდევს იმას ჯარები. ჯარები გარბიან).

### საამ კობიაშვილი.

მოდი და შენ ენდე ამ წუთის სოფელს! ერთხელ როდესაც ნუგზარის ბძანებით მოურავის გულისათვის ნაოზიდამ ბაზალეთს ბატონის სახლამდინ სულ ხმალ ამოღებული ვომობდი მეფის ჯარებთან და ვინ იცის რამდენი სისხლი დაიღვარა იმის გულისთვის ჩემი ძარღვებიდამ; დღეს კი ნუგზარის შვილის ბრძანებით ვეომებით იმავე მოურავს და ნაბრძანები მაქვს, რომ უეჭველად მოვკლა... მე და პაპუნა ჩივაძე ერთად ვიბრძოდით მოურავისთვის და ნუგზარისთვის, დღეს კი ის მოურავისთვის იბრძვის, მე—ზურაბისა თვის! მკრა კოლოტი თავში და თავი გამიხეთქა. მოდი და ახლა შენ გაიგე რამე: ან მე რაზედ ვიკლავ თავს, ან ისა. ნეტავი გამაგებინა: ვინა სტყუის ჩვენში. ესლა რომ პაპუნამ თავი არ გამიხეთქა, ესლა მოკვედი ფიქრსა, რომ ისიც მიჯქარავს და მეც; არც მე ვიცი რეზედ ვიკლავ თავს და არც იმან. ძაღლს რომ მონადირე მგელს მიუსევს, ძაღლმა იცის რომ თუ არ მიეტია მგელს, პატრონი პურს აღარ აჭმევს და ძაღლი შიმშილით მოკვდება. წაწყმდეს ჩემი საყვარელი ბატონის ნუგზარის სული, თუ ჩვენი საქმეც ისე არ იყვეს. ჩვენ ერთმანერთს ვხოცავთ, რომ პატრონმა პური გვაჭამოსო, და ერთი ლუკმა პურისთვის, რაკი გვიბრძანებენ, ჩვენ აღარ ვარჩევთ—ვინ სტყუის და ვინ მართალია. ჭაი გიდი, წუთი სოფელო! ზოგ კაცს ძაღლის ხელობას აძლევ და ზოგს

კი მონადირისას. ღვთის რისხვა მქონდეს თუ ზურაბ მე მჯობდეს, მაგრამ მე მაღლი ვარ და ის მონადირე. (ისმის ჯარების ხმა). გავე-ცადო, თორემ ეს ერთი შკუა ხომ მასწავლეს, მერე სულ გამაბრძენებენ და ვინ იცის მეც ერისთავობა მოვინდომო, ან მეფობა მოურავისავით... მაგრამ გამიწყრეს ლომისის მადლი, თუ მოურავა ათასი არ იქნებოდა და ის ერთიც არა... მაგრამ მაღლსონადირეობი ღმერთს კარგად დაუწესებია — დაილოცა იმის სამართალი. (გადის საჩ-ქაროდ).

სცენაზედ შემოდიან მოურავი დავით გოგორიშვილი ქაიხოსრო მუხრან-ბატონი და სხვა მრავალი თავად—აზნაურნი. დავით გოგორი-შვილი. ბატონო, გიორგი, სწორედ რომ შენ არ უნდა შემოხვიდე ჯერ ომში. თორემ როგორც წელან იყო ლაპარაკი, პირველად შენს მოკვლას ეცდებიან. მე მიბოძე შენი, ცხენი ჯაჭვ—ჩაჩქანი და მუზა-რადი. მაშინ მე ვეგონები თქვენი თავი დაგარწმუნებთ, რომ არც შე-გარცხვენთ. იმედი მაქვს, რომ ვერ მომკლავენ და თუ მომკლეს, ისევ გოგორიშვილი მოჰკლან მოურავის სიკვდილს და ქვეყნის დაღუპვას —ისა სჯობიან, თუ მოურავი არ იქნება ცოცხალი საქართველო დაი-ღუპება. და მე რომ მოვკვდე—მარტო ჩემი ცოლშვილი და მისაკლი-სებს, მაგრამ იმედი მაქვს ჩემ ცოლშვილსაც უნუგეშოდ მოურავი არ გაუშვებს.

**ქაიხოსრო მუხრ.**

ნუ გეშინიათ დავით, არც შენ მოგაკვლევინებთ, თუ მშვიდობაა. უბოძე მოურავო, შენი საომარი საცმელი და ცხენი და შენ მაშინ გამოჩნდი, როცა საქმე გაჭირდეს.

**მოურავი.**

აბა მაშ, დავით ჩაიცვი და ფთხილად იყავ რომ უბრალოდ თა-ვი არ წაახდენინო

პაპუნა ჩივაძე. (შემოდის)

ძალიან მაგრა აქვთ მეფესა და ზურაბსაც რაზმები გაწყობილი. ზოგიერთ ადგილებზედ ჩვენსა და იმათ ჯარებს დატაკება მოუხდათ და ვერა გავაწყეთ რა. დუშეთის მხარეს ძალიან გაცხარებული ბრძოლაა. იასემა და ბადურ ციციშვილმა ეს ორჯერ შეუტიეს ზურაბსა, მაგრამ ორჯერვე ზურაბმა გამოაბრუნა უკან და ახლა თითონ ზურაბი უპირებს დაცემას. იასე თხოულობს, რომ ეგება მუხრანელობა მოგვაშველოთო.

მოურავი.

აბა, ქაიხოსრო, მიაშველე იქ ცოტა შენი ჯარები და თქვენც მალე შეუტიეთ თეიმურაზის ჯარებს და კახელობას, თორემ, რაკი ავიშალეჩით და ვიგვიანებთ—ეგ იმათ წაასალისებს. დავით აგერ მოაქვთ ჩემი საცმელი და ცხენიც მოჰყავთ... ახლა შენ იცი როგორც იმოურავებ. მე ამ სერიდამ გიყურებთ და რა წამს ერთი ბეწვა გაჭირდეს, მაშინვე მაცნობეთ. (გადიან ყველანი. რჩება მარტო მოურავი, ელია დიასამიძე და რამდენიმე მსახური. მოურავი ჩაფიქრდება). რა დიდი მოწყალება იქნება ღვთისაგან, რომ მე აღარ მომინდეს ამ ბრძოლაში ჩასვლა... ამოდენა საქართველო შუაზედ გაყოფილა და ერთი ერთმანერთს ვულეტავთ... თუ ჩემს აზრს კეთილი ბოლო არა აქვს, ღმერთო რატომ აქამდინ არ მომკალი და რათ მიჩვენე ამდენი ქვეყნისაც და ჩემი უბედურებაცა. დაა, შვილი, დედა, ძმა, გაზრდილი, რამდენი გულით საყვარელი მეგობარი და ნათესავი შევსწირე ამ აზრს.. დღეს ამ აზრისთვის მთელი ჩემი ქვეყანა ერთმანერთისთვის შემისწირია და თუ არ არის, ღმერთო, შენი ნება საქართველოს ცხოვრებისა, რათ მიჩვენებ ამ დღეებს, და რათ ჩამიმარხე გულში ეს დაუცხრომელი აზრები, რომელნიც არც დღე და არც ღამე არ მაძლევენ მოსვენებას; რატომ არ მომეც ისეთი გული, როგორც სხვებს, რომ ჩემი ქვეყნისთვის მეც იმათის თვალით შემეყურებინა და მეც იმათსა-

ჯით განსვენებით: მეცხოვრნა, რომ არ გავმხდარიყავ მიზეზი ტყუილად ამოდენა ჯარის და ქართველებისაგან ერთი ერთმანერთის სისხლის დაღვრისა. ღმერთო! რატომ არ მომეც იმდენიც არის მხედველობა, რომ მცირეც არის მცოდნოდა შენი განგებულება, რომ თუ ჩემს აზრებს არ ეწერათ კეთილი ბოლო, არც ერთი ქართველის სისხლის წვეთი არ დამეღვარა და შესრულებულიყო უსისხლოდ ყოველშენი ნება... დღეს მიუნდობილვარ ალალა-ბედს, ჩემს გამბედაობას და მეცადინეობას, და სათავო საქმეს ვსწირავ ამოდენა სისხლს. (ჩაფიქრდება). რატომ აქამდინ არა მქონდა იჭვი ჩემი აზრების შესრულებაიზედ, როდესაც რომ უარესს დღეში ვყოფილვარ მეცა და ჩემი სიცოცხლეც?! იქნება ღმერთი არ მიწონებს, რომ ამოდენა ქრისტიანეთ სისხლს უპირებ დაღვრას .. ნუთუ მე ამ სისხლს ვღვრი მართლა ამათი და არა ღირს ჩემი აზრების შესრულება ამოდენი ქართველების სისხლად?!.. ნუთუ ვრცელი და დაუსრულებული მომავალის ბედნიერება არა ღირს დღევანდელი დღის მოკლე უბედურებად, თუნდა რომ ამ უბედურებამ შთანთქას ნახევარზედ მეტი ქართველობა! ჩვენ არც ძველ დროში, არც დღეს ბედნიერება არ მოგველის, თუ ჩემი აზრები არ შესრულდა... ღმერთი არ უნდა იყვეს ამისი წინააღმდეგი, თუ უნდა ჩვენი ხეირი... სისხლმა და ჩვენმა გამარჯვებამ უნდა გაჰბანოს დღეს საქართველო ძველი ცოდოებისგან და განაახლოს ჩვენი ცხოვრება... განვედით ჩემგან ცუდნო გულისთქმანო და იჭვნეულებანო... ან გამარჯვება და ან მთლად ჩვენიცა და იმათიც გაჟლეტა... სულ ერთია დღეს მოკვდებით თუ ხვალ დიდს ხანს წვალებას სიკვდილით—ერთს დღეს მოკვდეს სნეული, ისა სჯობიან.

ელია დასამიმე (რომელიც სხვა მსხურებით გაჭყურებდა ბრძოლას სერიდამ).

ბატონო, ბატონო! ძალიან გაცხარდა ომი, რომ მეტი აღარ იქნება. მთლად კახელობა ჩამოერია ომში და ამოდენა მეომარი სულ

ერთს ადგილს შეიჯგუფა და არის ერთი საშინელი ტრიალი... არიქა! წამოიღეს ჩვენი ჯარები... იმერლობა გამოიქცა... გამოიქცნენ ყველანი... მივეშველნეთ...

მოურავი.

ჩქარა ჩემთვის ცხენი... უთუოდ მოკლეს გოგორიშვილი. (გადის საჩქაროდ მოურავი და გასდევენ ყველანი).

მოურავი. (ქართველობა და იმერლობა შემოსცვივიან სცენაზედ და მოჰყავთ თავში დაჭრილი თომა მაჭავარიანი იმერლების სარდალი. ამათ თან მო-ელალებიან კახელობა და სხვა თემურაზის ჯარები და ცდილობენ მაჭავა რიანის შეპყრობას. შემოდის დავით გოგორიშვილი მოურავის ცხენით და სამხედრო საცმელით დააგერებს მაჭავარიანს ჯარებს. ამ დროს შემოდიან მეფე თეიმურაზ, ედიშერ ჩოლაყაშვილი და სხვა მრავალი თავადობა საშინელის ყიჟინით.

თეიმურაზ.

არიქა, ჩემო თავადებო! აი ჩვენი სისხლისმსმელი მოურავი. ჩემი ნახევარ სამეფო მიმიცია, ვინც მე მაგის თავს მიშოვნის (თითონ დგება ჯარებში).

ედიშერ ჩოლაყაშვილი.

დადექ, მოურავო! დღეს არის ჩვენი განჩინება...

დავით გოგორიშვილი

აქ გასლავართ!.. დადექით კახელებო!.. არიქა ჩემო ქართველობავ!.. ღმერთო და ჩვენო სიმართლევ!. (შეუტევს თეიმურაზს დი იმის მხლებლებს. თეიმურაზ იხევს კიდევ უკან. ყველანი იხევენ უკან. გოგორიშვილი გასდევს. აქ უცებ ერთი ყრუ ადგილიდამ გამოცვივიან მრავალი თავად—აზნაურნი და შემოერტყმიან გოგორიშვილს გოგორიშვილი იბრძვის ცხარედ).

მეფე თეიმურაზ.

არიქა, ბატონებო... მისამ მოუშველებოდნენ. (ამ დროს გოგორიშვილი დაეცემა დაჭრილი რამდენსამე ადგილას და დაჩოქილი იბრძვის) ეგ არის!.. აღარა შეუძლიან რა!..

ედიშერ ჩოლაყაშვილი.

დაგვნებდი, მოურავო. თორემ ვეღარ წარგვისვალ ცოცხალი.

მეფე თეიმურაზ.

მოჰკალით!.. მოჰკალით ეგ სისხლით გაუმაძღარი. (გოგორიშვილი იბრძვის და თან და თან სუსტდება).

ედიშერ.

დაგვნებდი, მოურავო.

გოგორიშვილი.

ისე არ დამცირებულა ჯერ მოურავი. (ამ დროს დაიჭრება კიდევ და აპირებს წაქცევას).

მეფე.

მაგის სიცოცხლე არ იქნება... ეგ უნდა მოკვდეს... დადექ, მოურავო, თუ რამე შეგიძლიან. (შემოუტევს. ჰკრავს გოლოტს თავში და გოგორიშვილი დაეცემა უსულოდ). მოკვდი ეგრე, მეფეთა და ხალხთა ამრევო... არიქა, ახლა ჩვენია გამარჯვება!..

მრავალნი თავადთაგანი (ყვირიან)..

მოკვდა მოურავი... ბატონს თეიმურაზ მეფეს გაუმარჯოს!..

ჯარები.

ბატონს თეიმურაზს! გაუმარჯოს...

მრავალი თავადობა.

აბა ახლა დადგნენ აი მოურავის ჯარები...

მეფე.

გამუსრეთ, გამუსრეთ ყველანი, რომ სინსხილა აღარ გაუშვათ მოურავის ჯარებისა. (ხმალ გაწვდილი გადაერევა), მომყევით აქ...

გამარჯვება ჩვენია. (მოურავის ჯარები გარბიან არევით. კახელობა შეიპყრობს თოშა მაჭავარიანს). წაიყვანეთ ეგ მაჭავარიანი, მოსჭერით ცხვირი და ყურები და ისე გაუგზავნეთ იმერთა მეფეს... დაე სცნას, ვინც გაიხადა იმან მტრად (თეიმურაზ გასდევს გაქცეულს ჯარებს თავისის ჯარებით. პატარა ხანს უკან სცენას გარეთ ისმის საშინელი არეულობა. თეიმურაზ თავისის მხლებლებით შემობრუნდება ისევ უკან შემკრთალი). არიქა!... უშველეთ!... მოურავი!...მოურავი!... გაცოცხლდა...ცოცხალი ყოფილა... არიქა, კახელებო... არიქა თავადებო-თქვენი ჭირიმეთ ..

ედიშერ ჩოლაყაშვილი.

ნუ გეშინიან, ბატონო!... შენ შენის მხლებლებით ისევ აქ დადექ და სხვა ამორჩეული თავადობა ისევ თავის ადგილას მიიმალნენ. მე ჩამოვიტყუებ იმას აქამდინ და აქ უცებად დავესხნათ,... მინამ შენ გაამხნევე ჯარები... კიდევ ღმერთია მოწყალე... არიქა, კახელნო და ქართველნო, მომყევით... მომყევით და გიჩვენებთ, რომ მოურავი არ არის ისეთი საშიში, როგორც ჰგონიათ.... (გადაერქვა ხმალ ამოღებული და მისდევენ თან მრავალი ჯარები. სცენას გარეთ კიდევ ისმის ბრძოლის ხმა და ყიჟინა, რომელიც თან და თან ახლოვდებიან· ოცი თავადისშვილი იმალება ყრუ ალაგას. მებრძოლის ჯარი ხან შემოდის და ხან გადის გარეთ).

რამდენიმე მეფის მხლებელი თავადობა (გაჰყურებენ მებრძოლთა).

ჰოუ! პაპაპაპა!... ეჰეიიიჰა!... წამოიღეს... ოჰოუ! მოურავი! მოურავი!.. სულ მკვდრების ხროვა შეაყენა... უბრალო ტანისამოსით არის... ეჰეი, შენი ჭირიმე, ედიშერ!...რა კაცია და.., შეაყენა მოურავი... ჰეჰეი!... წამოიღო მოურავმა... წამოიღო, წამოიღო!...

თეიმურაზ.

გაამხნევეთ, თქვენი ჭირიმეთ, გაამხნევეთ ჯარები ., უბრძანეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ჩვენ მახლობლად ბევრი ჯარი იდგეს.... არ დაიძრათ თქვენცა...
რაწამ მოვიდეს, უცებ, უცებ მოჰკალით....

რამდენიმე თავადობა.

ჰეი! ჰაჰაჰაჰაჰა!... არია .. წამოიღო მოურავმა.... მორბიან...

თეიმურაზ.

მე წავალ აქედამ... კიდევ გავამხნევებ ჯარებს... წავალ ზურაბთან... ჯარებს მოვაშველებთ.... თორემ მოურავი სულ გაგვმუსრავს... ჰხედავთ რას სჩადის.. ვაი თუ ეგეც კიდევ სხვა მოურავი იყვეს....

ერთი თავადთაგანი.

როგორ თუ ამისთანა დროს წახვიდე!... დადექ... სადაც ამოდენა ქვეყანა იყვეს—იქ შენც იყავ....

რამდენი ჯარების წინამძღომელნი.

მიგვიძეს, შენ მიგვიძეს მეფევ წინა, თორემ გაგვიტყდა ჯარები..

თეიმურაზ.

არიქა, თქვენი ჭირიმეთ... რჯულისა და ქრისტიანობისთვის...
მიდით, ნუ გეშინიანთ...

რამდენიმე თავადი

აგერ ზურაბიც მოდის ჯარებით... ახლა ფიქრი აღარ არის...
ბევრი ჯარი მოჰყვას ზურაბს... მივიდა მოურავიც.. სულ წინ გამოირეკა ჯარები....

თეიმურაზ.

აბა კარგა მიიმალენით... უცებ... უცებ.. მაშინვე მოჰკალით.
(თითონაც ჩაიკრიფება მხლებლებში).

ედიშერ ჩოლაყაშვილი (შემოდის ბრძოლით).

მოდი, მოდი, მოურავო, ეს მე და ეს—შენ...

მოურავი (ელალება ედიშერს და იმის ჯარებს).

დასდექ, დასდექ, ედიშერ!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედიშერ.

მოდი! ახლაა შენი ბიჭობა. (ანიშნებს დამალულებს). არიქა, თქვენი ჭირიმეთ, კახელებო!... ვეღარ წაგვივა მოურავი. (დამალულნი უცებ გამოდიან თავის ადგილებიდამ და ერტყმიან მოურავს გარშემო).

თეიმურაზ.

მოჰკალით! მოჰკალით... უცებ, უცებ...

მოურავი.

ოჰ, თეიმურაზ, შენა!?... სხვებს რათ უბრძანებ, შენც კაი ვაჟკაცი ხარ... (რამდენიმე თავადობა ეღობებიან. მოურავი გადმოჰკრის იმათ ცხენებიდამ. თეიმურაზ და მოურავი შეიბრძვიან. მოურავი ჰკრავს კოლოტს და გადმოაგდებს ცხენიდამ).

ზურაბ ერისთავი (შემოდის უცებ ჯარებით).

აბა, გიორგი მოურავო, დღეს არის მე და შენი განჩინება. შეუტევს მოურავს ხმლით. მოურავი აუკრავს ხმალს და აიცდენს. ჰკრავს კოლოტს და დასცემს. მოურავს ეძალებიან ედიშერ ჩოლაყაშვილი და მრავალი თავად-აზნაურობა).

ედიშერ ჩოლაყაშვილი.

აბა, ახლა მე და შენცა ვცადოთ გიორგი ერთმანერთი. (შეუტევს ხმლით. მოურავი აუკრავს ამასაც ხმალს, ჰკრავს კოლოტს და დასცემს. ედიშერ წამოხტება სანჩქაროდ.) ფიქრი არ არის აქვე გახლავართ. (წამოავლებს ხელიდამ გავარდნილს ხმალს და შეუტევს. ზურაბ და მოურავი შეხელდახელდებიან. ამ დროს ედიშერ და სხვა რამდენიმე თავადობა ჰკრავენ მოურავს ხმლებს. მოვრავი წაიჩოქებს.)

მოურავი (წამოხტება ხანჩქაროდ.)

აგრე კი არ უნდა!.. (ჰკრავს კოლოტს ედიშერს დასცემს და გადივლის ზედ, ჰკრავს კოლოტს ზურაბს და დასცემს. ამ დროს სხვა თავადები წაუშენენ ხმლებს და სჭრიან მოურავს ფეხში, შემდგომ ხელში მოურავი იბრძვის ცალის ხელით. ამ დროს ჩამოეშვ-

ლებიან მოურავს რამდენიე თავისი მხლებლები. აგრეთვე წამოესევიან ზურაბის ჯარებიც. მოხდება არეულობა. ამ დროს მოჰხვდება მოურავს გულში ისარი და უგონოთ დაეშვება ელია დიასამიძისა და პაპუნა ვაშაყაშვილის ხელზედ. მოურავი გაჰყავთ სცენიდამ.)

ნოდარ ჯორჯაძე.

არიქა, გახელობავ! მოკვდა მოურავი, ერთიც კიდევ და გათავდა... გამარჯვება ჩვენია...

ზურაბ ერისთავი. (ეურდნობა თავის ორს მხლებელს.)

არიქა, ჩემო არაგველებო!.. მოიგონეთ მამიჩემის ნუგზარის დრო... სააკაძისაგან როგორ უნდა ვჭამოთ სირცხვილი... (შეუძღვება ჯარებს.) მოიყვანეთ ტასტრევანით დაკოდილი მეფე, როგორც იყვეს... ახლა მოურავი მკვდარია... იმის ჯარებს ერთი შეტევის მეტი აღარა უნდათ რა... მეფის ნახვა ჩვენს ჯარებს გაამხნევებს. (შემოჰყავთ მეფე და უდებენ ტასტრევანზედ.)

ნოდარ ჯორჯაძე.

ბატონს მეფეს თეიმურაზს გაუმარჯოს... მოკვდა, ბატონო, შენი სისხლის მსმელი... მიუძღვს ჯარებს ეგრე ტასტრევანით... მოურავს ახლა ვნება აღარა შეუძლიან რა...

თეიმურაზ.

წამიყვანეთ... მომყევით... გამუსრეთ და დაატყვევეთ... მკვდარი მოურავი არ დაანებოთ... შეიპყარით. (მიაქვთ მეფე წინ ჯარები მისდევენ.)

ზურაბ ერისთავი.

მომყევით აბა, არაგველებო... მიჰყევით და სულ ყლიტეთ... ბატონს მეფეს თეიმურაზს გაუმარჯოს!.. (იღებს ხმალს და მიუძღვის ჯარებსა).

ჯარები. (გასდევენ ზურაბსა).

ბატონს მეფეს გაუმარჯოს.

არაგველები.

ბატონს ზურაბს გაუმარჯოს.

კახელები.

კახელობას გაუმარჯოს.

## სურათი III

### სცენა VI

სცენა სწარმოებს აწყურის არემარეზედ. მოურავი არის მარტო. დგას ორს ყავარჯენზედ დაყრდნობილი და ფიქრით გაჰყურებს ქართლის მხარეს.

მოურავი.

ეგ არის—ჩვენ დამარცხებულნი გავრბივართ იმ ქვეყნიდამ, რომლისთვისაც ასე თავგაწირულნი იმავ სიყრმითვე არ ვზოგავდით არავითარს დასთმობას... ჩვენ უნდა დავიღუპნეთ... ნუთუ მართლა უნდა დავიღუპნეთ?!.. საშველი აღარსად არის?! ვითომ მართლა აღარ არის?!. დავიჯერო მეტი ღონისძიება აღარ მოიპოვება იმის გარდა, რაც აქამდინ მიხმარია საქართველოს შველისთვის!?.. არა! ღონისძიება არ დაილევა, თუ კაცი მოინდომებს...და, თუ მე ამ წყლულებსა და დაჭრილობაებს გადავრჩი, ჯერ იმედი არ გადამიწყვეტია. მე ვგრძნობ ჩემს თავში კიდევ ძალას, და სადაც ძალა არის, იქ ღონისძიებაც არ დაილევა. ღმერთი სულ გრძელია... ალბად თხოულობს ჩვენგან მო-

თმინებას, რომ უფრო მკვიდრი ბოლო მისცეს ჩვენს დაწყობილებას... ოღონდ ამ დაჭრილობას გადურჩე...

გიორგი ქავთარაძე (შემოდის).

რას ჰფიქრობ, გიორგი?... ნუ დაუკარდები თავს... კაცი ის არის, ვინც უბედურებაში არ დაჰკარგავს სიმხნევეს... თუ როდისმე ყოფილა საქართველოსთვის საჭირო შენი თავი, ყველაზედ უმეტესად არის ეხლა... გახსოვდეს, რომ ვერც თეიმურაზ და ვერც ზურაბ, ნამეტნავად ეხლა, რაკი მოურავზედ გამარჯვებულნი შეიქმნენ, ვერ იზრუნავენ ქვეყნისთვის ვერასფერს კეთილს.

მოურავი.

რა გაეწყობა: უნდა მოვითმინოთ და ვეცადნეთ. ეხლა მეც ფიქრში ვიყავი, და კარგი რომ ღმერთმა შენი თავი მაინც შემარჩინა იმავ სიყრმით სიბერემდინ. ჩვენი მისამართი ეხლა ხონთქრის მეტი აღარავინ არის. უნდა შენ გასწიო დღესვე და სულ დღე და ღამ იარო. ფაშისგან ფირმანს მიიღებ... მიდი ხონთქართან. იმასთან, როგორც შენგან ვიცოდე, უნდა ეცადო, რომ პირის პირ გინახვინოს და ეს ამბავი უნდა მაცნობო რაც შეიძლებოდეს მალე, მინამ მე მოვიცდი ჩემის ქართველობით არზრუმში.

ქავთარაძე.

ჩემს თავს იყვეს. მაშ მე ეხლავე გავსწევ ახალ ციხისაკენ, რომ ფაშა ვნახო და ფირმანი მივიღო, მშვიდობით. (ჰკოცნიან ერთმანერთს). შენს გარეშე სხვა საშველი არ უჩანს საქართველოს... (უჩვენებს ქართლისკენ). შეჰხედე ამ ქვეყანას, შეჰხედე ამ ხალხს .. ამათ თავისი შესაფერი პატრონი და ცხოვრებაც ეკადრებათ. (გადის).

მოურავი (მარტო).

ნეტავი არ იქნებოდა, რომ შენსავით ბევრს სხვას ეყურებოდეს ეგ აზრი... მაშინ გიორგი მოურავი ასე შერცხვენილი, ასე გულმოკლული არ განიდევნებოდა სამშობლოდამ... მაშინ ჩვენს ჭერს ქვეშ

გვექნებოდა დამშვიდებული ცხოვრება და მოვრჩებოდით ამდენს გლოვასა და ცრემლს... მაშინ არ გვექნებოდა სხვის ცხოვრება სანატრელად.

ისე ქსნის ერისთავი. (შემოდის მკლავ ჩამობმული).

გიორგი, კიდევ უნდა გამხნევდე და როგორც იყვეს შეიკრიბო ძალა და გავმგზავრდეთ, თორემ თეიმურაზ და ზურაბ ჯარებით მოდიანო... ქაიხოსროსთვის შემოუთვლია დამნებდით და არას გერჩითო... მაგრამ, აბა იმას საპატრონ ყმოდ როგორ დაუდებთ თავს...

მოურავი.

ვიცოდი თეიმურაზისგან რაც ბოლო იქნებოდა, მაგრამ ზურაბისგან მაგას არ მოველოდი, ჩემი სისხლის მსმელად დავამოყვრე მე ეგენი... მეტი გზა არ არის, უნდა გავეცალნეთ: დღეს თეიმურაზ გამარჯვებულია.

ისე.

ჩემი სათქმელი სულ ის იყო, რომ თუ გინდა გამარჯვება, ვინც გზაში გადგიდგეს, ყველა უნდა გადასთელო, მეთქი. თუ ერთხელ დამარცხებულს მტერს ბოლო არ მოუღე საუკუნოდ ის თავის დღეში მტრობას არ დაგიშლის, რაც გინდა სიკეთე უყო რადგან კაცი წყენას და მეტადრე მარცხს ძვირად დაივიწყებს, და ცხადივ იქნება, თუ მალვით, გავნებს რაც კი შეეძლება, მეორეც ეს, კაცის გული ისეთია რომ თუ ერთხელ შერჩა ავკაცობა, კვლავ უარესს იზამს, შემდეგ ზნეთაც გადაექცევა, და მერე თუნდა კიდეც რომ უნდოდეს, ვეღარ მოითმენს სიავკაცეს... თუ გინდოდა, რომ ჩვენ დღეს ასე შერცხვენილნი არა ვყოფილიყავით და დევნილნი ჩვენი ქვეყნიდამ, ძალა შენს ხელთ იყო და შენი მტრების ხინსილაც კი აღარ უნდა გაგეშვა ქვეყანაზედ. არა თუ ცხადი მტერნი, და ისინიც კი უნდა გაგემუსრა, რომელნიც საეჭვონი იყვნენ, რომ მტრობას გაგიწევდნენ. სისხლის ღვრა არ არის

კარგი, თუ კაცმა იცის, რომ უამისოდ ვნება არ მიეცემა: თუ არა სი-სხლი პირველი წამალია.

მოურავი.

ცხოვრება ზეგრ ნაირია: კაცს ისეც მოევლება—ისეცა ბოლო გა-რემოებაზედ ჰკიდია... და რა გარემოებას რა ბოლო მისდევს— ის არა ვინ იცის: კაცის ხელთ ხოლოთ ცდა არის...

ქაიხოსრო მუხრ. (შემოდის)

თეიმურაზ და ზურაბ აქაც აღარ გვეშვებიან და მოგვდევენ ჯარებით... ჩვენს ქართველობას უნდა შენი ნახვა.

მოურავი.

მობრძანდნენ. (ქაისოსრო გადის) საწყალი ჩემი ქართველები, რა რიგ არიან ჩემთვის თავ დადებულნი!.. ვინ იცის ახლა რა დღე მოე-ლით მაგათ ჩემის გულისთვის შინ რომ დაბრუნდებიან, და მე კი არა მაქვს იმდენი ღონე, რომ უშველო მაგათ... მე უნდა იმდროს სათა-თრეთში ვიყვე და ვეძებდე ჩვენი პირველი დამამხობლებისაგან შეწევნას უნდა თავდამცრობილნი მუხლ მოდრეკით ვეხვეწებოდე ჩვენი სისხლის მსმელებს, რომ მოგვცენ საფარველი... (შემოდიან მრავალნი ქართლის თავად—აზნაურნი). მობრძანდით, ბატონებო... დღეს მე შევიქმენ თქვენი უბედურების მიზეზი .. მაგრამ იმედი მაქვს მიუტევებთ ამ უბედურებაში ჩავარდნილს მოურავს.

რამდენიმე თავადი

ბატონო გიორგი! შენთვის არც წინათ ვზოგავდით თავს და ახლაც შენის გულისთვის რაც მოგვივა, შეგვიწირავს თავები... მხო-ლოდ ეს კი ვიცით, რომ, თუ მოურავი ცოცხალია, არ გაუშვებს ჩვენს ცოლშვილს და ქვეყანას უნუგეშოდ... კიდევ შენს მეტი იმედი ჩვენ არა გვაქვს, და იმისთვისაც გიახელით, რომ ჩვენ სუყველას გვ-სურს შენი ხლება... სადაც შენ იქნები, ჩვენც იქ უნდა დავიხოცნეთ.

მრავალნი.

შენთან სიკვდილი გვირჩევნია—სხვასთან სიცოცხლეს.

მოურავი. (მოსდის თვალებზედ ცრემლი).

თქვენით ჰქონია თქვენს გიორგის ყოველთვის ძალა... თქვენი იმედი ამხნევებდა ყოველთვის ჩემს დაწყლულებულს გულს... და ახლა, ამ განწირულს ყოფაში უნდა გამოგეთხოვოთ და გაგშორდეთ... უნდა დასთმოთ ბედისაგან დევნილი გიორგი, ვიდრე კვალად, ძალა და ღონე შეკრებილი, არ მოითხოვს თქვენს შემწეობას ქვეყნის გამოსახსნელად... მანამდინ კი ჩემი თხოვნა თქვენთან ის არის, რომ დაჰბრუნდეთ, და მიჰხედოთ თქვენს დაობლებულს და უპატრონოდ გაშვებულს ცოლშვილს. მაგრამ გახსოვდეთ ყოველთვის, რომ მოურავი თქვენთვის და თქვენის სიმართლისთვის არის ამ დევნაში და კიდევ თქვენთვის დასდებს თავს... მინამ დაემორჩილებით თეიმურაზს და რომ იმისგან ვნება არა მოგეცეთ რა, მე ფაშას მიუყენებ იმას და უეჭველია შიშით მაინც სცემს პატივს... მშვიდობით. (ეხვევა და ჰკოცნის. ყველანი ჰკოცნიან მოურავს და მრავალნი ჰკოცნიან ხმალსა და ტანისამოსზედ. მრავალნი სტირიან).

რამდენიმე თავადი.

მშვიდობით. თუ ღმერთმა გვაღირსა კიდევ შენი თავი, ჩვენი თავიცა და ჩვენი ცოლშვილიც შენთვის შეგვიწირავს... ერთი შენი სახელი—და ჩვენი თავი შენი ჯარის სანაცვლოდ გაგვისდია.

პაპუნა გაშაყაშვილი. (შემოდის).

ბატონო, მალე უშველოთ ჩვენს თავს, თორემ თეიმურაზ და ზურაბ მოგვიახლოვდნენ.

მრავალნი.

მოვიდნენ, მოვიდნენ! ბარემ აქვე დავიხოცთ ბატონ მოურავთან თავებსა და აღარა ვნახავთ იმ სირცხვილს, რომ თეიმურაზ და ზურაბ გაგვიბატონდნენ.

რამდენიმე თავადი.

გვიბრძანე ბატონო გიორგი, გაგვიძღვე და გიჩვენებთ, რომ კი-

დევ ისე არ დავმცრობილვართ, რომ იმათთან ბრძოლა არ შეგვეძ-ლოს...

მოურავი.

არა, ბატონო! უშველეთ ახლა თქვენს თავს... ასე მცირენი მიწყვე-ტილნი და დაჭრილნი იმათს დასვენებულს და წაქეზებულს მრავალ ჯარებთან ვერას ვიზამთ,—ტყუილად დავიხოცავთ თავებს... მშვიდობით, თქვე-ნი ჭირიმეთ... შეიბრალეთ თქვენი ცოდვილი... და როცა საჭირო იქნება, გიორგი სააკაძე თითონ დაგიძახებთ თქვენ და იმედია ასეთს სირცხვილს აღარა ვჭამთ.. მშვიდობით ბატონებო, მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ!..

ყველანი. (უკრავენ ერთბაშათ თავს).

მშვიდობით! (გადის ტირილით). რჩება მოურავი, და ქაიხოსრო მუხრანის ბატონი).

ქაიხოსრო.

მაშ ჩვენ ყველაფერს გავამზადებთ, რომ საჩქაროზედ წავიდეთ (გადის ქაიხოსრო, მოურავი მარტო. ადის სერზედ და გადაჰყურებს საქართველოს მხარეს გულ ხელ დაკრეფილი).

(სცენის გარეთ ისმის ქალის ხმით სიმღერა.

«ვაი სოფელო რას შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,
«ყოვლიმც შენი მინდობილი, ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა:
«სად წაიყვან სადაურსა, სად აღუვდგრი სადით მირსა...
«მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგნით განაწირსა...»)

მოურავი.

იმღერე, ჩემო ასულო, ეგ საგლოვო ხმები... მამადაშენიც შენ-სავით მაგ გვარს გულის-საკლავს ხმებს ჰმღეროდა... და ვინ იცის შენც იმისავით გულის საკლავი ბოლო გიწერია... გიორგი სააკაძის ბედისაგან გასაკვირველი არა არის რა. (ამბობს ფიქრით). «მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგნით განაწირსა!..» და თუ კაცი

თვით ღმერთისგან არის განწირული?!.. ასე კი არ ითქმის: «ხალხსა შენგნით განაწირსა?!» მე სულ იმ იმედზედა ვარ, რომ ღმერთი ხალხს არ გასწირავს... ბოლოს კარგს მისცემს... მაგრამ, ნუთუ ეს ხალხის გაწირვა არ არის, რომ დღეს ამოდენა ქვეყანა ამ დაუსრულებელს უბედურებაშია?!.. ვსთქვათ ჩვენი შვილის შვილების მომავალი სწორედ კარგია... მაგრამ ჩვენ რომ წუთის სოფელი ჩაგვმწარდა, ჩვენ რომ ჩვენი დღენი მწუხარებსა და ვაებაში დავაღამეთ, ნუთუ ჩვენ ხალხი არა გვქვიან?:.. მაშასადამე რა მიზეზია, რომ ღმერთმა ჩვენი მომავალნიც ჩვენზედ უარესად არ განწიროს?!... ჯერ რამდენიც წინ მივდივართ, იმდენი უარესს ვხედავთ... (ჩაფიქრდება). ჩვენ გვქვიან ღვთის ერი, ჯვარის თაყვანის მცემელნი... ჩვენ ასე უწოდებთ ჩვენს თავს... სხვებს ვეძახით ღვთისაგან შეჩვენებულთა... თურქნი, სპარსნი არიან მაჰმადიანნი... ღვთისაგან შეჩვენებულნი... ესენი გვნთქავენ ჩვენ... ღმერთი არ გაუშვებს თავის ერს!!!... ჰმ!!...

ფაფუნა ვაშაყაშვილი (შემოდის).

მზად გახლავთ ყველაფერი,—თქვენ გელიან. (გადის ისევ).

მოურავი.

მზად არისო!... უნდა გამოვესალმო ჩემს მიწაწყალს, ჩემს ქვეყანას, სადაც პირველად დავინახე მზე... სადაც ჩავღვარე ამოდენა სისხლი და ოფლი.

(ისმის სცენის გარედამ სიმღერა).

«არ გაგვილიმა სოფელმა,
«ტანჯვა გვიქცია სვედრათა,
«შავბედი გზათა დაგვიდო,
«გლოვა გაგვიდო სიდათა...
«სამშობლოს მხარით გაგვტყორცა,
«ტყვეთ მიგვცა უცხოს ალაგსა...
«მშვიდობით, ტკბილო ქვეყანავ,
«შორით გიგზავნით სალამსა...»

მოურავი.

ოჰ, ჩემო ხოვიო, მაგ შენს ტკბილს ხმებში თითქო იწურება ჩემი გულის მწუხარება... ნუ თუ შენც გედება ამგვარი რამე ალი?!... იქნება შენ დაგრჩა ისეთი გულის სატრფო შენს სამშობლოში, რომელსაც შენ ვერავისთან გაამჟღავრებ და რომლისაც დაშორების მწუხარებას ჰსახავ შენს გულის მომკვლელს სიმღერის ხმებში... ღმერთო! რაზედ მიკვდება ასე გული ამ მოშორებაზედ?!... რატომ კვლავ არ უკვნესია ასე მტკივნეულად ამ ჩემს გულს?!... ასე მიკვნესოდა გული, როცა უკანასკნელად ვესალმებოდი ჩემს პაატას.. ოჰ, ჩემო ტკბილო ქვეყანავ! შენ შემოგწირე ჩემი პაატა, და დეე მოვკვდე მეც შენს გზაზედ... კიდევ ვცდი ერთს ღონეს .. ოოო! თუ იმედი არა მქონდეს კიდევ შენის შვილისა და ხსნისა, აქვე მოვკვდებოდი და შენ კი აღარ დავშორდებოდი ამ სიბერის დროს, რომ ამ ჩემთ ძვალთ მაინც განესვენათ თავის სანატრელს ქვეყანაში... მშვიდობით, საქართველო. (იჩოქებს და სტირის). მშვიდობით შვილივით ნაამაგდარო ქვეყანავ... (ემხობა პირქვე და ჰკოცნის დედამიწას). მშვიდობით, ჩემო აღმზრდელო მიწავ. (იღებს ერთს მუჭა მიწას და იდებს უბეში). ეს ერთი მუჭა მიწა მაინც ჩამყვეს ჩემს საფლავში, თუ არ მიწერია ჩემს ქვეყანაში დამარხვა... მშვიდობით! და ვაი იმათ, თუ გამარჯვებული დავბრუნდი შენს გამოსახსნელად, ვინც მე წინ დამიდგება... (დგება და საჩქაროდ გადის).

## მოქმედება ე.

### სცენა 1

სცენა წარმოჳბს სტამბოლს, სულთანის სასახლეში. სულთანი და დიდი-მოურავი არიან მარტონი.

**სულთანი.**

მე დიდად გამიკვირდა, რომ ასე ჩვენი დაუმორჩილებელი და თავდაუდებელი გურჯისტანის სარდალი — საავამე დღეს მოგვადგა კარს თავდაბლად და ისურვა ჩვენი თაყვანება.

**მოურავი.**

ვინა არს ცათა ქვეშე მზირალი მზისა სხი... , რომელი არს ჭმონებდეს ძლიერს მფლობელსა აღმოსავლეთისა და დასავლეთისას. მე, უკანასკნელს მონასა თქვენსა, ვითარ შემეძლო ისე დავლამება ჩემის სიცოცხლისა, რომ არ გავმისდარიყავ ღირსი მაღალის ხონთქრის თაყვანებისა, რომლისაც აღმვრით — აღიძვრის თვით დედამიწაცა.

**სულთანი.**

მაგრამ როცა უძლოდი შაჭაბაზ ყაენის ჯარებს და იოსოდი ბა-

ღდადში, მაშინ ვგონებ აგრე არა ჰფიქრობდი... შემდეგ იმ უკადროსობისა, რომელიც შენ მიგვაყენე ბაღდადისა და სხვა ადგილების წართმევით, შენ ჩვენს კარს რკინის პალოზედ აგების მეტი ღირსი არ იყავ; მაგრამ რაკი თვით შესულხარ ხინანულში,—პატივსა გსდებთ შენს გმირობას, იმ იმედით, რომ ამ ჩვენს სულგრძელებას დაიმსახურებ ჩვენ წინაშე.

მოურავი.

მარტო მაღალმა ღმერთმა უწყის, როგორც მოხდა ჩემი თქვენთან წინაამდეგობა. თქვენც კი მოხსენებული გექნებათ, ვინაიდგან არა არს ცათა ქვეშე დაფარულ, რომელი არა უწყოდეს მძლევთა-მძლეველმან და ძლიერთა უძლიერესმან ქვეყნისა მპყრობელმან სულთან—მურადმა. როდესაც მეფემან ქართლისამან ლუარსაბ დამიწყო დევნა სასიკვდილოდ ჩემი სურვილი იყო, რომ მაშინვე თქვენის საფარველისთვის მომემართა, მაგრამ შემიკრეს ყოველმხრივ გზა, რომ არ შემძლებოდა აქეთკენ გამოსვლა; და მაშინ მეტი გზა არ იყო უნდა გავცლოდი ჩემთა მდევართა საითაც გზა მიჩვენებდა. გზამ მომცა სპარსეთში გასვლა და სპარსთა ხელმწიფემან შაჰაბაზ შემიწყნარა. რაკი იმან ისე შემიწყნარა, მასუკან ვაჟკაცის წესი არ იქნებოდა, რომ არ აღმესრულებინა სურვილი შაჰისა;—თუმცა მაშინაც და ყოველთვისაც დარწმუნებული ვიყავ, რომ თქვენი წინააღმდეგობა არავის გამოადგებოდა და ყოველთვის ვეძებდი დროს, რომ მეჩვენებინა თქვენთვის ჩემი ერთგულება.

სულთანი.

რომ არავის გამოადგება ჩვენი წინააღმდეგობა, ეგ იმითი დაგვიმტკიცეთ, რომ რაც შენ სპარსეთიდამ გამოხველ, ჩამოვართვი სპარსთა წართმეული ადგილები და ბევრი სხვაც კიდევ.

მოურავი

დიახ. ეგ გახლავთ მიზეზი, რომ დღესაც თქვენ, და სხვას არავის, მაჰმართა სარდალმა სააკაძემ. ჩემი ხლების მიზეზი, გარდა პირის

პირ თაყვანის ცემისა, რომლისაც მონატრე ვიყავ ჩემს სიცოცხლეში, გასლავთ კიდევ ისა, რომ მიიღოთ თხოვნა, რათა შეიქნეთ ხელმწიფე მთლად სრულიად საქართველოისა. მე ეს თქვენ შეუწუხებლივად უნდა მომესერხებინა და ვისმე იმერთა და ათაბაგის ჯერები, რომ ქართლი და კახეთი მიმეცა იმერთა მეფისათვის, რომელიც არის თქვენის მფლობელობის ქვეშ. მაგრამ მარტო ჩვენის ძალით ვერას გავსდით. სპარსნი წაქეზდნენ ამ ჩვენის დამარცხებით და კიდეც შეიტყვეს, რათაც ვაძლევდი ქართლსა და კახეთს იმერთა მეფეს, ამისგამო ისინი ეცდებიან, რომ დაიპყრან იმერეთიც და ამითი დაამცირონ თქვენი ტახტი და თქვენი დიდება. მე კარგად ვიცნობ სპარსთა: ისინი არიან დაუძინებელი მტერნი და მეშურნენი თქვენის დიდებისა; ისინი ეძებენ ყოველს მარჯვე დროს, რომ თქვენ დაგამცრონ და თვითონ აღემაღლნენ ამით. იმათ ეხლავე აქვთ თქმულება თეიმურაზთან, რომ დაიპყრან იმერეთი და გამოგაცალოსთ თქვენ ხელიდამ და კიდეც ჰპირდებიან დიდს შემწეობას. და მე მოგახსენებთ, ძლიერო ხელმწიფეო, რომ იმერეთის დაპყრობით მოიცემენ სპარსნი დიდს ძალას; რათგან, თქვენ უწყით, რა ვაჟკაცი ხალხიც ასხია იმერთა სამეფოს და სამთავროებს. მე გიახელით ჩემითაც და თვით იმერთა მეფის გიორგის მონდობითაც რომ თხოვით შემწეობა სპარსთა და თეიმურაზის ძლევისათვის რათა მონა თქვენი გიორგი მეფე შეიქნეს მპყრობელი ქართველთ-კახეთისაც, რომ გასადოს მთლად ქვეყანა საქართველოსი საყმოად და ამითი დაამცროს თქვენი დაუცხრომელი მტერის სპარსეთის ტახტის ძალა. ვიცი, რომ სპარსნი არა თუ თვით, თუ შეიძლებენ რასმე, და აღაშფოთებენ თქვენს საკუთარს საყმოსაც. დიდი ხანია იმათ ჰქონდათ ლაპარაკი საზასტასთან რომ აშლილიყვნენ ისინი და სპარსნი აღუთქვამდნენ ყოველრიგს შემწეობას. არ დაცხრებიან სპარსნი, ვიდრე იმედი აქვთ საქართველოს მხრივ. ამისგამო და სპარსთა შესამუსრავად, იძლევენით, ხელმწიფეო, მთლად საქართველო და გვიბრძანეთ, რომ

აღვასრულო ყოველი თქვენი ბრძანება. თქვენთვის შემოგვიწირავს ერთობ საქართველოს ჩვენი თავი და ჩვენი სიცოცხლე.

სულთანი.

მომეწონა შენი სიტყვები. შენ სთქვი ისე, როგორც მე დიდი ხანია მიცვნია სპარსელები. შენი განზრახვაც დიდი ხანია მე მაქვს, მაგრამ ამის აღსრულებას ვერ შევსდგომოდი, რაკი ნახევარზედ მეტი საქართველოსი არ ჰიდებდა თავს და ეწეოდა სპარსთა ხელმწიფესა. ახლა რაკი უწარჩინებულესი სარდალი გურჯისტანისა თვით მასლვს და მთხოვს საფარველს, ახლა უფრო ადვილია მაგ აზრის შესრულება. მაგრამ ჯარებით უფრო სხვაფრევ მიჭირს შენი თავი. ჯერ ჩემი ჯარები არიან სხვა საქმეზედ. ხომ იცი, რომ სახასტის რამდენიმე ქვეყანა და ქალაქი აგერ კარგი ხანია აღარ გვიდებს თავს. მესმოდა და ახლა შენი სიტყვებითაც მტკიცდება, რომ ისინი არიან გაბრიყვებულნი სპარსთაგან და მოინდომეს ჩემი სამფლობელოდამ განთავისუფლება. ჩემი პირველი ვეზირი და ჩემი საყვარლის დის ქმარი აგერ წელიწადზედ მეტია ადგია ერთს იმ ქალაქთაგანს ასი ათასის კაცით, და წარმოიდგინე შეუპოვრობა ჩვენის წინააღმდეგებისა, რომ აქამდინ არ ემორჩილებიან ჩემს ჯარებს. ამისგამო შენ შენის ქართველებით უნდა წახვიდე ჩემს ვეზირთან და დაეხმარო განდგომილის ქვეყნის დასამორჩილებლად. თუ იქ დაგვიმტკიცებ შენს ერთგულობას და ვაჟკაცობას, რა წამს დავიპყრობთ იმ ქვეყნებს, მაშინვე მოქცემ ძალას, რათა ჩემი აზრიცა და შენი სათხოვარიც მოვიყვანოთ აღსრულებაში. დრო არის, რომ ჩვენ დაუდეგართ მტერთ—სპარსთა ვაცნობოთ ჩვენი ძალა და დავმცროთ ისე, რომ კვლავ აღარ განიზრახონ ჩვენი წინაღდეგობა.

მოურავი.

გასლავართ სრული მონა თქვენის ბრძანებისა და თქვენის სურ-

ვილის. მიბოძეთ ფირმანი და მე უმალვე გიახლებით თქვენი ბრძანე-
ბის შესასრულებლად.

სულთანი.

ეხლავე უბრძანებ, რომ მოგცენ ყოველი სამზადისი და ქახალდ-
საც მივსწერ ვეზირს, მასუკან შენ იცი.

მოურავი.

მაღლო ხელმწიფევო! ეს ყოველი განზრახვა უნდა დარჩეს საი-
დუმლოდ, ვიდრემდის საქმეს საქმეზედ არ მივიყვანთ, თორემ ცბიერნი
სპარსნი მოგვიცრიან ხელს და თითონ გაიკეთებენ საქმეს, როგორც
უჯობსთ.

სულთანი.

სწორედ გონიერულად ამბობ: შენ სთქვი, რასაც მე ვფიქრობ-
დი. ყოველივე იქნება დაფარული. მშვიდობით. (გადის).

მოურავი.

ღმერთო!.. (გადის).

## სცენა. II

ს ც ე ნ ა ს წ ა რ მ ო ე ბ ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი, თ ე ი მ უ-
რ ა ზ მ ე ფ ი ს ს ა ს ა ხ ლ ე შ ი, გ რ ე ბ ს. თ ე ი მ უ რ ა ზ ა რ ი ს
მ ა რ ტ ო.

თეიმურაზ.

ეს ქართლ-კახეთი დავიმორჩილე. სვიმონ მეფის თავიც ხომ
ძღვნად მომართვა ჩემა ზურაბმა; მოურავიც გავიცალე. მტერი ზეჯრი
აღარავინა მყავს. დეე მოურავმა იქ ოსმალებისთვის სთხიოს სისხლი.
მაღლს მაღლური ცხოვრება ეკადრება... ყეენიც ვეღარა კადნიერდება
აგრე რიგად.. ეს ერთი კარგი საქმე მიყო მოურავმა, რომ ზურაბს

დამამოუგრა... რა საქმეები არ ჩაიდინა ჩემის გულისთვის ზურაბმა!.. ოო, ჩემო ზურაბ! დაუფასებელი ხარ შენ ჩემთვის... განა უშენოდ დღეს მე ასე თავისუფლად კივლიდი ჩემს კახეთში... ახლა რამდენი სხვა ქვეყნები დამიმონა...

ერთი დიდი კახეთის თავადი. (შემო-
დის შეწუხებულის სახით).

მე გიახლით, ბატონო მეფევ, თქვენთან ერთის საქმის გასამჟღავნებლად... მაგრამ...

თეიმურაზ.

მაგარი?!...

თავადი.

მაგარი!... არ არის ადვილი სათქმელი, მეტადრე თქვენთან... მაგრამ...

თეიმურაზ.

თქვი, მამაშენი ნუ წაგიწყდება? ხომ იცი მე იჭვში ყოფნა მეჯავრება.

თავადი.

უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენცა და ქვეყანაც გამოგიხსნათ გან-საცდელისაგნ, თუმცა ვიცი, რომ თქვენ ეს ამბავი გაგაოცებთ და დაუ-ჯერებელი გეჩვენებათ.

თეიმურაზ.

ბრძანე მამიშენის სულის მზესა! განა ისეთი რამ მოხდება ჩემს თავს, რომ დასაჯერებელი არ იყვეს: მე ჩემის ბედისაგან ყველას მოველი.

თავადი.

მოგახსენებთ, თუ ჯერ ღვთის ფიცს დამიდებთ, რომ ეს სიტყ-ვები არ გამოვა, თორემ მეც მევნება და თქვენ ხომ უარეს მოელოდეთ. ეს ამბავი იმისთანა კაცზედ გახლავსთ, რომელსაც ყველაფერი შეუძლიან.

თეიმურაზ. (შეკრთალი).

რა იყო? მოურავი ხომ კიდევ არაფერს გვიპირებს?

თავადი.

ჯერ ფიცი მიბრძანე, თორემ არ შემიძლიან რომ მოგახსენო.

თეიმურაზ.

მეგმოს წამებულის დედიჩემის ქეთევანის სული, თუ ჩემგან შენ ეგ სიტყვა გაგივიდეს.

თავადი.

ბატონო ჩვენო და მწყალობელო! თქვენც შეატყობდით ზურაბს, რა რიგად არის აზავებული. ამდენმა ქებამ და დიდებამ სრულებით ააზავა ეგ. მოგეხსენებათ კიდეც—გავკადნიერდები და მოგახსენებთ, რათგან თქვენი ასულის ქმარი გახლავსთ — რა მოდგმის კაციც არის. პაპა მაგისი იყო ერთი უბრალო ღატაკი აზნაურშვილი და მამამან მაგისმან სისხლით შეიძინა, რაც დღეს ნუგზარის შვილებს უჭირავთ. მოგეხსენებათ კიდეც, რომ ნუგზარ მოკვდა მეფის ორგულებაში და მოურავის სამსახურში. ესეც ხომ გუშინ იყო, რომ ზურაბმა, რაკი დაატყო სვიმონ მეფეს ძალა, გადაგიდგათ თქვენ და მისცა ქართლი სვიმონს. შემდეგ დაგვატყუოთ, რომ ძალა თქვენსკენ იყო, მაშინ სვიმონ მეფეს მოტყუებით და ღალატით მოსჭრა თავი და მოგართვათ თქვენ.. ჰნახეთ ეგრეთვე, რომ ზურაბ მას აქეთ მეფობას ჩემობს და თქვენ, თითქმის, საქვეყნოდ არად გაგდებთ. ამის შემდგომ არა ვიცი, მეფეო, სხვაც რამ შენიშნეთ ზურაბს, თუ არა?

თეიმურაზ.

ჰო, ბრძანე სხვაც ბრძანე მამიშენის სულის მზეს... იქნება კიდევ სხვაც რამა აქვს გუნებაში?!

თავადი.

აქვს კი არა, დიდებულო მეფეო, და გადაწყვეტილიცა აქვს.

აქვს გადაწყვეტილი და მოურავზედ უარესად უპირებს ქვეყანასა და თქვენ დაღუპვას..

თეიმურაზ.

მართლა მამიშენის სულის მზეს?... მითხარ რა განუზრახავს ჩვენს დასაღუპავად... ზურაბ სახუმარი კაცი არ არის; დიდი ხანია ვხედავ, რომ მე იმისი გაფრთხილება მმართებს.

თავადი.

გაფრთხილება არა, ბატონო, და სხვა უარესიცა გმართებთ, თუ გინდათ თქვენი თავიც და ქვეყანაც უბედურებას განარინოთ... ზურაბს განუზრახავს საშინელება, რომელიც სათქმელადაც შესაზარავია ყოველის კახელის კაცისათვის... ზურაბს განუზრახავს თქვენი სიკვდილი და ქვეყნის დაღუპვა... ამაზედ ის კიდევ განძრახვია სპარსთა.. მეფეო! დაიხსენ ქვეყანა უბედურებისაგან: გვეყო ამდენი სისხლი და აოხრება.

თეიმურაზ.

ზურაბს განუზრახავს ჩემი სიკვდილი?!.. ოო! განა არა დიდი ხანია ცუდს განზრახვას ვატყობდი მე იმას, სწორედ წამებული დედიჩემის მადლი მიფარავს მე ბოროტთ გამზრახავთაგან.. სად არის ნოდარ... სად არის ეხლა ზურაბ?

თავადი.

ნოდარ თქვენს სასახლეში გახლავსთ და ზურაბ არაგვზედ. იქიდამ აქვს ჩუმად მითქმა-მოთქმა სპარსებთან...

თეიმურაზ.

ნოდარს როგორღა ჰხედავთ. ისიც ძრიელი კაცია.

თავადი.

ნოდარ კახელი კაცია და ჯერ თქვენი ერთგულების მეტი არა ეტყობარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ.

ვიცი, დარწმუნებული ვარ ჩემს გასელობაზედ, ჩემს ნოდარზედ... მივმართო ისევ ნოდარსა... მე და ზურაბობა აღარ იქნება... (გადის).

თავადი. (მარტო).

დიდი ხანია ზურაბ ბოლო მოსაღები იყო და გვიან ეღება ბოლო. (შემოდიან რამდენიმე თავადობა).

პირველი თავადი.

რა ჰქენ?

თავადი.

რა ვქენ?! დიდი ხანია ჩვენ ეს ღონე უნდა გვეხმარა... მე შენ მოგახსენო ბატონი ადვილად არ დაიჯერებს... მერე ზურაბზედ რას არ დაიჯერებს: არ დაინდო თავისი მამისოდენა ნაამაგდარი და სიძე მოურავი, არ დაინდო საკუთარი ძმები, არ დაინდო მეფე სვიმონ, და რა საკვირველია, რომ თეიმურაზ თავის თავზედაც იჭვს შეიტანდა და დაიჯერებდა... იქნება მართლაცა და არც კი დაინდოს, თუ გაუშვირდა...

მეორე თავადი.

ოღონდ, და!

მესამე თავადი.

ხომ დარწმუნდა?

თავადი.

აბა, რა! მაშინვე ნოდარისკენ გასწია: მე და ზურაბობა აღარ იქნებაო... ახლა ნოდარმა იცის...

მეოთხე თავადი.

ხომ გააზრთხილე, რომ არ გაგტეხ?!

თავადი.

რაღა თქმა უნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხუთე თავადი.

უნდა მოკლას, თორემ თუ ცოცხალი დარჩა, ჩვენ ის კეთილს არ დაგვაყრის.

თავადი.

რა საკვირველია... მაშ გგონიათ ქსლა თუნდა თავდებიც რომ მისცეს კიდევ ენდოს ის ზურაბსა... ეს არის გათავდა იმისი სიცოცხლე.

მეექვსე თავადი.

დიდისანია ჩვენ ასე უნდა გვეფიქრა რამე... ჩვენ ორს ღმერთს ვერ ვემსახურებით... ჩვენ ორს ბატონს ვერ ვიყოლიებთ.

მეშვიდე თავადი

ჩვენზედ უკანასკნელი კაცი რომ გვებატონებოდეს, დიახაც და არ არის მოსათმენი...

მერვე თავადი.

განა ჩვენ კაცები არა ვართ. ეგეც ხომ მოურავი არ არის, რომ ვერავინ რა გაუბედოს...

თავადი.

არ იქნება... მერე მეფეც ჩვენ გაგვირისხდება სხვებიცა და არაგველებს ხომ აქ ვეღარავინ დაუდგებით... ისევ სჯობს რომ მეფის ბძანებით მოვიშოროთ თავიდამ.

მეცხრე თავადი.

აგერ მეფე და ნოდარიც მობრძანდებიან. გავიდეთ და გარედამ უგდოთ ყური რას ილაპარაკებენ. (გადიან).

(შემოდიან მეფე და ნოდარ ჯორჯაძე).

ნოდარ ჯორჯაძე.

მე თითონაც ვატყობდი ზურაბს რაღაცა სხვა ნაირს ანგარიშებს მაგრამ ვერ გამებედნა: ვაითუ მეფეს ეწყინოს, მეთქი... ახლა აღარც კია ჩვენთვის საჭირო ზურაბი. ესლა ჩვენ ზურაბის ძმები უფროც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვინდა ჩვენ. მოურავი საშიში აღარ არის, რადგან თითქმის ყველანი გამოსცლიან და დაბრუნებულან შინ. ისეთია ისე ქსნის ერისთავი, რომ სულ კბილებს იმტვრევს... მოურავი თავისებურად ბატონობას და ჩემჩემაობას არ იშლიდა, საჩუქარი ხონთრისგან მარტო სულ თურმე იმას მოსდიოდა, და სხვის ხსნება კი არსად იყო. ეს რა სა- კვირველია ქართველობას ვერ მოუთმენია და გამოსცლიან ზოგიერთ წვრილმალების მეტი. ქაიხოსრო მუხრანის ბატონი და ქავთარაძეც თურ- მე დროს ემებენ, რომ გამოეცალნენ. ისე და სხვები ამ დღეებში გიახლეიან თუ შეირიგებთ და გეყმობიან საუკუნოთ. შეურიგებლობა იმათი არ იქნება, რადგან ზურაბის საყმოს გადაკიდება მოგვინდება. ამასთან ხომ იცით, რომ იმათაც დიდი ძალა უჭირავთ ხელთ.

თეიმურაზ.

მე მაშინვე ვიცოდი, რომ მოურავი თავისას არ დაიშლიდა... გარწმუნებ რომ კიდევ ზურაბ უარესია მოურავზედ... მაგათი შერი- გება გვიჯობს, ოღონდ გადასახადი მოგვართვან.

ნოდარ.

დიდი მოსართმევი აქვთ თქვენთვის მოტანილი.

თეიმურაზ.

კეთილი, მგეც ერთი, რომ ღმერთი ჩვენ ხელს გვიმართავს! .. ახლა ზურაბის მოშორებაღა გვაკლია და მაშინ ბატარა გული მოგვისვე- ნებს... აბა მაშ შეუდეგ თავდარიგს და როგორც შენგან ვიცოდე, ჩემო ნოდარ. მოიგონე წამებულის დედი ჩემის ღვაწლები. იმისი მადლი იფარავს კიდევ ქვეყანას

ნოდარ.

დარწმუნებული ბრძანდებოდე, მეფეო, რომ ნოდარ თვით თავის თავსაც არ დაზოგავს თქვენი დიდებულობისთვის. უნდა მოკვდეს ურჯული მეფის ორგული! (გადის).

თეიმურაზ.

და კიდეც მოკვდება. (გადის ისიცა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სცენა III

სცენა სწარმოებს სოხასტს ერთს ქალაქში, მოურავის ხადგომზედ. აქ არიან მარტო მოურავი და გიორგი ქავთარაძე.

### მოურავი.

აი, გიორგი! გავათავე ყველა წერილები. ეს მიუტანე გიორგი მეფეს. რასაკვირველია, ისე და სხვანი მისულები იქნებიან საქართველოში. გააფრთხილე კიდევ შენათაც, რომ არ აჩქარდნენ და უდროვო — დროით არ მისცენ რამე მიზეზი თეიმურაზს და ზურაბს. როგორც იმათთვისაც მითქვამ, როცა დრო იქნება, მე თითონ გაცნობებ იმათ ყველაფერს. შენც მდაბლად ეცი თაყვანი თეიმურაზს; ზურაბს რაც შეგეძლოს დაუასლოვდი. ერთი დრო იყო, რომ შენ ძალიან უყვარდი და გიჯერებდა სიტყვას. რაც შეიძლოთ ეცადეთ დაჰყაროთ ხმა ჩვენი გამარჯვებაებისა, და ეცადეთ რომ ეს ხმა, უფრო და უფრო მოედოს ხალხს; მაგრამ დიდნი პირნი დიდ—პირებთან ერიდეთ ჩვენს ქებას. გამარჯვებაებზედ ბევრი ილაპარაკეთ. მეფის ერთგულებთან შამაგინეთ, როგორც მტრებმა და სხვებთან ერიდეთ ჩემს ურიგოთ ხსენებას. თუ მეგობარნი აგინებენ ხალხში კაცს, იმ კაცს ესტიბარი უტყდება და ჰკარგავს რწმუნებასა.

### ქავთარაძე.

სულთანი როგორ გაიმედებს, როდის იქნებაო?

### მოურავი.

ყოველივეს მაშინა სცნობთ, როცა მე შეგატყობინებთ. თვით გიორგი მეფემაც არ უნდა იცოდეს—როდის, ან როგორ რა იქნება. მხოლოდ თქვენცა და ისიც უნდა ყოველ წამს მზად იყვნეთ.. შენ

ყოველივე ისე უნდა დაწყო, როგორც მითქვამს, თორემ ერთს სიტყვის გადაბრუნებას შეუძლიან ჩვენი საქმის წახდენა... მე რომ აწყურს ჩამოვალ, თქვენ მანამდინ ქოჩორას გადმოსულები უნდა იყვნეთ. ეცადეთ ალისა და სურამისა ხალხი ჩვენკენ იყოს პირველსავე დროს. ეს არც არის ძნელი, რადგან მე იმათ ძალიან უყვარდი. ქაიხოსროც რაწამ დაბრუნდება სტამბოლიდამ, მაშინვე გამოვგზავნი. ისიც მისული იქნება ეხლა სტამბოლს. მშვიდობით. სულ დღე და ღამ უნდა იარო.

ქავთარაძე. მშვიდობით. (ჰკოცნიან ერთმანერთს, ქავთარაძე გადის.)

პაპუნა ვაშაყაშვილი. (შემოდის.)

ჩვენ მგონი აღარც კი მოგვინდება ამ უკანასკნელი განდეგილების სიმაგრესთან ბრძოლა.

მოურავი.

როგორ?

ვაშაყაშვილი.

რაკი სპარსეთის მხრივ გზები შეუკარით, სრულებით უსაზრდოვოთ დარჩნენ და ძალიან გასჭირებიათ საქმე. მოციქულები გამოუგზავნით, რომ თუ შეგვირიგებენ, დავემორჩილებით და თავს დაუკრავთო.

მოურავი.

შემოუშვი მოციქულები. (ვაშაყაშვილი მიდის) ეს კარგი საქმე მოდის, რომ თვითვე თხოულობენ შერიგებას. მე ამასაც ჩემი საქართველოს სასარგებლოდ მოვიხმარებ.

(შემოდის ვაშაყაშვილი და მოციქულები. მოციქულები ეცემიან მუხლის თავებზედ, იდებს ერთი იმათგან თავზედ ქაღალდს და არიან ისე.)

მოურავი (აიღებს ქაღალდს და კითხულობს.)

კარგი. თუმცა ბრძანება მაქვს, რომ არამცა და არამც არ შეირიგოთო, მაგრამ მე ვეცდები დიდებულს სულთანთან, რომ მოგიტევოთ თქვენი შეცოდებანი. მხოლოდ სხვა გადასახად გარდა, თქვენ უნდა ათასი კარგი შეიარაღებული ცხენოსანი კაცი მოგვცეთ მეომარი გურჯისტანისკენ საომრათ თავისის საგძლით და ხვედრის ფულით.

მოციქულები. (იდებენ გულზედ, ტუჩზედ და შუბლზედ ხელსა და დგებიან.)

ოღონდ ქალაქს ნუ წაგვიხდენდ და ხალხს ნუ გაგვიწყვეტავთ და ჩვენ მზათა ვართ ყოვლ რიგის სამსახურისთვის.

მოურავი.

მაშ ეხლავე დავაწერინებ პირობას, რომელზედაც მოავწერთ ორივე მხარე ხელს, და მაშინ თქვენი ქალაქი დარჩება უვნებლად. (მოციქულები ჰკოცნიან მოურავს კალთის წვერებზედ და გადიან.)

მოურავი.

ახლა ყველა გაჩალხულია, გამგზავრების მეტი აღარა გვინდარა. ათასი კაცი ჩვენს ხელთ ათი ათასს სხვას უდრის. (გადის.)

## სცენა IV

ს ც ე ნ ა  ს წ ა რ მ ო ე ბ ს  ს ტ ა მ ბ ო ლ ს,  ს უ ლ თ ა ნ ი ს  ს ა ს ა ხ ლ ე შ ი.

ერთი სულთანის ცოლი.

რა კაცი გამოგვიდგა ე გურჯი სააკაძე, თითქმის სულ დაუპყრია განდეგილები. სულთანი დიდს წყალობას უმზადებს... სულ იმის ქებასა და ლაპარაკშია.

მეორე სულთ. ცოლი.

თუ არ საკაძე, განდეგილები აქამდის სტამბოლს აიღებდენ. საკ-

ვირველს რასმე ამბობენ მაგ გურჯსა... განა თუ მართლა გურჯები იბრძვიან იმის ხელით კარგათა, იმის ხელში ოსმალები კიდევ თურმე უკეთესათ იბრძვიან...

მესამე ცოლი.

მთელი სტამბოლია და სააკამეზედ ლაპარაკი. მე კი მაშინვე ვამბობდი რომ თუ რასმე იზავს — ის იზავს, მეთქი. ჯერ ერთი ისე რომ შეჰხედო, იტყვი მართლა ეს გაიტანს ათას კაცსაო. რომ დადის, თითქო დედამიწა ირყევაო.

ერთი მხლებელი ქალი.

სტამბოლი დიდს სამზადისშია, რომ, როცა დაბრუნდება სააკამე —დიდს დახვედრას უპირებენ. სადაც არ შეხვიდე — ყველგან სააკამის ლოცვაში არიან. იმის მეტი სტამბოლში ეხლა სალაპარაკო აღარა არის რა.

მეორე მხლ. ქალი.

თქვენმა მზემ ღირს კიდეც სალაპარაკოთა. ათის კაცით თურმე ათასს ისე გამუსრავს რომ თითქო აქ არა ამბავიაო.

მესამე მხლ. ქალი.

ცხენიან კაცს თურმე აიღებს და ისე ესვრის ერთმანერთსა. კედელს თურმე ერთი წიხლის მირტყმევით ანგრევს.

მეოთხე სულთანის ცოლი.

მუხის ხეებს თურმე ჰგლეჯავს ცალის ხელითა.

დიდი ვეზირის ცოლი.

თქვენმა მზემ რაც არი და არ არის, ერთი ათასედ აზვიადებენ. რა კი გურჯია ახლა იმისთვის ამბობენ აგრე, თორემ დიდი ვეზირის ცალი სულაც არა ბრძანდება. სირცხვილიც კია, რომ ამოდენა მართლ მორწმუნე მართლა ერთს ვიღაცა გიაურზედ ლაპარაკობენ და სხვა სალაპარაკო ვეღარა უშოვნიათ რა.

### ერთი სულთანის ცოლი.

გიაურია თუ ვინც არის, დღეს იმან გაამძლიერა სულთანის ტახტი და დიდება, და! დიდი ვეზირი აქამდინაც იქ იყო, მაგრამ კი ვერა გაწყო რა.

მეოთხე მხლებელი ქალი. (შემოდის).

გურჯის სარდალს გამოუგზავნია კიდევ მრავალი ტყვეები და ალაფი. ერთი პატარა ქალაქიღა დარჩენია ასაღები. ეხლა მოიყვანეს ტყვეები დიდებულს სულთანთან. მთელი სტამბოლი გარს ახვევია. წამობრძანდით და სანათურიდამ უყურეთ.

ყველანი (ვეზირის ცოლს გარდა).

აკი მოგახსენეთ! ისევ გურჯების სარდალი!.. თუ არ ისა, ვინ იცის რა მოგვივიდოდა. წავიდეთ ჩქარა უყუროთ (ყველანი მიდიან).

ვეზირის ცოლი. (მარტო).

ჰმ! სულ სააკაძე და სააკაძე... ესეც კიდე იმას გაუმარჯვენია... ქვეყანა იმაზედ ლაპარაკობს, ქვეყანა იმას აქებს და ჩემის ქმრის ხსენება არსად არ არის. მართლა თუ ქალაჩუნა არ არის ჩემი ქმარი, აქამდინ როგორ ითმენს ამდენს თავის დამცრობასა?!... იმას რომ ვაჟკაცის გული ჰქონდეს, აქამდინ იმას ცოცხალს გაუშვებდა? ჯერ ეს რამდენჯერ მიმიწერია, რომ მოჰკლას და გააწყოს სააკის სახელი; და ის კიდევ გულ-ხელ დაკრეფილი უცქერის თავის შერცხვენას... რით იცის, რომ სულთანი ახლა იმას არ დააყენებს პირველ ვეზირათ... მერე რაღათ მინდა თავი ცოცხალი, რომ ხელმწიფის და სახელმწიფოში პირველი კაცის ცოლი არ ვიყო!... ერთიც კიდევ მივსწერ წიგნსა, რომ მოჰკლას, და თუ არც მაშინა ჰქნა, მასუკან ამიღია იმის ცოლქმრობაზედ ხელი.... ჩემი ქმარი თუ სხვაზედ უარესი იქნება, არ მინდა... ან მოჰკლას სააკაძე... ან არა და მალე გავცვლი იმის თავს სააკაძეზედ... ჩემი ქმარი უნდა იყვეს პირველი კაცი... რა-

თგან არ მოჰკლავს სააკაძესა... მაშინ სააკაძე ყოფილა ღირსი ჩემის ქმრობისა და არა ეგა... ეხლავე გსწერ წიგნსა...ან მოკლას სააკაძე, ან ჩემი თავი დაუთმოს იმასა... წავიდე, მე ამათი ყურება არ შემიძლიან. (გადის).

სულთანი (შემოდის და უჭირავს წიგნი ხელში).

ჰაი, გიაურ, ჰყურობ როგორ შინაც მიშფოთებენ სპარსნი ხალხსა! (კითხულობს). «თუ არ სპარსნი, განდეგილებს აქამდინაც დავიმორჩილებდით. მრავალი ჯარი სპარსთა, შეშინებულნი, დაბრუნდნენ უკანა.... სპარსნი კვეხულობენ, ვითომც ისინი სჯობნიდნენ თქვენს უძლეველს ჯარებსა და თქვენთვის ხარჯი დაეწეროთ...» ჰაი, დონღუზ!. დამაცადონ!... მალე გამოვაცლი მე მაგას გურჯისთანს ხელიდამ. (გააღებს კარსა) სთხოვეთ მობრძანდეს მუხრანის ბატონი. (შემოდის ქაიხოსრო მუხრანის ბატონი). მაშ ერთი პატარა ქალაქი და დარჩათ.

ქაიხოსრო მუხრ.

დიას, დიდებულო ხელმწიფევ.

სულთანი.

სპარსნი ხომ ვეღარ მიეშველებიან?

ქაიხოსრო.

სპარსნი შეშინებულნი სააკაძისაგან, დაბრუნდნენ.

სულთანი.

დაბრუნდნენ? რათ იკადრეს!? შიგ თეირნამდინ უნდა მიჰყოლოდით... მოიცადონ... ეგ მაგათ ეგრე არ შერჩებათ...

ქაიხოსრო.

დიდი დაბრკოლება მოგვცეს სპარსთა. მაგრამ უძლეველმან ჯარმან თქვენმა სრულიად სძლია იმათი ცბიერება. მოინდომეს სააკაძის მოსყიდვა, მაგრამ სააკაძემ მოჰკვეთა თავი გაგზავნილს კაცს, და გაუგზავნა შეენს.

სულთანი.

ჰმ! ჰურრობ!.. განა ისე მომკლავს ღმერთი, რომ იმათი ჯავრი შევჭამო .. მადლობელი ვარ თქვენ ქართველებისა, რომ ეგ უველა ამბები შემიტყუეთ, ყოველიფერს სააკამის სათხოვარს შევასრულებ ისე, როგორც იმის სურვილია, ოღონდ ის სპარსთა ჯავრს ნუ შემაჭმევს. ახლა თქვენ განისვენეთ ამ ჩემს სასახლეში. ყოველიფერი მისაღები თქვენთვის აქ არის მზათა. (რეკავს ზარს. შემოდის ყაული). დამიძახე ვეზირს. (ყაული გადის).

ქაიხოსრო მუხრ.

ჩვენი ვალი გახლავსთ, რომ დიდებულის სულთანის სამსახური ყოველისფერი შევასრულოთ.

ვეზირი. (შემოდის).

რას უბრძანებს ყოვლისა ქვეყნის მპყრობელი თვისს უკანასკნელს მონას.

სულთანი.

ამ დიდებულს ქართველს მიეცით ბინა ჩემს სასახლეში და ყოველი სამსახური სულ დაჩოქილთ ყულთ გაუწიონ და ემსახურებოდენ ისე, როგორც მე. სხვა ელოდეთ ჩემს ბრძანებას. (ვეზირი და მუხრანის ბატონი იდებენ გულზედ ხელს და გადიან).

სულთანი.

სააკამის შექრთამვაც რომ მოუნდომიათ... ჰაი, გიაურ!.. ჰაი ასპიდო!.. აგიოხრებთ მე თქვენ ქვეყანას... შიგ თეირანის ქუჩების მეიდნზედ ავატარჟებ თქვენს დედებს თქვენს აუროლებულს მძღვრზედა... ჯერ ე გურჯისტანი გამოგაცალოთ ხელიდამ.

## სცენა V.

### იმერთა მეფის სასახლეში, სადაც არიან შეყრილნი იმერეთის მთავარნი და თავადობანი.

მეფე გიორგი.

ისმინეთ, დიდებულნო მთავარნო და დიდებულნო თავადნო იმერეთისანო, რა განუზრახავს ჩვენზედ მოურავს სააკაძეს?!.. აჰა, თურმე მართლა შერცხვენილი კაცი ყოფილა და ჩვენ სანდო კაცად მიგვაჩნდა იგი. გაუგულისებია ჩვენზედ ჩვენი დაუძინებელი მტერი ხონთქარი და მოდის ჩვენზედ ძლიერის ჯარებით, რომ შემუსროს ჩვენი გვირგვინი, ჩვენი ხალხი და ყველანი მიგვცეს თათრობას. დიდებულნო! და რავა მოვითმენთ ჩვენ ამას სააკაძისაგან და რავა წავესდეინებით თათრებს. ამისთანა დღეს არვინ ჩვენთაგანმა არ უნდა დაზოგოს თავი და თუ ვიძლევით მტრისაგან, სიკვდილი გვიჯობს შერცხვენილ სიცოცხლეს. აწი მისთვის მიხმია მე თქვენი თავი და თქვენ იცით რავარც დაეხმარებით თქვენს თავსაც და თქვენს ქვეყანასაც. მე მზად ვარ. გვმართებს ყველას გამზადება და მტრისა მტრულად მიგებება.

გიორგი ქავთარაძე

მეფევ, მთავარნო და დიდებულნო! ყველამ იცით რა მეცნიერი კაციც არის სააკაძე და ან რა ძალის პატრონია, თითქმის აღარ არის ქვეყანა, სადაც იმას არ ეომნოს და არ შეემოსოს ძლევა. ყოველი გამარჯვება იმისი არის დამოკიდებული ცბიერებაზედ. ხონთქრისაგან დაგრთამული ის უპირებს მთლად იმერეთს დალუპვას და ამის აღსასრულებლად ის ეცდება უცებად მოსვლას. ამისაგამო, თუ გინდათ თქვენის თავისა და თქვენი ქვეყნების დაცვა, უნდა სულ გამზადებული იყვნეთ, რომ რა წამს ცნობა მიიღოთ, მაშინვე პირში მიეგებნეთ, რომ ის არც კი

მოელოდეს ამ ამბავს, თუ არა—სააკაძეს აღარა გაუჭირდება რა და არცარა გაუკვირდებარა.

დადიანი.

აჰ! რა მომაგონებდა, რომ გუშინ ჩვენი მეგობარი სააკაძე, დღეს ჩვენ მტრად აღგვიდგებოდა. კი გვმართებს, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს, გამზადება. სააკაძეს სასუმარი კაცი არაა. მე ჩემის მეგრელებით ყოველ წამ მზად ვარ... ეგება არ გვწამოთ თათრებისა და სააკაძისაგან სირცხვილი.

გურიელი.

შენ არ მოუკვდე ჩემს თავს, გურიელებს დღესაც დამასხების მეტი არ უნდოდეს. მაინც და მაინც რავა გვიბედავს სააკაძე ჩვენ მაგ ამბებს. ავა, ბატონებო, და აწი კი გვმართებს ერთი პირი, ყველა შურს და მტრობას თავი დავანებოთ, თუ არა თათრების სიმრავლე ხომ იცით: რამდენიც უნდა დასოცო, უფრო მრავლდებიან ჯინჭველი გორასავით.

შარვაშიძე.

კი არ არის ჩვენი ქართველი კაცისაგან მაგი საკადრისი. მიდის და თათრებზედ გვყიდის. შენ ნუ მოუკვდე, თათრებისთვის რომ არ შევიკრიბნეთ, ჯერ მარტო სააკაძეც არის მაგისთანა საქმისთვის ჩვენგან ავად მოსაკიდებელი. ჩვენ ერთმანერთს არ ვინდობთ და თათრებისაგან რავა დანდობა უნდა ვითხოვოთ შენ ნუ მოუკვდე, უნდა სულ ქუდზედ კაცი გამოვიდეთ და კაი გამზადებაც გვმართებს. მაგი არ არის ხუმრობა. თუ ერთი გვიძლიერით, მაგისთანა კაცი სულ აღარავის დაზოგავს.

ქავთარაძე.

დაზოგავს კი არა, სწორედ იმ პირობით მოდის, რომ მთლად ქვეყანა იმერეთისა მოსპოს და გაასწოროს მიწასთან.

რამდენიმე თავადი.

აწი და მაშ ჩვენ კაცნი არა ვყოფილვართ, მაშ ჩვენ ულვაში არა გვისხმია. თათრები კვლავაც კი გვინახავს, მარა ბარგ-აკიდებული გაგვისტუმრებია. ახა, და მოპარვა კი არაა ბიჭობა, მეკიდეს ცხადლივ და მაშინ ნახავს რაცა ბრძანდება.

ქავთარაძე.

კიდევ ეგ არის უბედურება, რომ ცხადლივ არ მოვა სააკაძე. ამისთვის მოვახსენებთ, რომ ყოველ წუთას მზად იყვნეთ. მე საყმაწვილეოთვე ვიცნობ სააკაძეს ის ცხადლივ არაფერს აკეთებს... ყოველის ფერით: კაცით, იარაღით, საგზლით სულ მზად უნდა ვიყვნეთ, რომ სააკაძე ისეთი ადვილი საძლევი არ არის, რომ ერთისა და ორის ომით გადურჩეთ ჩვენ იმას.

სხვა რამდენიმე თავადი.

კი! კი, შენ ნუ მოუკვდე! ყოველისფერით გვმართებს გამზადება და კიდეც განვემზადებით.

მეფე გიორგი.

გამზადება და სიფრთხილე დიდი გვმართებს, ამისთანა გაჭირვება ექნება სამეფოს ჯერ თავის დღეში არ დასდგომოდეს; ჯარებს თურმე ძლიერს ამზადებენ და სააკაძეს და დიდს ვეზირს ჰგზავნიან, რომ ჩვენი სისხლისაც კი აღარ გაუშვას. მე, თქვენს მოსიყვარულეს მეფეს მიენდეთ და როგორც მე მოვიქცე, თქვენ უმეტესობა გმართებთ.

ყველანი.

კი! კი! შენთან აწი ყველანი დავიხოცებით. ჩვენ ყველას შემოგვიწირავს შენთვის თავი. გვიბრძანე, გვიბრძანე და შენს მტრების დამარცხებაზედ სუ ყველანი ჩვენის სახლით მზად ვართ. ჩვენის ცოცხალის თავით არ გაჭმევთ არც შენ და არც ჩვენს თავს სირცხვილს... ბატონს გიორგის მეფეს გაუმარჯოს... გაუმარჯოს...

გიორგი მეფე.

ჩვენთ დიდებულთ გაუმარჯოთ! აწი თქვენგან მქონია ყველგან მალა და აწიც უჩვენოთ ჩვენს მლიერს მტერს, რომ ჩვენ ისეთი უძლურნი არა ვართ, როგორც იმათ ჰგონიათ... აწი წაბრძანდით სადილს შეექცეთ და მერე უფრო კიდევ კარგად დავაწყობთ.

ყველანი.

ბატონს გიორგი მეფეს გაუმარჯოს!.. (გადიან).

## სცენა VI

სცენა სწარმოებს მეფე თეიმურაზის სასახლეში. არიან ნოდარ ჯორჯაძე, რამდენიმე სხვა კარის კაცნი და ზურაბ ერისთავის ცოლი.

ზურაბის ცოლი.

მითხარ, შენ გეთაყვანე, ჩემო ნოდარ, მითხარ რას უპირებს მამა ჩემი ჩემს ზურაბს, ჩემს სიცოცხლეს?!.. მითხარ, რატომ არ მინახვინებს მამა ჩემი?!.. რა შევცოდეთ, რა?!...

ნოდარ ჯორჯაძე.

მეფემ ბრძანა, რომ ჩემი მოღალატის ცოლი ჩემი შვილი არ არისო და ბრძანა, რომ ესლავე დაგვითხოვოთ აქედამ.

ზურაბის ცოლი.

მე უნდა დამითხოვოთ?!... მე არ მინახვინებს მამა ჩემი, თავის საყვარელის ასულს?!.. სად წავალ აქედამ, მანამ არ ვნახავ მამა ჩემს! სადა?!.. დეე, თუ მოძულებივარ, თუ მოღალატის ცოლი ვარ, მომკლას თავისივე საშობი თავის ხელით.... იმისგნით მოწყენილი სიცოცხლე თითონვე წაიღოს... ნოდარ! მაშველე რამე შენის მმობის

ჭირიმე—შენს იქით მე ილაჯი აღარსადა მაქვს,—ერთი მინახვინოს მამაჩემმა, ერთი მნახოს ამ სახით თავისი უბედური შვილი.

ნოდარ.

არ შემიძლიან. ბრძანა თქვენი აქედამ დათხოვნა...

ზურაბის ცოლი.

ვერა, მე აქედამ ვერავინ დამითხოვს მინამ მამიჩემის ფეხქვეშ ან არ დავლევ სულს, ან არ გამოვაშვებინებ ჩემს საყვარელს ზურაბს... ჩემი ზურაბ არ არის დაჩვეული ბნელში ყოფნას... ჩემი ზურაბ ვერ აიტანს ორმოს სუნს და იმის ჩახშოლებულ ჰაერს...

ერთი თავადიშვილი. (შემოდის).

მეფემ ბრძანა თქვენიც დაპყრობა, რომ ცუდი არა განიზრახოსრა იმანაცა. (ნოდარს). თქვენ გიბრძანათ, რომ ესლავე გასტუმროთ სატუსაღოში.

ზურაბის ცოლი.

მეცა!... ზურაბთან?!.. თუ ზურაბთან, ესლავე წამიყვანეთ.

თავადიშვილი.

არა—ცალკე. თქვენ ზურაბს ვეღარც თავის ბინაზედ ჰნახავთ. თქვენთვისაც ცალკე ყოფნა სჯობს.

ზურაბის ცოლი.

როგორ თუ ცალკე?!.. მეც, მეფის ასული, დედაკაცი ლეჩაქ დახურვილი საპყრობილეში უნდა ჩამაგდოთ?!!.. არა, ეგ ქართველ დედოფლის შვილის ნათქვამი არ იქნება... მიჩვენეთ ერთი თითონ იმისგნით გავიგონო ეგ სიტყვები...

ნოდარ.

არ შეიძლება... მეფის ბრძანება უნდა შევასრულოთ... წაიყვანეთ მეფის ასული ცალკე საპყრობილეში... ნუ იწუხებთ, მეფის ასულო, თქვენ მანდილოსანნი გემსახურებიან. (კარის კაცნი ჰკიდებენ ხელს და მიჰყავთ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბის ცოლი.

ერთი მაინც მიჩვენეთ ჩემი ზურაბი... ნუ მომკლავთ იმის უნახავს...

მეფე თეიმურაზ. (შემოდის).

რაო, მეფის ასულო!.. ზურაბის თავი გინდა ჴნახო?...

ზურაბის ცოლი. (იჩოქებს).

მამილო!.. მეფეო ჩემო... შეისმინე... შეჴსედე რასა ჴგავს შენი ასული....

თეიმურაზ.

შევისმენთ... ზურაბის თავი გინდოდა და გაჩვენებთ.... ერთი უჩვენეთ ამას ე ზურაბის თავი.

ზურაბის ცოლი.

ეგრე, მამაო! შეიბრალე შენი ასული... შენთვის თავდადებული. (შემოაქვთ ზურაბის თავი სინით, სულ მთლად სისხლში გასვრილი. ზურაბის ცოლი ჩაცქერდება). ვუჲი!.. (დაეცემა უგონოდ).

თეიმურაზ.

გაათრიეთ და ჩასვით საპყრობილეში, რომ არაგველები არ აშალოს მაგან. (გაჰყავთ ზურაბის ცოლი). მაჩვენეთ აბა ეგ ბოროტი, რომელიც განიზრახავდა ჩვენს ამოწყვეტას. (მოაქვთ მეფესთან თავი). ეგრე მოელების ბოლო ყოველს ჩვენს ბოროტის განმზრახველს... «სთხარა კაცმან სთხრემლი და შთავარდა თვით კაცი იგი მას თხრებლსა შინა» შენ გსურდა სხვის სიკვდილი, მუხანათო, მაგრამ სულმან წამებულის დედიჩემისამან შეაბრალა ჩვენს მეუფეს თავი ჩვენი და თვით მოგაგო იგი, რასაც განიზრახავდი სხვისთვის. წაიღეთ ეგ ბოროტი თავი და შეამკეთ მაგითი საძეივო სუფრა ჩემი. (გააქვთ).

იასე ქსნის ერისთავი (შემოდის).

დიდებულო მეფევ, ბრწყინვალის ქეთევანის პირმშო შვილო, მტერთა შემმუსრავო და გლახაკთა შემწყნარებელო, დღეს თქვენს კარ-

ხა გულებიათ ერთიც კიდევ მონანული, ჩემებრ მოტყუებული და ჩემ-ზედ კიდევ უარესი ცრემლით მავედრებელი, აზნაური ქავთარაძე, რათა შეიწყალოთ და მისცეთ ნება დაალამოს თავისი სიბერის დღენი თქვენს საფარველს ქვეშ, თავის სამშობლოსა და ნათესავთ შორის.

თეიმურაზ.

მგიც მოუძლურებია მოურავს? «მაღლი მაღლის მვალს არ გასტეხსო!» მაგრამ ეტყობა ხაავაძე ისეთი მაღლია, რომ არც თავისავით მაღლებს ინდობს. ასი იყო, რომ არ შემეწყალა არც ერთი მოურა-ვის ამეღლი კაცი, მაგრამ რა უყო ჩემს ღმერთის, რომელიც გვიბრ-ძანებს ცოდვათა მიტევებას და გლახათა შეწყალებას. ნოდარ, უბრ-ძანეთ შემოუშვან აზნაური ქავთარაძე. მაგრამ, რადგანაც იმან ჩვენის მესანათობით ჰპირუტყვს ადარა თავი, ამისგამო ღირსი არ არის ჩვე-თან ამართვით სლებას და შემოიყვანეთ ჩემთან ოთხით, ვითარცა პი-რუტყვი, რომ იცნოს ვისთანაც აქვს საქმე.

ნოდარ.

რისაც ღირსია, იგი მიეგება. (გადის).

იასე.

მაინც ვერ გაბედავდა თქვენთან სლებასა, თუ არ ჩოქვით და ყელზე საბელ ჩამოგდებული. უქტეს ყოველთა იგი ჰსდავს თქვენ წინაშე დამხამავლად თავს. მაგრამ ეხლა ერთი რამ ისეთი მოხდობილე-ბა აქვს, რომლისთვისაც მიეტევება ყოველისფერი.

ქავთარაძე. (შემოჰყავთ ოთხით, ყელ-ზედ თოკ ჩამოგდებული).

დიდებულო და უძლეველო მეფეო თეიმურაზ. წინაშე შენსა შემრწუნებული არს სპარსეთი და მოდრეკილ არს ხონთქარი ხონთ-ქარი, რომელიც განიზრახავს იმერეთის დანთქვას აპარებს თქვენთან დამეგობრებას და ზავს .. და ვითარ გაჭედა ერთმა უბრალო აზნაურ-მა, რომელიც არ არის ღირსი, რომ მმოვრთა თანა თქვენთანსა ხუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



დეს ნამცეცებს თქვენის ნასუფრალისა, თქვენი წინააღმდეგი და შერთება თქვენთა უღირსთა მტერთათანა... დღეს უღირსი მონა იგი, მუხლმოდრეკით, კისერზედ თოკ ჩამოგდებული გსდებიათ კარსა და მოუნდვის სიცოცხლეცა და სიკვდილიც თვისი თქვენის დიდებისთვის: მოაგეთ თვისი მოსაგებელი, და რისაც ღირსი იყვეს; და ღირსია მხოლოდ სიკვდილისა, და მოჴკალით უღირსი მონა იგი მხოლოდ ათქმევინეთ სიტყვა, რომელიც აქვს ამას თქვენთან, ვითარცა მოციქულს დაბარებული.

თეიმურაზ.

აღზდეგ აზნაურო გიოგივ, ვინაიდგან ხასარება ბრძანებს: მიუტევეთ, რათა თქვენცა მოგეტეოსთო. შენი გულწრფელი სინანული მოგანიჭებს კვალად სიცოცხლესა.( ქავთარაძე ჴკოცნის მუხლზედა და დგება). რა გაქვს სათქმელი იმერთა მეფისაგან, რომლისაგან დაკოდვილნი წყლულნი ჯერაც არ გაგვმრთელებიან?

ქავთარაძე.

რა, დიდებულო მეფევ, და ისა, რომ მოურავი მოდის თათრების ჯარებით იმერეთზედ, რათგანაც ხონთქარმა ინება იმერეთის წახდენა... მოურავს ჴსურდა თქვენი წახდენა, მაგრამ ხონთქარმა არა ჰქნა რათგან არ უნდოდა სპარსელებთან ჩხუბი, რომლებსაც არ არის დიდი ხანი რაც შეურიგდა; და ამასთან, გაიგო თქვენი განძლიერება, თქვენიც ეშინიან და უნდა კიდეც თქვენთან მშვიდობიანობა, და არცარა ცუდი მახსოვს იმისგანაო. რაკი ეს არ მოხდა და დიდი ხანია ჯავრი სჭირებია ხონთქარს გიორგი მეფისა, ახლა ჴგზავნის მოურავს იმერეთზედ ასაკლებათა; და იმერთა მეფე, რომელსაც მე ვაცნობე ეს ამბავი, გთხოვთ შემწეობასა, რაკი მარტო თავის თავის იმედი არა აქვს. ერთის გვარისა და ტომისანი ვართო და ერთის ხალხის მეფენი და ნუ წამახდენებ მტერსაო.

თეიმურაზ.

ჭოო! ახლა, რაკი უჭირს საქმე, ახლა გვთხოვს: მტერს ნუ წამახდეინებო! როდესაც მოურავს აძლევდა ჯარებს ჩემი ტახტიდამ გადასაგდებათ, რატომ მაშინ არა ბრძანებდა მაგისთანა ტკბილ სიტყვებსა?!.. აბა, მაშ წავიდეს და ვისაც ეგ აძლევდა ჯარებს ჩემს დასაღუპავათ, იმათვე უშველოს. მე ჩემს მოსისხლე მტერს შველას ვერ მივცემ. ეგრე მოახსენე ბატონს გიორგი მეფესა.

იასე.

ეს არის ხონთქრის გადაკიდება ბრძანე, თორემ მაგისთანა გაჭირვებაში თვით მტერიც შესაწყნარებელია.

თეიმურაზ.

რათ გადავიკიდებ ხონთქარს მტრათა მაგის გულისათვის. თავის დღეში მე და ხონთქარი მოყვარენი ვყოფილვართ. იმედი მაქვს, რაც უნდა გამიჭირდეს, რომ ხონთქარი მიშველის და გიორგი მეფე კი მტრობის მეტს არას მიზავს... ეგ არის, მაგის მეტს პასუხს ჩვენგან გიორგი მეფე ნუ ელის, კარგა უნდა იცოდეს, რომ სააკაძე თუ ორი თავისი მეფე არ დაინდო, არც მაგას დაინდობდა... სხვა. შენ და სააკაძეს რაღათ მოგისდათ მტრობა? ვინ შენ და ვინ სააკაძესთან ჩხუბი.

ქავთარაძე.

ამოდენა ხანია ერთათა ვართ და ეხლა ძლივს გავიცან რაც კაცი ყოფილა... იმის ბატონობას და ქვეშქვეშაობას ველარავინ გაუძლო... ამასთან, მეფეო, მეც გავტყდი და ვიცან, რომ მეფის ორგულობა არავის გამოადგება. სიზმარში ვნახე, რომ ჩემი სული ეშმაკებს დაეჭირათ და ჯოჯოხეთში მიათრევდნენ და აწვალებდნენ, რომ მეფის ორგულ კაცს ყველას ასე დავსჯითო. მე, ამ სასწაულის მნახველმა არ ვინდომე სულის წაწყმედა და ვიფიქრე: დავბრუნდები და ისევ ჩემი მეფის ფეხთა მტვერი შევიქნები და იმასთან მოვიკლამ, მეთქი თავსა.

თეიმურაზ.

მგრეა! ცოდეთ, იროძ მეფის ორგულება არავის გამოადგება. ხომ ნახეთ, რომ მოურავი, რომელიც ჯერ არავისგან არ დამარცხებულიყო, ვითარ შემუსვრილ იქმნა თავის მეფისაგან ბაზალეთს. ახლა საქმის რაც იქნება ეგ სხვა არის. ყოველს მეფის ორგულს ცუდი ბოლო მოელის. ერთს მაგალითსაც ეხლა გიჩვენებთ (მხლებლებს.) აბა ერთი უჩვენეთ ჩვენი მესხნათის თავი. (შემოაქვთ სინით ზურაბის თავი.) გეცნობათ თუ არა ეს თავი?

იასე.

ეს ზურაბ არ არის?! დიდი ხანია ეს ამის ღირსი იყო.

ქავთარაძე. (შემკრთალი.)

ოჰ!... ეს ვგონებ ის ზურაბ არის, რომელმაც შემუსრა მოურავის ძალა ბაზალეთს...

თეიმურაზ.

და რომელმაც დღეს განიზრახა ჩვენი სიკვდილი და მის მაგიერ მიიღო ეგ ჯილდო. ყოველს ჩვენს ორგულს და მესხნათს მოელის ეგ დღე. მშვიდობით! ეს მიბარტიებია დედიჩემის სულისთვის და ამახ იქით თქვენც ამ დღეს მოელოდეთ, თუ შეგემჩნათ კიდევ ორგულობა. (გადის, გასდევენ სხვა თავის მხლებლები.)

ქავთარაძე.

საწყალი ზურაბ! აღსრულდა მაგაზედაც მოურავის სიტყვები.

იასე.

აღსრულდა ისა სხვის ხელით, რაც მოურავს დიდი ხნის მაგისთვის უნდა ექნა... ეგ ერთი საშიშარი მტერიც მოგვაკლდა. ჩვენი საქმე ახლა უკეთ არის... მალე და მალე დავაყენებთ ბევრს სხვებსაც მაგ დღეს... მშვიდობით სიბრალულო.. ახლა სისხლი, სისხლი და სისხლი! (გადის და გასდევს თან ქავთარაძე.)

## სცენა VII.

### სცენა სწარმოებს მოურავის კარავში.

მოურავი.

ძლივს, თითქო მოიხედა ღმერთმა ჩვენსკენა. არ გვემართლებოდა?!.. რამოდენი ტანჯვა და ვაგლახი გამოვიარეთ: რათა და ვისთვისა?!.. რამდენი ქართველი კაცი დაიღუპა და ვეღარა ნახამენ თავის საყვარელს ქვეყანას და ობლათ დატოვებულს ცოლშვილსა.. რავდენი შევცოდე ღმერთსა ბაზალეთიდამ რომ დამარცხებული მოვდიოდი, რომ ალბათ ღმერთს ჩვენთვის კეთილი არ უნდა, მეთქი!... ვენაცვალე იმის სამართალს: იმას უფრო კარგათ სცოდნია, როგორ რა უნდა მოხდეს. ასე რომ არ მომხდარიყო, ვინ იცის კიდევ საქმე როგორ გათავდებოდა ჩვენსა, ოსმალებსა და სპარსელებს შუა. სპარსნი საქართველოს შეერთებას ხონთქარს სხვათრივ შეაგონებდნენ, —რავი ხონთქრის დაუკითხავათ საქმეს დავიჭერდით,—და უეჭველათა, რომ საქმეს გაგვიჭირებდნენ. ახლა ხონთქარი დავარწმუნე ჩვენს ერთგულებასა და იმის სასარგებლოთ ჩვენი სურვილის დაწყობაზედ და ხონთქარსა და ყეენს შუა ისეთი ღვარძლი ჩავთესლე, რომ გვიანობამდინ ამ ღვარძლს ვერ მოინელებენ. უნდა თავისივე ქონით თვლები დავთხარო ისათა. ხონთქარი დღეს ისეთ ერთგულათ მიცნობს, რომ თავის თანასწორათ წიგნსა მწერს. ჯარები რამდენიც გინდა წაიყვანე, ოღონდ ყეენის ჯავრი ამომეყარეო... ამოვყრი, რომ ბოლოს შენი ჯავრიც ამოვიყაროთ.... ახლა ჩემს ხელ არის ძალა. ხვალ უცებათ სამოცი ათასის საუკეთესო ჯარებით უცებ შევიჭრი ქართლისაკენ.. იმერეთი სულ მზათ არის..: ეხლა ერთი წუთის საქმეა... ოო, ღმერთო მადლობა!... მერე სიკვდილიც აღარ მიმძიმს... რა სიამოვნებით მიღეღავს გული. ასე მგონია სასუფეველში ვარ, მეთქი.. რა გულით

მომეგებიან ჩემი თეკლე, ჩემი შვილები, რომელიც ვინ იცის რავდენს მწუხარეს ფიქრში იქნებოდნენ ჩემის დაშორებითა... რა ტკბილია ბევრის ტანჯვის შემდომ ჭირნახულის მომკა... ეს პირველი ღამე, რომ მე გულ დამშვიდებული დავიძინებ... ხულთანის წიგნმა სრულათ დამამშვიდა... რა არის კაცის ცხოვრება: ხულთანი ასე გულით მენდობა; მეც მიყვარს ისა და პატივსა ვცემ; და ამისთანა კაცს, რომელმაც შემიწყნარა თავის სწორათ, უნდა ასში ერთხელაც არის უმუხთლო... უნდა უმუხთლო იმიტომ რომ უამისოთ, მოუტყუებლათ, იმოდენა ქვეყანა უნდა დაუსრულებელს უბედურებაში იყვეს... ეჰ! ეხლა რა დროსღა ეს ფიქრებია... ღმერთო რა რიგათ მეძინება..

ქაიხოსრო მუხრ. (შემოდის და შემოსდევენ: გაშაყაშვილი, ხერხეულიძე და დიასამიძე).

აბა ახლა ჩვენი ძილის დროც არის...

ხერხეულიძე.

ყველა ქართველებმა დაიძინეს, რათგან უბრძანეთ რომ ადრე უნ და გაუდგეთ გზასა.

გაშაყაშვილი.

ყარაულებისთვის მითქვამს, რომ თუ დაგვეძინოს, რომ რამწამ ინათლოს — დაგვაღვიძონ.

დიასამიძე.

მგონია ახლა ჩვენც ვიზამთ საქართველოსკენ პირსა, რა რიგ გაეხარდებათ ჩვენს ცოლშვილსა და ნათესავებსა.

ქაიხოსრო.

რავდენიც აქ ტანჯვა გამოვიარეთ, ახლა შინ რომ დავბრუნდებით ვისიამოვნებთ. ეს ხულთანის წყალობა სულ საშვილის შვილოთ გვეყოფა.

მოურავი.

მცირე შრომა კიდევ გვიდევს წინა და მერე გათავდა ყოველის-ფერი: სულ ქუდი ჭერსა ვკრათ ჩვენს ცოლშვილში, ჩვენს მწვანე ველებზედ, ჩვენი ანკარა წყლების პირას: ღია და სუმბუქს ჴაერში ლამაზი დიდი კაკლების ჩრდილოთ ქვეშ... ჩამოვკრათ ტკბილათ თარსა და დავძახოთ ჩვენი ტკბილი მამაპაპური გულგასართობი ღიღინები... ახლა ვილოცოთ ხვალინდელის მგზავრობისთვის და ჩვენ ხელის მომართვისთვის. (იჩოქებს და ხელ განპყრობილი ლოცულობს. ყველანი დაჩოქვილნი ლოცულობენ. ათავებს). ახლა ღამე მშვიდობით. (წვება ცარიელს ხალიჩაზედ, იდებს თავით უნაგირს და იძინებს).

ყველანი.

ღამე მშვიდობით! უკანასკნელია ჩვენი აქ ძილი. (წვებიან ცალკ-ცალკე და იძინებენ).

## სცენა VIII

სცენა სწარმოებს დიდი ვეზირის კარავში.

დიდი ვეზირი. (არის მარტო).

შენი ხსენება არსად არისო!. ჴაი, ქიოფაკ!... ჩემს სახელს რა დააჩელებდა სტამბოლში, მაგრამ ეშმაკის გვერდი არ არის: ჴშურს, რომ რატომ მარტო ჩემს ქმარს არ აქებენ და სხვებსაც აქებენო.... ჴაი, გიაურ!.. სულთანის დაა არ იყვე—შენს თავს დიდისანია ავაგებდი პალოზედ და ჩამოვატარებდი სტამბოლის ქუჩებზედ; მაგრამ ახლა რა გიყო. შენ ქმარი ხარ და მე ცოლი... არ დაგიჯერო სიტყვა, ჩემს თავს გაასხმობინებ სულთანს ლაყე კვერცხივით... დეე მოკვდეს სააკაძე. გიაურის მოკვლა რასაც გზას არ გამიღსნის ცაში, ცუდი არაფერია, მაგრამ რათ უნდა მასწავლიდეს ქალი მე ჭკუასა!... ეი!

(შემოდის ერთი მსახური). რა იქნენ აქამდინ ჯარების უფროსნი?... როდის მე დავიბარე ისინი!

მსახური.

აგერ ისინიც გიახლებიან. (შემოდიან ათამდინ ჯარების მეუფროსენი).

ვეზირი. (მსახურს).

გადი შენ. (მსახური გადის).

1-ლი ჯარის უფროსი.

თქვენის ბრძანებით გიახელით აქა.

ვეზირი.

რამდენი ქართველი და ჰყავს სააკაძესა?

2-რე უფროსი.

ოცი. სხვები ზოგი დაეხოცა, ზოგი შინ დააბრუნა.

ვეზირი.

სულ ერთს კარავში წვანან?

3 მე უფროსი

სააკაძის კარავში ხუთნი წვანან, სხვები ცალკე, სხვა კარავში.

ვეზირი.

კარავები ახლო ახლო უდგიათ?

4-ხე უფროსი.

დიახ.

5 უფროსი.

რათა გნებავს?

ვეზირი.

უნდა მოკვდეს ამაღამ ჩვენის ხელით სააკაძე.

6 უფროსი.

ქართველებს გარდა, ოსმალებიცა ჰყავს იმას ჯარები.

ვეზირი

ოსმალები ჩვენია და არა იმისი.

7 უფროსი

ისინი ისე ჭკუას დაწვრთნილი და შეკვეთილნი, რომ იმისი გულისთვის სულ დაიხოცებიან.

ვეზირი.

ვინა? ოსმალები გურჯის გულისთვის დაიხოცებიან?!

8 უფრ.

დიახ. ისე თავდადებულნი არიან, რომ რაც გამარჯვებაები ჩაიდინა სააკაძემ, უფრო მაგათით ჩაიდინა. თითქმის ქართველებზედ უკეთ იბრძოდნენ.

ვეზირი.

ვეზირის ხმა არ არისო სტამბოლში!.. მაშ ვისი ჯარებით გაიმარჯვა სააკძემა?!!.. ვნახავდით ერთი მარტო ქართველებით რაღაცას იზავდა!.. ისინი ახლო დგანან სააკაძეზედ?

9. უფრ.

არა, კარგა მოშორებით. მაგრამ თუ გაიგეს რამე, დროით შეუძლიან რომ მოეშველნენ.

ვეზირი.

მაშ ქხლავე წადით, შეკრიბეთ ყველა თქენი ჯარები, ნახევარით იმ გურჯიის ოსმალთ შემოერტყით და ნახევარი მე წამყევით. ქვეყანა მაგას აქებს და ჩვენი ხსენება არსად არ არის. ამასთან ეს ამოდენა ჯარი სულ მაგას მიჰყუევსართ და ვინიცის სად დაიხოცებით ან რისთვისა. ეგ ამაღამვე უნდა მოკვდეს. წადით და არ გაამჟღავნოთ, თორემ ვეღარც ერთი ვეღარ იხილავთ ხვალ მზის დასვლასა. (ყველანი გადიან).

სცენა IX

კ ა რ ა ვ ი  მ ო უ რ ა ვ ი ს ა.  ს ძ ი ნ ა ვ თ  ყ ვ ე ლ ა ს ა.

ქაიხოსრო მუხრ. (უცებ შესტება ძილში და გაიღვიძებს).

ოჰ! ეს რა ცუდს სიზმარში ვიყავი.

პაპუნა ვაშაყაშვილი.

რა იყო, ბატონო ქაიხოსრო?

ქაიხოსრო.

არაფერი. ეს ოხერი, კაცი რომ სიზმარში შეშინდება, ისე ხომ ცხადლივ არ შეშინდება რაც უნდა იყოს.

ვაშაყაშვილი.

მეც ცუდ სიზმრებში ვიყავი, მაგრამ გარკვევით ვერ დავიხსოვე.

ქაიხოსრო.

შენ ნუ მომიკვდები საზარელი სიზმარი ვნახე. ჩვენ ყველანი სისხლის ზღვაში ვცურავდით და ვიხრჩობოდით. სისხლის ზღვა ისროდა საშინელს ტალღებს და რამდენიც ტალღა შეისროდა, იმდენი მოურავი ჩაიტანა თან და ჩაღუპა. ჩვენ ყველანი თან ჩვენს თავს ვშველოდით და თან მოურავს ვეშველებოდით. მაგრამ რამდენიც ვეშველებოდით, იმდენი სისხლის ზღვა იზრდებოდა და თან და თან ღელდებოდა და იტანდა მოურავსა და ჩვენცა. ბოლოს ერთი ტალღა წამოვიდა საშინელის ქუხილით და ღელვით და ყველანი შთაგვნთქა ერთბაშად. აქ უცებ გამეღვიძა შეშინებულსა.

ვაშაყაშვილი.

ღმერთმა კარგად აგიხდინოთ. ეგ სისხლის ზღვა ის არის, რომ გათავდა ამდენი სისხლში ცურვა და სისხლის ღვრა და ახლა შინ წადით და დაისვენეთო... ჯერ მგონი კიდევ წასვლის დრო არ არის. მე ისევ მეძინება... ძილი ნებისა (იძინებს ისევ).

მოურავი. (კვნესის და ღმუის ძილში).

ქაიხოსრო.

გიორგი, გადაბრუნდი გვერდზედ, ცუდად წევხარ, გულ-აღმა წოლა შეგაწუხებს.

მოურავი. (ღმუის კიდევ და უცებ თრთოლით გაიღვიძებს).

ოხ, ღმერთო ჩემო! (იწერს პირჯვარს). ჩვენთან არს ღმერთი!..

ქაიხოსრო.

რა იყო, რატომ აგრე შეჰკრთი?

მოურავი.

ჰო, ქაიხსრო, შენა? მადლობა ღმერთსა, რომ ეს სიზმარი იყო... ამისთანა საზარელი და გულის სახეთქი სიზმარი ჯერ არ მინახავს... მადლობა ღმერთს რომ სიზმარია.

ქაიხოსრო.

რა ჰნახე აგრეთი გულის სახეთქი?

მოურავი.

ოჰ, ღმერთო! ამ სიზმარში ამეშალა სულ ჩემი წყლულები... ვნახე ჩემი დაუვიწყარი შვილი პაატა... ხო იცი რა როგორ არ გამოდის ის ჩემის გულიდამ.. ვნახე ვითომც ის მრავალის ჭრილობისაგან დასნეულებული იდგა საცალას ყრის უდაბურს ადგილს. ყვავნი და ყორანნი და უმეტეს ორი დამშეული სვავი ადგნენ და სწიწკნიდნენ იმის დაიარავებულს ტანს. მოუძლურებული პაატა ძლივს იგერიებდა ამძვინებულთ სვავთა და ყორანთ, და ეტყობოდა, რომ თან და თან აკლდებოდა იმას ძალა. ამ დროს შევყვირე მე სულ გაწვალებული და-მოვინდომე ჩემი შვილის ხორცის მჭამლების განდევნა. მაგრამ დას-ნეულებულმა და სვავებისაგან ხორც დაგლეჯილმა პაატამ ისეთი სუ-ნი ამოუშვა წყლულებიდამ, რომ რამდენიც უფრო მიუახლოვდი, იმ-დენი სუნმა შემიგუბა სული. ბოლოს, როდესაც ძლივს შევიგროვე ძალა, სასუნებლებით თავი გავიმაგრე და ჩემგნით შეშინებულნი ყვავნი და ყორანნი აფრინდნენ გაქცევას, ამ დროს უცებ წარ-მოსდგა პაატას წყლულებიდამ ისეთი ჩირქი, რომ ამ ჩირქ-მა წარმიზიდა და შემიტანა ზღვაში. ზღვამ დამთქა მე, მე ვიყავ დამღრჩვალი, მაგრამ ვხედავდი კი ისევ პაატას სატანჯველს. სვავებმა და ყვავთა და ყორანთ უფრო და უფრო დაუწყეს გლეჯა ჩემს პაა-ტას. შევყურებდი ამას, მიკვდებოდა გული, მაგრამ მკვდარი ვიყავი და არ შემეძლო შველა. ბოლოს პაატამ თითქო მოიხედა და ცოტა არ

ფურ შიშიც მისცა თავის მგლეჯავებს. ამ დროს უცებ გაუჩნდა ბაატას მოსარჩლედ საშინელი ცხრა თავიანი ვეშაპი. ბაატამ სიხარულით, სვავებისაგან შეშინებულმა გაუწოდა ვეშაპს ხელი. ვეშაპმაც წაავლო ბაატას პირი და ისე ძლიერად გამოგლიჯა ის კლანჭებ წაჭერილ სვავებსა, რომ მარჯვენა მხარე ბაატასი შერჩა კლანჭში ერთს სვავს, და ეს მხარე შთანთქა კიდევ იმწამსვე სვავმა. სვავები ეტანებოდნენ კიდევ ვეშაპს ბაატას წასართმევად და ბაატა უფრო და უფრო ეკროდა ვეშაპს. ბოლოს, რომ სვავთ ვეღარ შეიძლოს ამისი გამოგლეჯა, გაუღო ვეშაპმა ბაატას პირი და შთანთქა იგი... ბაატა მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა ინთქმოდა ვეშაპის გვამში და გამოაშვერა ჩემსკენ ხელი... მაგრამ მე ვიყავ მკვდარი, შველა არ შემეძლო და იმით უფრო მიკვდებოდა გული... (შემკრთალი). ეს რა ამბავია?... თითქო ჯარების ხმა ისმის.

ქაიხოსრო.

სწორედ... ჩვენები ხომ არ არიან... უთუოდ წასვლის დროა და მოსულან... (ისმის თოფების ხმა).

ყარაული. (შემოვარდება).

ბატონებო, არიქა, სულ გარშემო შემოგვერტყა ჯარები.

ქაიხოსრო.

აბა? (წამოვარდება და მიდის კარვის კარისკენ; უცებ გავარდება თოფები და ქაიხოსრო დაეცემა მკვდარი).

მოურავი.

ეს რა ამბავია?! (წამოხტება. სცენაზედ შემოცვივიან მრავალნი ოსმალნი და ისვრიან თოფებს).

მრავალი ხმა.

მოკვდი, გიაურ!

მოურავი. (რამდენიმე ტყვიით დაჭრილი მიეყრდნობა კარვის ბოძს. მოისვამს ტამბაჩას ხელს და დასცემს ერთს ჯარების მეუფროსეს).

მოვკვდები, მაგრამ მოკვდი შენც (იშიშვლებს ხმალს. ოსმალები შემკრთალნი დაიხევენ უკან. მოურავი ჩხოცავს).

რამდენიმე მეუფროსე.

მოჰკალით! მოჰკალით ეგ გიაური! (გავარდება რამდენგანმე ტამბაჩები და მოურავი კვალად რამდენგანმე დაჭრილი მიეყრდნობა ბოძსა. მრავალნი წამოელალებიან ზედ).

გამყაშვილი.

ეგრე არ არის! ჯერ მე მოჰკალით. (ეღობება მოურავს და იბრძვის. რამდენიმე ოსმალები დახოცილნი და დაჭრილნი დაეცემიან ძირს).

რამდენიმე ხმა.

მოჰკვდები შენცა. (ესვევიან, დაუქნენ ხმლებს, გამყაშვილი დაეცემა მკვდარი.)

მოურავი.

მშვიდობით, ერთგულო ბაბუნავ!... ერთად ვიომეთ მე და შენ და ერთად დავიხოცებით. (იტაცებს უნაგირს, იჭერს ცალს ხელში; იფარებს წინ და მარჯვენა ხელით იბრძვის. დიასამიძე და ხერხეულიძე მისდევენ თან ბრძოლით. ოსმალებს გაირეკენ კარავს გარეთ. ასტყდება თოფის სროლა. დიასამიძე და ხერხეულიძე დაეცემიან მკვდრები).

თათრები.

მოჰკვდით, მოჰკვდით, გიაურ! (ესვრიან მოურავს თოფებს).

მოურავი. (დაჭრილი სასიკვდილოდ, წამოვა ბარბაცით და თან აპირებს შემაგრებასა დაეცემა).

აძახლა სიზმარი!.. მშვიდობით, საყვარელო მამულო!... (კვდება).

31 დეკემბერს. 1869 წელს.

დასასრული.

# ჩვენი ჯვუის მაღლა

(დასასრული).

3.

ახლა გავსინჯოთ რა მდგომარეობაში იმავ დასაწყისითვე ქართველი ხალხი.

ყოველი სიმარჯვე, რომელიც კი აუმჯობესებს კაცის აგებულებას და გონებას, ყველა, თითქო განგებ, იყოს შემოკრებილი ქართველი ხალხის საცხოვრებელს არემარეზედ.

როგორც ზემოთაცა ვსთქვი, ეხლა დამტკიცებულია, რომ პირველი საცხოვრებელი გაკაცობრიობის ადგილიიყო სამხრეთის აზია. როდესაც ამ ადგილებში გამრავლდა ხალხი და ის ადგილები აღარ იტევდნენ იმათ, მაშინ მრავალმა იმათაგანმა იწყეს მგზავრობა და სხვა საცხოვრებელი ადგილების ძებნა. რაკი ერთი და ერთი იპოვნეს ევროპის გზა, ხალხებმა იწყეს გადასახლება აზიიდამ ევროპაში. გზა იმათი იდო სწორედ საქართველოს ადგილებზედ.

ხალხი, რომელიც იწყობს რომელსამე ახალს საქმეს, ანებებს ძველს ცხოვრებას თავს, არა სჯერდება ძველს და უნდა მოიპოვოს ახალის საქმით უმჯობესი ცხოვრება;—ამგვარი ხალხი ყოველთვის მაღლა სდგას იმ ხალხებზედ, რომელნიც ვერ დაჰშორებიან ერთხელ აღებულს მდგომარეობას. რაღა თქმა უნდა, რომ ხალხნი, რომელნიც აღარა სჯერდებოდნენ ძველ სამკვიდრო ვიწრო ადგილებში ცხოვრებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეძებდნენ სხვა ახალ ადგილებს, იჩენდნენ იმდენს სიმხნევეს, რომ გასდგომოდნენ შორს გზას, აეტანათ ეს მგზავრობა და ესმარათ სიმარჯვე, რომ მიეღწივათ იმ სიშორე ადგილებამდინ იმისთანა გაუტეხარს გზებში, იმისთანა უცნობს ადგილებში, რომელიც ედოთ იმათ წინ, — ამისთანა ხალხი უნდა ყოფილიყო საუმჯობესო ხალხი სხვა დაბინაებულ ხალხებზედ. და ესეც იყო სწორედ. ამას ამტკიცებს ის, რომ იმავ თაობითვე ევროპიელნი უფრო იჩენენ ნიჭს, ვიდრე სხვა ქვეყნის ხალხნი.

ცხადი საქმეა, რომ, რაკი ამ თავის ადგილებიდამ ევროპისაკენ შეძრულს ხალხებს ემართათ გავლა საქართველოზედ და ესენი მოძრაობდნენ დიდის თაბუნობითა და სიწყნარით, ამათ უნდა მუდამ მოუსვენრობაში ჰყოლოდათ ქართველი ხალხი. ამისგამო, რამდენიც ამგვარი ხალხი დაიძროდა საქართველოსაკენ, ქართველები იძულებულ იყვნენ ჰბრძოლდნენ იმათ, რომ არ შეეშვათ ისინი თავის მამულში, რათგან ისინი თავის მეტის სიმრავლის გამო იჭერდნენ დიდს ადგილებს და წყნარის მოძრაობის გამო მეტად აოხრებდნენ ქვეყანას. მართალია, ამგვარის შემოსევაებით საქართველო ნიადაგ ოხრდებოდა; მაგრამ ამავე ბრძოლაში უნდა გამაგრებულიყო და წარმატებაში შესულიყო ქართველი კაცის გონება და აგებულება.

სადაც არის ბრძოლა ცხოვრებისათვის, იქ ძლეული ისა რჩება, ვინც უფრო უძლურია. მომეტებული ნაწილი მოხერხებულთა, სხეულით ძლიერთა, გონიერთა და მცოდნეთა რჩება გამარჯვება, ან არა და გადურჩებიან მაინც ამ ბრძოლას. ამ ბრძოლაში ისპობიან უძლურნი, და რჩებიან ძლიერნი. რაკი ბუნებაში ის კანონია, რომ მსგავსისაგან მსგავსნი წარმოსდგებიან, ცხადი საქმე, რომ რაკი უძლურნი ისპობიან და ძლიერნი რჩებიან, დარჩენილთ შთამომავლობაც მოსპობილებზედ უკეთესი უნდა იყოს. ამგვარი დაუცხრომელი ბრძოლა ჰსპობდა ქართველი ხალხის უძლურს და სუსტს წევრებს და რჩებოდნენ დარჩე-

ლი საუკეთესო წევრები. არჩეულისა და კარგის ხალხიდამ, რაკი ცუდი თესლი ისპობოდა, უნდა გამოსულიყო თან-და-თან უფრო და უფრო კარგი ხალხი.

გარდა ამისა, მე ვსთქვი, რომ ხალხი, რომელიც არა სჯერდება ერთგვარს ძველს ცხოვრებას და უკეთესს ეძებს, არის საუკეთესო ხალხი, მეთქი. ამგვარნი ხალხნი იყვნენ დღევანდელი ევროპიელები თვის გადმოსახლების დროს აზიიდამ. ვითარცა უფრო შემძლე და ამტანი სხვა თავის მოძმეებსა და მეზობლებზედ, ესენი იძვროდნენ თავის ქვეყნებიდამ სხვაგან უკეთესი საცხოვრებელის საძებნელად. ამათშიაც, რომელიც უფრო სუსტი და უძლურნი იყვნენ, იღუპებოდნენ იმ საშინელს განსაცდელებსა და გზებში, რომელიც ედოთ იმათ წინ, ვიდრე მოაღწევდნენ საქართველომდის,—ასე რომ ესენი საქართველოში მოდიოდნენ უფრო განწმენდილი დანაშთენი უხეირო წევრებიდამაც.

ამგვარი არჩეული ხალხი მიადგებოდა ხოლმე საქართველოს. ეს ხალხი მრავალის ხნის განმავალობაში ტრიალებდა საქართველოს არემარეზედ. ამათგანი საუკეთესონიც, ვინიცობაა გამარჯვება ამათ რჩებოდათ ქართველებზედ, რჩებოდნენ საქართველოში და იჭერდნენ ძალით თავის სადგომ ადგილებს. ამ საქართველოზედ ზედ გავლით, შიგ საქართველოში დატრიალებით, ამ ხალხებს შემოჰქონდა თავისი თესლი საქართველოს სისხლსა და შთამომავლობაში. ამასთან, თუ ავიღეთ აზრად, რომ ეს ხალხნი თვის თესლის შემოსატანად, ქართველებში აირჩევდნენ საუკეთესოთა, მაშინ ცხადათა ვნახავთ, რომ გაუმჯობესობა ქართველის სისხლისა კიდევ უფრო წინ უნდა წასულიყო.

როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, არის ბუნების კანონი, რომ როდესაც სხვა და სხვა შტონი ერთის ნათესავისა არიან, ერთრიგად გავარჯიშებულნი, მხოლოდ აქვსთ სხვა და სხვა მხარე შემუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებული და გაუმჯობესებული,—მაშინ შთამომავლობა იმათი იქნება უკეთესი, ვიდრე მაშინ, რომ მარტო ერთის შტოს თესლისანი ყოფილიყვნენ. ხალხნი, რომელნიც ეტანებოდნენ ევროპას და ესეოდნენ საქართველოს, იყვნენ ერთის ნათესავისა ქართველებთან (ინდო-გერმანიისა). ამ ხალხებს ყველას ჰქონდა თავისი კარგი მხარე და ზნე. ეს ხალხნი, როგორც ზემოთაც ვსთქვი, იყვნენ უკეთესნი ხალხებთაგან, ესენი იყვნენ სულ არჩეულნი თავის ქვეყნებიდამ. ამათგან სდგებოდა საქართველოს ხალხის სისხლი და, ცხადი საქმეა, რომ უნდა თან-და-თან გაუმჯობესებულიყვნენ. და ასეც იყო. საქართველოს ხალხი ავიდა თვისის სანახაობით და ბუნებრივის ნიჭით იმ მდგომარეობამდინ, რომელზედ უმაღლეს ამ მოკლე ხანამდინ არ წასულან სხვა ხალხნი. უკეთესი რასსა (ტომი) დედამიწის ზურგზედ არის კავკასიის რასსა (ტომი) და ამ რასსაში (ტომში) უჭირავთ ქართველებს ერთი პირველ ადგილთაგანი. კიუვიეს თავის ატლასში წარმომადგენელად კავკასიის რასსისა (ტომისა) ჰყავს მოყვანილი ერთი ქართველი თავადიშვილი. ერთს საუკეთესო ევროპიის საანტროპოლოღიო მუზეუმში დევს ქართველი ქალის თავი, როგორათაც საუკეთესო წარმომადგენელი ტვინის საცავის და თავის მოყვანილობის სისრულისა.

4

ამას გარდა კაცის გაუმჯობესობაში უჭირავს დიდი ადგილი საზრდოს, ჰავას, ბუნების სანახაობას, ეთნოღრაფიულს და გეოგრაფიულს გარემოებათა და სხ. მე ამ გარემოებაზედ საკმაოდ ვრცლად ვერ ვილაპარაკებ, რადგან მეტი იქნება ამ მოკლე ჟურნალურის სტატიისთვის. ამისგამო მე მხოლოდ მოკლედ გადავავლებ თვალს.

ქვეყანა, სადაც მეტის მეტი სიუხვით მოდის კაცის საზრდო, იქ კაცის გონება მალე იღსნება, მაგრამ მალეცა ჩერდება. მიზეზი ამისი ის არის, რომ საზრდოს სიუხვის გამო, ხალხი

მეტად უანგარიშოდ მრავლდება. სადაც მეტად მრავალი ხალხია, იქ მუშა ხელი ძალიან ბევრია და ფასი სამუშაოსი ცოტა. სადაც მეტად ბევრი მუშა ხელია, იქ ყველა მუშა ცდილობს, რომ უსაქმურად არ დარჩეს და ამისგამო ყველა ცდილობს სხვაზედ იაფად იმუშაოს, რომ იმას უფრო მისცენ საქმე. აქ საქონლის პატრონები და მუშის მოქირავებლები იმით სარგებლობენ, რომ თითქმის მუქთად იჭერენ მუშებს, და თითონ იმათის ნამუშავარით თან და თან მდიდრდებიან. რამდენიც ისინი მდიდრდებიან, იმდენი მდაბიო მუშა ხალხი ღარიბდება. ამ გვარს დამოკიდებულებას მუშა ხალხსა და მდიდრებთ შორის, მოაქვს ის ბოლო, რომ მდიდარნი იჭერენ ხელში ყოველ რიგს ძალას და უფლებას ხალხთა შორის. დანაშთენნი რჩებიან სრულებით უხმონი, და ბოლოს შემძლებელი ხალხის მონებათაც ხდებიან. ამგვარი იყო, როგორც ამბობს ბოკლი, მდგომარეობა ყოველი ხალხებისა, სადაც ცხელს ქვეყნებში საზრდო მრავლად მოდიოდა. სადაც არიან მონანი და ბატონები, იქ ძნელი საფიქრებელია რიგიანი წარმატება ხალხისა. მონანი, დაჩაგრულნი და დაცემულნი, არიან უხმონი სახელმწიფოში და არა აქვსთ არა ვითარი მონაწილეობა იმაში, რაც იქ რიგდება: ვერ მიიღებენ სწავლას, რადგან ბატონები არა ჰხედვენ თავის სასარგებლოდ, რომ მონანი გონიერნი იყვნენ, იმიტომ რომ გონიერი კაცი არ აკადრებს არავის მონობას,—არ ერევიან საპოლიტიკო და სახალხო გამგეობაში, რომლისა გამო ისინი თან და თან ჩლუნგდებიან გონებით და ვერა ჰგრძნობენ თავის მძიმე მდგომარეობას; მეორეს მხრივ თვით მდიდარნი, დატვირთულნი სხვის ოფლით შეძენილის საზრდოთი, არა ჰსაჭიროებენ, რომ განვითარდნენ ჭკუითა და ცოდნით, რადგან უამისოთაც სარჩო ბლომად აქვსთ, და გონების განვითარებისათვის არა აიძულებს რა იმათ. აქედამ წარმოსდგება გაჩერება და უძრაობა.

ჩვენ, საქართველოში, სრულებით სხვასა გვხედავთ. აქ ბუნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ისეთი უხვია, რომ მრავალს საზრდოს აძლევდეს; არც ისეთი უძლურია, რომ კაცს თავის ამაგს ტყუილად უკარგავდეს. აქ უშრომოდ, უკაცის ხელოდ ბევრი არა მოდის რა; კაცის შემწეობით, კაცის დახმარებით კი შრომა კაცისა სიუხვითა ფასდება. მეტად ცხელს და ფიცხ ადგილებში, გარდა ამისა, საზრდოც იმნაირი მოდის, რომელიც ისე არ ამხნევებს კაცს, როგორც ეს საჭიროა. ერთის მხრივ ვხედავთ, რომ მეტად ფიცხი ადგილების ხალხი საზრდოდ ხმარობენ,—რათგან იმათი აგებულება მოითხოვს,—უფრო მცენარეულს; მეორეს მხრივ მეტად ცივი ადგილების ხალხნი ხმარობენ თითქმის მხოლოდ ცხოველთა. კაცის გასაუმჯობესებლად, როგორც აგებულებით, ეგრეთვე გონებით, არის საჭირო თანასწორი ხმარება მცენარეულთა და ცხოველთა საზრდოსი. საქართველოს ბუნება შეხამებულია ორისავე ნაყოფიერებისათვის. მეტად ცხელი ქვეყნის კაცი თავისის ბუნების სიუხვის გამო, რომ თითქმის მუქთად მოსდის საზრდო, არა ცდილობს შრომას და ბეჯითობას; მეტად ცივი ქვეყნის კაცი კი იღლება მეტად და წუდება ნიადაგ მეცადინეობაში, რომ საზრდო იშოვნოს. ორთავე ამ გვარი დამოკიდებულება ბუნებასთან არის მავნებელი კაცისთვის. საქართველოს ხალხი არის სწორედ საშუალ ამ ორგვარის განსხვავებულის ცხოვრებისა. საქართველოს ადგილებში არის მრავალი საშოვარი ადგილები, სადაც დიდად კეთილობენ და მრავლდებიან შინაური პირუტყვნი, და ყოველს ნაბიჯს საქართველოს ადგილებისას მოჰყავს თითქმის ყველა რიგი მცენარე, რაც კი საჭიროა კაცისათვის. ასე რომ საქართველოს ამგვარმა მარჯვე მდგომარეობამ იმას შეათვისა თანასწორი ხმარება იმ საზრდოსიცა, რომელშიაც უხვად არის ნახშირ-დედა და იმისიც, რომელშიაც არის მჟავა-დედა, რომელნიც თანასწორად საჭირონი არიან კაცის სამჯობინარო შეზავებისთვის. ამგვარად საზრდოს მოპოებას საქართველოში, ხალხის გამრავლებაც შესაფერი მოსდევდა: აქ ხალხი არც ძრიელ მრავლდებოდა, არც ნაკლებ. ასე, რომ

სამუშაო ფასი არ უნდა ყოფილიყო ისე მცირე, რომ არა ჰყოფნოდა მუშას, და მოგება საქონლის პატრონისა ისე დიდი, რომ ის მეტად ხემაღლებინა ქვეყანაში. რაკი მდიდართა და ღარიბთშუა არ იყო დიდი განსხვავება ქონებაში, ამისგამო საზოგადო და პოლიტიკურს გავლენაში უნდა მთელს ხალხს ძალა ჰქონოდა. ამას გვიმტკიცებს თვით ჩვენი მამასახლისების დროს ცხოვრება და თვით ეხლანდელი ჩვენი ქართველი ტომების მთის ხალხების ცხოვრებაც. თუშში, ფშავში, ხევსურში და სხ. ნიშანსაც ვერა ჰნახავს კაცი, რომ იყოს ერთს წოდების გარდა სხვა წოდება: ესე იგი იყოს აზნაური, გლეხი, თავადი და სხ. თვით სასულიერო წოდებას, გარეშე საეკლესიო საქმისა, არსად მნიშვნელობა სხვაზედ მეტი არა აქვს. . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . მართალია ყოფილან ერისთავნი და სხვა, მაგრამ ესენი ყოფილან მოხელენი და არა მემკვიდრე მფლობელნი. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . .

ამ გვარს ხალხისგან თავის თავის დაცვას ესმარებოდა ის ენერგიაც, რომელსაც აძლევდა იმას ის საზრდო, რომელსაც იმისი აგებულება თხოულობდა. იმას, როგორც ზემოთაცა ვსთქვი, გაუსჯელად ბუნება არას აძლევდა, და მეცადინეობას და შრომას კი უხვად აჯილდოებდა. ამგვარი ცხოვრება, შეზავებული შესაფერი საზრდოს ხმარებით,—ახალისებდნენ იმას საქმეში, ამხნევებდნენ ჯანით და გონებით და აძლევდნენ წარმატებას.

ამას გარდა თვით ბუნების სანახაობა და მოვლინებანი ისეთი ჰქონდა ქართველთ, რომ—კი არ უჩაგრავდა იმას გონებას და მხნეობას სხვა მრავალი ქვეყნებივით,—პირიქით ამხნევებდა იმას თავისის გავლენაებით. აქ არ იყვნენ არც ის ძლიერნი წყალნი, რომელსაც ვერ გაჰსვლოდა და ვერ მოჰჭრელოდა; არც ისეთი გონების შესაკრთობელნი ტყენი, რომლებისათვისაც ვერ გაეტანებინა; არც ისეთი თვალ გაუწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დომელი, გამხმარი, დამწვარი და ქვიშით მოფენილი ვაკეები, რომელზედაც ვერც წყალი მოიპოვება. ვერც ჩრდილი და ვერცარას აღმოაცენებინებ; არც ის საზარელი ქარები და ქარიშხლები, რომელნიც მთლად აოხრებენ მთელს ქვეყნებს, ანგრევენ შენობაებს, ჰლეკავენ ქვიშით და მტვერით მთელს უზარმაზარ მხარეებს; არც ის საზარელი ნიაღვრები, რომლის წინაშე არასფერს არ შეუძლიან გამაგრება; არც ის საზარელნი მიწის ძვრანი, რომელნიც თვისი საზარებელებით და იდუმალებით სრულებით ჰრევენ და უძლურ-ჰყოფენ გამოუცდელის კაცის გონებას და სთესენ იმის გულში ათას საშიშროებას და საზარელებას. თვით ჰავა საქართველოსი იყო სადი და არა ტრიალებდა აქ საშინელი ხალხების უწყალოდ გამჟლეტნი სნეულებანი, რომელნიც ხან-გამოშვებით მოედებოდნენ ხოლმე ზოგიერთ ქვეყნებს და აღენდნენ მუსრს. ამასთან სანახაობა საქართველოს ბუნებისა არის ყოველს ნაბიჯზედ სხვა და სხვა ნაირი და ამით არ აჩვევს ის კაცის გონებას ერთრიგობას. დარი და ავდარი, ტყეების სიუხვისა და ზღვების სიახლოვის გამო, იყო ზომიერი; წყალი სადი და უხვი; მიწა მომცემი. ერთის სიტყვით აქ ყოველივე ბუნების სანახაობანი და გარემოებანი იყვნენ ისეთნი, რომ ამხნევებდნენ კაცის გულს და გონებას და ამხნევებდნენ იმას ყოველს საქმეში.

რომ ამგვარს გარემოებაებს აქვსთ დიდი გავლენა კაცის წარმატებასა და იმის გონების გახსნაზედ, ბოკლს მოჰყავს ამაზედ სხვათა შორის ამგვარი მაგალითი, რომ სხვა და სხვა დროს მონღოლნი და თათარნი, როდესაც შეძრულან თავის ქვეყნიდამ და დამდგარან უფრო მარჯვე ქვეყნებში, — გონებით და სწავლით მალე შეთანასწორებიან სხვა მაშინდელს დაწინაურებულს ხალხებს. აგრეთვე არაბნი, რომელნიც თვის უნაყოფო და ფიცხს ადგილებში რჩებოდნენ მუდამ უმეცრებაში, როდესაც შევიდნენ სპარსეთში, ლისპანიაში და სხ., შეიქმნენ მაშინდელს დროში პირველი განათლებული ხალხნი და პირ-

ველად იმათ გაუხსნეს გზა დღევანდელს სწავლასა და განათლებას.

ერთის სიტყვით ჩვენი ბუნება იყო ისეთი, რომ ამხნევებდა კაცს, აძლევდა ენერგიას, უწყობდა ხელს წარმატებისთვის. «ნამდვილი პროგრესსი (წარმატება) არის დამოკიდებული კაცის ენერგიაზედ (სიმხნევეზედ), და არა ბუნების სიუხვეზედ» — ამბობს ბოკლი. ამ სიმხნევეზედ ჩვენი ჩამომავლობა (*происхожденіе*), ჩვენი ცხოვრება, ხანხაობა ჩვენის ბუნებისა, ჩვენი ჯვა, მიწა-წყალი, საზრდო და სხვა ყველა გვიმართავდა ხელს.

ჩვენი ბუნების მოვლინება და თვით ბუნება არა თუ სჩაგრავდა ჩვენი ხალხის გონებას, არამედ უჩვენებდა და უმტკიცებდა ყოველს ნაბიჯზედ, რომ თითონ ეს ბუნება არ იყო ძნელი მოსასმარებელი. როგორც ზემოთაც იყო მოყვანილი, აქ არ იყო იმისთანა საზარელი მოვლინებაები, რომელთაც დაებადნათ კაცის თავში ათასი ცრუ წარმოდგენანი და ცრუ-მორწმუნებანი. ყველგან ბუნებამ, სადაც იმისი მოვლინებანი იყვნენ საზარელნი და შემაშფოთებელნი, დაჰბადა ხალხში სხვა და სხვა წარმოდგენა უზენაესთა არსებათა, რომელთ ხელშიაც იყო სვე კაცისა და იმის მომავალი; დაჰბადეს ცრუ რელიგიური წარმოდგენანი. ჩვენ ამას არა ვხედავთ საქართველოში, რადგან ჩვენი ბუნება არ იყო ამ გვარი. ჩვენ არა გვაქვს არა ვითარი საბუთი, რომელიც გვიმტკიცებდეს, რომ ქართველებს ჰქონოდა თავისი საკუთარი რელიგიური სწავლანი და წარმოდგენანი. ჩვენი ძველი რელიგიური სწავლანი იყვნენ შემოტანილნი სპარსეთიდამ, საბერძნეთიდამ და სხ. ჩვენი საკუთარი სრულებით არსად სჩანს. «სადაც ბუნების მოვლინებანი არ არიან ძლიერნი და არიან მდარენი, იქ კაცი უფრო იმედით არის თვის თავზედ, უფრო იძენს ძალას, ერევა ბუნებას და თვით უხდება ამ ბუნებას ბატონად» — ამბობს კიდევ ბოკლი.

ამ გარემოებასთან საქართველოს ერთი სიმარჯვეც ჰქონდა, რომ ასლოს მდებარებდა უმთავრეს დაწინაურებულს ძველს ხალხებთან. სპარსეთი, მიდია, ასურეთი, ბაბილონი, ფინიკია, საბერძნეთი, სომხეთი და სხ. იყვნენ საქართველოს მეზობლად. მეორეს მხრივ საქართველო იყო გზა და შემაერთებელი აზიისა ევროპასთან. სავაჭრო გზა ამ ორის ქვეყნის ნაწილისა იყო გამართული საქართველოზედ და აძლევდა შემთხვევას ამ დაწინაურებულ ხალხებთან დაახლოვებისა და დაკავშირებისას.

რომ ავიღოთ სულ ზემოდ მოყვანილი გარემოებანი, ჩვენ ვნახავთ, რომ საქართველოს ხალხი თვისის ბუნებრივის ნიჭით, ჭკუისა და აგებულების ძალით უნდა იყვეს თანასწორ სხვათა ეხლანდელთ დაწინაურებულთ ხალხთა. რომ ქართველებს უოველთვის გამოუჩენიათ ძალა უმაღლესის ცივილიზაციისათვის, ამას გვიმტკიცებს მრავალი საბუთი. თვით ბერძენთ თქმულება მედეიზედ გვიჩვენებს, რომ აქ სხვა და სხვა მეცნიერება ბევრით ადრე ყოფილა გაღხნილი, ვიდრე თვით საბერძნეთში, სადაც მედეის მოქმედებანი მიაჩნდათ მისნურ მოჩვენებად და თილისმად. ამას გარდა არის ცნობა, რომ ქარტა ყველაზედ უწინ კოლხიდელებს (მეგრელებს) ჰქონიათ შემოღებული. ქარტის შედგენისთვის არის საჭირო კარგი ღრმა ცოდნა ზოგიერთი კარგად გამოკვლეულთ და სწორე მეცნიერებათა. ამასთან ჰომეროსი თავის «ილიადაში» აქებს კოლხიდურს ღვინოებს. ეს ამტკიცებს, რომ ქართველნი ამავ ძველადვე დამჯდარი ხალხი ყოფილა და ჰქონია რიგიანი ცნობა მეურნეობისა, რომ იმათ ღვინოს ვითარცა ნექტარს მიირთმევდნენ თვით საბერძნეთის მაშინდელი ღმერთები.

ამას გარდა ქართველთ ნიჭიერებას ცივილიზაციისათვის გვიმტკიცებს კიდევ ის, რომ საქართველოს როდესაც კი მოუპოვებია პატარა დამშვიდება, მაშინვე შესდგომია შინაური საქმეების გაუმჯობესობას და სწავლას. სხვათა შორის ჩვენ ვხედავთ, რომ მოვლეს ხნის

განმავლობაში, რაც დავით-აღმაშენებლიდამ თამარ მეფემდის საქართველომ სიმშვიდე ნახა, უზდიათ ყმაწვილები სასწავლებლებში. და ამ მცირე ყმაწვილებიდამ, რომელნიც სასწავლებლად უნდა ათინაში წასულიყვნენ, გამოვიდნენ ძლიერნი ნიჭნი, როგორც რუსთველი, «ვის-რამიანის» დამწერი და სხ. ამასვე გვიმტკიცებს ერთი სომხების მემატიანე, რომელსაც უნახავს საქართველო ვიზანტიის იმპერატორის ირაკლისა და ხაზართაგან თბილისის გაოხრების ჟამს, ესე იგი VI—VII საუკუნეში. ეს მემატიანე ანგარიშობს მრავალთ მცხოვრებთ თბილისში და ამბობს, რომ ამაზედ უმდიდრესი და უმშვენიერესი ქალაქი არ იყო გარშემო სახელმწიფოებშიო. გარდა ამისა, რომ მწიგნობრობა ძველადვე ყოფილა გავრცელებული საქართველოში, ჩვენ გვიჩვენებს მშვენიერად შემუშავებული ენა, რომლითაც არის ნათარგმნი საღმრთო წერილი ქართულს ენაზედ, ენა «ვეფხვის-ტყაოსანისა» ამასთან ის ძლიერი და შემუშავებული ფანტაზია გაწვრთნილის კალმისა, რომელსაც ვხედავთ სალომე დედუფლისაგან აწერილს წმინდა ნინოს ცხოვრებაში, რომელიც არის დაწერილი თვით უღრმეს დროში.

ამათ გარდა — ამდენს ხანს თავის დაცვა მტრისაგან, შემაგრება ერთს ადგილზედ და დაცვა თვის ხალხოსნობისა, ამტკიცებს ყველა ჩვენს მაღალს ბუნებრივს ნიჭიერებას.

## 5.

ამგვარად გონებისა და აგებულების გასაუმჯობესებელი გარემოებანი ქართველთ ჰქონდათ თითქმის ყველა ხალხებზედ უკეთესი, მინამ კაცთა გაუმჯობესობა იყო დამოკიდებული უფრო ბუნებრივს, ვიდრე ხელოვნურს ძალაზედ, ანუ უკეთა ვსთქვათ, ვიდრე ჭკუის ვარჯიში შეიქნებოდა ასე სისტემატიკური, როგორც ეხლა ვხედავთ. ძველადვე ყველა განათლებული ხალხის მწერალნი, რომელნიც კი შეჰხვედრიან ქართველთ ტომებს, ყველანი აღტაცებაში ყოფილან ამათის კაცობრივის სისრუ-

ლით. მაგრამ როდესაც ბუნებრივს გაუმჯობესობაზედ ხელოვნურს გა-
დუჭარბებია, მაშინ ქართველთ გაუმჯობესობა, თქმა აღარ უნდა, ვეღარ წავიდოდა იმ სისწრაფით, როგორც დაწინაურებული ხალხებისა, რათ-
გან ამგვარი ვარჯიში არა ყოფილა ისე ძლიერი და სისტემატიური საქართველოში, როგორც დღევანდელ დაწინაურებულს ხალხებშია.

მართალია, სწავლითა და მეცნიერებით ჭკუის ვარჯიში დიდი სა-
ნია ტრიალებს კაცობრიობაში; მაგრამ ერთსა და იმავე ხალხს, რომელ-
საც ჰქონია იმისთანა ბუნების გარემოებანი, რომ ცივილიზაცია არ გასჩერებოდეთ ერთს ადგილას—არ უცხოვრია დიდს ხანს და იმათი ცოდნა და სწავლა ან დაკარგულა, ან გადასულა სხვა ნახევარ-ველურს ხალხებზედ. ცხადი საქმეა, რომ თუ კაცთა ცოდნა და სწავლა ერთ-
ხელ და ერთხელ წეულა ერთს რომელსამე ხალხთა შორის წარმატე-
ბაში, დარჩენილიყო იმავ თაობითვე აქამომდე ამ ხალხთაშორის, ეს ხალხი ისე უნდა გაუმჯობესებულიყო, რომ ეხლანდელი ხალხების ჭკუის მდგომარეობა სრულებით უძლური იქნებოდა არა თუ შედარე-
ბით ამ ხალხების ჭკუასთან, არამედ თვით იმათის ცივილიზაციის მი-
საღებლადაც. სწავლასა და მეცნიერებას თუ არა აქვს გზა შეკრული რომლისამე გარემოებისაგან, ისეთი ძალა აქვს, რომ თუ ხალხი იმას მისდევს, მიდის წარმატებაში და აუმჯობესებს კაცის გონებას, თითქ-
მის გეომეტრიულის პროგრესიით. მაგრამ ამგვარი წარმატების გზა არ მისცემია არა ხალხს ვიდრე ამ მოკლე ხანამდის. მაგრამ ამ ერთის ასის თუ მეტ-ნაკლების წლის წინად ევროპის დაწინაურებულს ხალ-
ხებში შევიდა მეცნიერება იმ მოძრაობაში, რომელსაც არ მოსწრებია კაცობრიობა და თან და თან სწავლა და მეცნიერება ამ ხალხებში იღებს გეომეტრიული პროგრესიის ხასიათს.

ზემოდ მქონდა მოყვანილი მრავალი მაგალითი, რომ კაცის გონებას და აგებულებას აქვს ზომა, რომელზედაც მეტს ვერ აიტანს. კაცის გონებას თუ აგებულებას თუ შეხვდა იმისთანა ძალა, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ვერ მოერევა და ვერ შეებრძვის, მაშინ ის იხაგრება და ემორჩილება ამ ძალათა და ან ისპობა სრულებით, ან ჩერდება ერთს ალაგას და ბოლოს უეჭველია ცოტ-ცოტათი კიდეც არ წავიდეს უკან და ასში ერთხელაც არის სრულებით არ დაეცეს. . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . ; . . . . . . . . . . .

ზემოდ მოყვანილს ასს წლამდინ ჩვენის ბუნებრივის ჭკუის მდგომარეობით თუ წინ არ მივდიოდით, უკან არა ვრჩებოდით არა ხალხს, მაგრამ რაც ცოდნა და მეცნიერება შეიქნა სისტემატიური, მაშინ შეიცვალა ჩვენი შედარებითი წინ წასვლა დაწინაურებულ ხალხებთან. გარდა მოყვანილის გარემოებაებისა ჩვენ გვქონდა კიდევ ერთი გარემოებაც, რომელიც არ აძლევდა ნებას ჩვენს ჭკუას, რომ გაჩერებულიყო. ეს გარემოება იყო — ნიადაგ ბრძოლა მტრებთან. მტერი ნიადაგ კარს გვადგა, გვაწუხებდა; ჩვენ ვიყავით მარ თო ჩვენი თავის ამარა და უნდა ყოველივე ჩვენი აგებულებისა და ჭკუის ძალანი მოგვეყვანა მოძრაობაში, რომ იმ მძლავრის მტრებისაგან თავი დაგვეცვა. მთელის ქვეყნის გასაოცებლად ქართველი ხალხი იცავდა თავის სიმარჯვით მრავალი საუკუნენი თავის თავს . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . ახლა ჩვენ უნდა მოვიხმარებდეთ დროს ჭკუის გასაუმჯობესებელ საქმეზედ. ჩვენ გვმართებს დაწინაურებული ხალხების მიყოლა და მიღება იმათის სწავლისა და მეცნიერებისა. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . არც ის სისტემატიური სწავლა და წრთვნა, რომელნიც დაარსდნენ დაწინაურებულს ხალხებში, არ არიან ჩვენის ჭკვის ძალისათვის ისეთი ძლიერნი, რომ არ შეგვეძლოს კიდევ იმათი მიღება და მოწევა იმ ხალხებისა, თუ დროით ცოდნით და სიმარჯვით შეუდგებით სწავლასა და წრთვნას. ამისაგამო ჩვენ გვმართებს ერთი ორად მომეტებული სწავლა

და წრთვნა, ვიდრე დაწინაურებულთ ხალხთა. ჩვენთვის ამ ხალხების მოწევა უფრო არ იქნება საძნელო, თუ ჩვენ დავადექით მარტო იმ სწავლასა და წრთვნას, რომელთაც აქვსთ ნამდვილი გავლენა კაცის გონებასა და ცხოვრებაზედ. დაწინაურებულის ხალხების სწავლაში, რუტინისა გამო (ძველის მომდევარობისაგამო), შედიან კიდევ იმისთანა სწავლანი, რომელნიც სრულებით ამაონი არიან კაცისთვის. ჩვენ უნდა ესენი გამოვრიცხოთ ჩვენის სწავლიდამ და შევუდგეთ ნამდვილს სასარგებლო სწავლას. მაშინ ჩვენთვის კიდევ უფრო გაადვილდება ჩვენი წარმატება და დაწინაურებულთ ხალხთა მოწევა—წარმატებაში.

მაგრამ თუ გაუშვით ჩვენ შემთხვევა, გაუშვით დრო და კიდევ დიდს ხანს დავრჩით ამ აპატიაში (ყურგადვრენილობაში), რომელშიაც ვართ ეხლა; მაშინ დაწინაურებულთ ხალხთ გონება ისე განვითარდება, სწავლა და მეცნიერება იმათი ისე გაძლიერდება, რომ ჩვენის ჭკუისთვის შეიქნებიან მიუწდომელი. მაშინ ჩვენ მოგველის ის ბედი, რაც ზემოდ მოყვანილს ხალხებს, როთელმაც ჭკუის ვარჯიში არა ჰქონდათ საკმაო ხმარებაში; და ჩვენვე ვიქნებით ჩვენი უბედურობის მიზეზი და ჩვენი მომავალის დამღუპველი. ბუნება შეუწყალოა, იმან არ იცის სიბრალული.

ზურაბ მოენიძე

1871 წ. აპრილს.

---

# შენ გაიარე ქვეყნის გზა მნელი!...

(ბაირონიდამ).

შენ გაიარე ქვეყნის გზა მნელი
და გაუდექი ახლა სხვა გზასა,
მამულის შვილო, მხარე მშობელი
არ დაივიწყებს შენსა ამაგსა:
ის შენ გახადე თავისუფალი
და მას შესწირე სიცოცხლე, ხმალი.

შენ მოკვდი; მაგრამ სინამ გვექნება
მმობა, ერთობა, პატიოსნება,
მინამდისინა შენი სახელი
ყველა ჩვენთაგანს ემახსოვნება,
და შენი სისხლი, მტრებთან დაღვრილი,
ჩვენ მაცხოვრებელ წყაროდ იქნება.

როს მამულის მტრებს გაუმკლავდებით
ჩვენ მოვიგონებთ შენსა სახელსა;
ქალწულნი ქალნიც თავის ნაზიზ ხმით
დაიმღერებენ შენს დიდებასა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაშინ მტერი შენსა მუმულსა
ვეღარ დაუწყებს ფეხით ქელვასა.

ი. ბაქრაძე.

# უკანასკნელი ოხვრა

ვნახე ჭაბუკი თვისს სარეცელზე,
რომ ვერ მისდილი სიკვდილს ებრძოდა;
არას ამბობდა ის არაფერზე
ხანდის-ხან მხოლოდ ღრმათა ხვნეშოდა.

ხუჭუჭი თმანი, მოგრძო და შავნი
თავისუფლათა ბალიშზე ეწყვნენ;
კოკობ ულვაში, შავი თვალ-წარბნი
მომაკვდავს სახეს დაუშვენებდნენ.

გარშა ეხვივნენ მის სარეცელსა
მის ამხანაგნი და მეგობარნი
და ნუგეშს სცემდნენ მას — მომაკვდავსა,
მაგრამ წასულოდა, საბრალოს, ჯანი. —

იგი არავის ყურს არ უგდებდა,
თითქო არაფერს აღარა ჰგრძნობდა;
მაგრამა იმას ჯერ ეტყობოდა, —
ცნობა სრულებით არ დაჰკარგოდა.

დიდხანსა იწვა თვალებ დასშული
და რაღაც ფიქრში სრულად შთანთქმული,
შემდგომ ერთბაშად ამოიოხრა
და მწუხარის ხმით წარმოიძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ჰოი, მამულო! ვკვდები უდროვოდ
და შთავდივარ საფლავს უსასოდ,
რომ ჯერ მოვესწარ შენ აყვავებას
და შენთა შვილთა . . . . . .

ვსწუხ და ვიტანჯვი უფრო იმისთვის,
ბრძოლისა ველზე რომ არა ვკვდები
და ძველებურად შენი ხსნისათვის
შობილი მშობელს არ გემსხვერპლები».

რა გაათავა მან ეს სიტყვები,
ერთბაშად გული მას წაუვიდა,
სამარადისოდ დახშა თვალები
და სუნთქვაც იმან იმ წამს შესწყვიტა.

წყალტუბელი.

1870 წ.
მოსკოვი.

# ტვინ შერყეულის ბოდვა და მოჩვენება.

## I

რა საკვირველი ხარ, ბუნებავ, და რა ახირებულად ეპყრობი ყოველ სულდგმულს? შენ ორგულს და წინააღმდეგს სასტიკად სტანჯავ... რა ცხოვრება არის იმის ცხოვრება, რომელსაც ტვინი შერყევია და რის მაქნისია ის ამ ფართო დედამიწის ზურგზედ? არა, მგონია, ამათი სიცოცხლეც არ იყვეს სრულებით უსარგებლო. ეს ასე უნდა ვიფიქრო იმიტომ, რომ ამ მოკლე დროში ტვინ-შერყეულების ნაღაპარაკევს და იმათ ცხოვრებას ძლიერ ყურს უგდებენ. ალბად სასარგებლო არის, თორემ აბა ამას ვინ გამოუდგებოდა. მე ვეკუთვნი ამ ტვინ შერყეულებს და მგონი სარგებლობა მივცე ქართველებს, რომ გავაცნო ჩემ ბოდვასა და ჩვენებაებს. მართალია, ჩვენ ცოტა გვყავს ჭკუა დონიერი კაცები; მაგრამ ერთი მაინც ხომ გვყავს, რომელიც ამ ჩემი ბოდვისაგან სასარგებლო დასკვნას გამოიყვანს......

## II

### პირველი ბოდვა და მოჩვენება.

დასწყევლოს ღმერთმა, ე რა ქვეყანაში ჩამოვვარდნილვარ? რა ხალხი არის ეს ხალხი და რა უგზო-უკვლოდ ეხეტება? ხეპრეების ქვეყანაა, ხეპრეებისა. ხო, მაშ ეს ახალი ქვეყანა არის. რამ ჩამომაგდო

აქა, ან რა საქმე მაქვს აქა? ვინ იცის, ვისა და რისთვის გადმოუტყორცნივარ აქ? ვინ მომცემს ამის პასუხს? ვერავინ, მაშ ამას ისევ თავი გავანებო და შევაცქერდე აი იმათ.

ამათ აქ შუბლნიკორაებს ეძახიან და აი იმათ თვალსაფარიანებს. შუბლნიკორაებს მისთვის ეძახიან, რომ შუბლზედ თეთრი ფოლადაქები აქვთ მიჭედილი. ამბობენ, რომ ესენი ხეპრეთში სამართლის წარმომადგენლები არიანო და სახელიც შუბლნიკორაები ჰქვიანო. ამათ ხბორები ჰყავთო, რომლებიც ხელს უმართავენ და ჰშველიან. ესენი უპელახი ხეპრეთლების კეთილმდგომარეობაზედ ზრუნავენ. განსაკუთრებით, ამ ხალხის ზნეობაში ის არის, რომ როცა ხბორები შუბლნიკორაებს დაინახავენ ხოლმე, მაშინვე ხბორებს ზურგის ხერხიმლები ა ე რ კ ა ლ ე ბ ა თ. ეს ამბავი ჩემ თვალწინ მოხდა და აი ეხლაც ხდება: აი ვხედავ შუბლნიკორა მიდის, აი შემოჰხვდნენ ხბორები და ზურგის ხერხემლები აერკალათ ყველას; აი ჩაიარა კიდეც შუბლნიკორამ და რა მსწრაფელ ლარივით გასწორდნენ ზურგის ხერხემლები! დასწყევლოს ღმერთმა, რანაირი ზურგის ხერხემლები ჰქონიათ ხეპრეთლებსა? აი ნეტავი ვიშოვნიდე აგრე არკალებულ ზურგის ხერხემლებს; რა დაშვენდებოდა და ჩემი ლურჯა, როცა ფაიტონში ხის რკალის მაგივრად ამას გადავადებდი კისერზედ.

მაგრამ მოდი ერთი დავფიქრდე, რა არკალებს იმათ ხერხემლებს? იქნება ის მიზეზი არის, რა მიზეზითაც ზღარბი იკრუნჩხება, როცა ძაღლსა ან რამე მტერს დაინახავს?! არა, არა, უკაცრავად, აი წარმომიდგა თვალწინ, ვხედავ კატა ძვალს ჰხრავს, უცებ საიდგანაც ძაღლმა მიიცუნცულა, შეუღრინა კატას, კატამ კბილები დაკრიჭა, ზურგის ხერხემალი აერკალა და შეღრინავს. ალბათ ესვეწება ნუ მაჭამეო, მაგრამ არა გაუშლის რა, ჰშორდება და ზურგისს ხერხემალიც ლარივით უსწორდება — ესე განა? დიახ, მიპასუხებს ჩემი ჩვენება, მუდამ ჩემი თანამგზავრი და ხელთ-მძღვანელი.

## III

### მეორე ბოდვა და მოჩვენება.

ეგ რა კან-დაფლეთილები არიან და რანაირად დაწვრილებულან?! მაგრამ ამათში კან მთელნიც და სხვილებიც ურევიან! რატომ ყველანი ერთნაირად მსხვილები და კან მთელები არ არიან? ან არა და რატომ ეგენი სხვილები არ არიან და ისინი წვრილები? რადა ისინი გამსხვილებულან და არა ეგენი? წურბელა რომ თავისი პატარა ნესტრით გასჭრის ძარღვსა, ისე გაიბერება სისხლით, როგორც გუდა; ძარღვს კი სისხლი აკლდება და ჭკნება. იქნება ამ მსხვილმა ხეპრეთლებმა წურბელასავით კბილები ჩაასვეს წვრილებს და იქამდის წუწნეს, სანამ თვითონ არ გამსხვილდნენ და ისინი არ დააწვრილეს? წვრილების კანის დაფლეთილებაც შეიძლება ამისაგან წარმომდგარიყო. ნეტავი თუ მართალი არის ეს მოსაზრება? მე ხომ ვერას ვიტყვი ისე, თუ ჩვენებამ არ მითამაგოს, იმ ჩვენებამ, რომელიც მინათებს გზას და მაფარებს თავის ღონიერ ფრთებს; უამისოდ მე აქ გამიქარწყლებდენ ეს ხეპრეთლები. აქ ერთმანეთს ბუღებსავით ბუღვერიან; სხვილები მაინც საშინლად უტრიალებენ თავიანთ თვალის კაკლებს წვრილებს — თითქოს და ტაკება და მტვრად ქცევა უნდათ წვრილებისა. რომ დაეტაკოს, ხომ მართლაც და დაფშვნეტს.... ჩუ, სინათლეო ეს ჩემი ჩვენებაა, ეხლა კი არა მიშავსრა. «რას დაფიქრებულხარ, მეუბნება ჩვენება? რასა ჰფიქრობ, ეს სულ მართალი არის მაგრამ ერთში კი მოტყუებულხარ. მართალია, ეგ მსხვილები, რომელთაც ჰხედავ სხვისი ქონითა და წვენით გამსხვილებულან და ბუღასავით დასამჩქლევად დასცქერიან წვრილებს, მაგრამ წვრილებსა ესენი ვერ დამსხვრევენ: მოვა დრო და ჰნახავენ აქ თამაშასა... მაგრამ აქმო, გამომყევ აქ, ეს სად შემიყვანა?! აი, აქა ზის ერთი შუბლ-ნიგორა; აი, იქ ხბორები შემოსხდომიან ოთხ-ფეხ მაღალ და ბრტყელ ფიცარს. შუბლ-ნიგორა ეუბნება: გაჰკრით, რომ ბევრი გამოვიდეს. ბოლდი ვკითხო რას ჰნიშნავენ ეს სიტყვები — ეს არის განჩინება და რაც უფრო იქნება გაჭიანურებული, ისე უფრო კარგია ჩვენთვის; აი

თითო ამისთანაში სამსამ ფარებს გვამლევენ წრილები. მართლაც ასობიც თითო მტკაველზედ არიან მოშორებულნი. აი შემოდის ერთი წვრილი და კან-დაფლეთილი, ამასაც ზურგის ხერხემალი ერკალება; შუბლ ნიკორა აძლევს რაღაცას ქაღალდზედ დაწერილსავით და წვრილ რაღაცს უჩხარუნებს ხელში... ხედავ,—მეუბნება ჩემი ჩვენება—ჰხედავ? ამას აქ სამართლიან წვენის გამოწუწნას ეძახიან. რამდენ ვაი ვაგლახად, რამდენ წვეთ ოფლად უღირს წვრიმან კანდაფლეთილს ის, რაც მისცა შუბლ ნიკორას! აი როგორ იციან აქ წვენის და სისხლის გამოწუწნა! ამისანა წვენის მსმელები აქ ათასნი არიან და მოდი ნუ დაწვრილდები და ნუ დაჭკნები. ხის გულს რომ ჭიები ღირღნას დაუწყებენ, ხე ხმება—ეგენიც ისე გამხმარან: გულ-ღვიძლი გამოჭმული აქვთ, სისხლი გამომშრალი და ამისათვის დაწვრილებულან.

## IV

## მესამე ბოდვა და მოჩვენება.

...ეს რა მშვენიერ ქალაქში ჩამოუყვანივარ ჩემ ჩვენებას. უყურე ჩემი ჩვენება გზას მინათებს და მიმიწვევს სადღაც—.. წავყვეეს რა სულდგმულები არიან? ჰხედავ რას ჩადიან? სამნი მოკლე ფარაჯა გადაცმულნი დგანან, ხელში უჭირავთ საცეცხლურებსავით, რაშიაც საკმეველი იგმევა; აი აქვე ვიღაცა; თითქმის სკამზედ ზისო, ბეჭში მოხრილა; თვალებზედ რაღაცა ლურჯი, პატარა გაგოლაჭებსავით აფარია; სამნი თვითეულად უკმევენ და დაბლა თავს უკრავენ... აი უეცრად იმათგანი, დ უ რ ც ხ ი უეცრად ოთხზე დგება, თვალ-საფარიანი ზურგზედ შეახტება, თოკს ამოსდებს და მაგრად მოსწევს თითო ცხენი არისო. სუ! უეცრად ცხენობა ქრება, თვალსაფარიანი ერთ ხელს ვიღაცს უწვდის, მეორე ხელი დაუმუშტავს. შეხე, შეხე რა რიგ ეზდება მუშტი, თითქმის სახლის ოდენა ხდება. «მოდი» ეჰუბნება თვალსაფარიანი—ხელი მომეცი, დავმეგობრდეთ». ის მიდის მარჯვენას მარცხენა ხელში აძლევს და მეორე დიდ მუშტს კი კბილებში მიუ-

ნათებს თვალსათვარიანი და თან მიაძახებს: «მშვიდობა, ძმობა, მეგობრობა»... «არა აქ და აგრე მეგობრობა არ შეიძლება»—უპასუხებს თვალ ჩამოთვარებულს და თავის მარცხენა ხელს და მუშტავს და დაჰკრავს ბეჭებზედ. უხ! საწყალი მოიკუნტა, თავი ფეხებში შეისო და მეხვსავით, დარგვალდა .... უი, რა საშინელი სურათი არის!! მიშმველე, ჩვენებავ?... უცებ განათლდა ჩემ წინ,—ეს ჩემი მეგობარია. ნუ გეშინია, ნუ გეშინია—მეუბნება ჩვენება—ყური დაუგდე... უხ! რა მუშტის კრივია, კბილები ჩაასცვინეს ერთმანერთსა; ეხლა თითქმის რაღაც სხლებსავით შემოიტანესო. უჰ! სისხლი იღვრება, გამოვიდე... ჩემი ჩვენებაც გამომყვა.—ეს ჩვენება შენთვის სასარგებლო იქნება—მეუბნება ჩემი ჩვენება.—ეგ თვალ ათვარებული—ტვინ ლაყე არის. იძახოდა «ძმობა და მეგობრობაო» მაგრამ ამასთანავე «კბილებში მუშტიცაო» რაც დახთესა მომკო; ცეცხლი და წყალი ვერ მოთვისდებიან: ან ცეცხლმა წყალი დააშროს ან წყალმა ცეცხლი გააქროს. შენი შენთაგან. ისწავლეთ ჭკუა..... ის თვალებ ჩამოთვარული ხეპრეთლების ჭკვის მკავლველი და მომსხმელი არის...

## V

## მეოთხე ბოდვა და მოჩვენება.

....უჰ! ამოდენა კან-დათვლეთილებს და ლერწამივით დაწვრილებულებს აქ რამ შეუყარა თავი? შეხე! მეხვსა დამსგავსებულიც აქ არის; თავი ლაჯებშიდ გაჰყურია და უკან ტანიდან ცას შესცქერის და თითქოს რაღცას ლაპარაკობს: კანდათვლეთილებიც ყურს უგდებენ.— ძმებო, თქვენ თუ გამსვილება და გასქელება გინდათ, აი იმ სქელ კაცს მიანდეთ თქვენი სული და ხორცი; თქვენ ცხვრები ხართ, არა გაგეგებათ რა. თქვენ აზრსა და გრძნობას ის უნდა ჰმართავდეს; ყველანი გასქელდებით, როგორც ეგ არის სქელი... ჩუ! ეგ რა არის ურემსავით? სქელ და ლაჯებში თავგაჩრილი კანდაათვლეთილებს შიგ აბამენ; შეაბეს კიდეცა, ჩასხდნენ და კიდეც მიერეკებიან. დასწყევლოს ღმერთმა! ეგ რა ქვეყანა არის, რომ ორ ფეხები ორმ ფეხსავე

უბამენ ურემში?.. არა, ძმაო გასქელებულო; მამაჩემი თქვენი ჯიშისა არის. თქვენ, როგორ გიღალატებ? მამაჩემიც თქვენსავით სქელი არის, აი იმათ წყენს გაუხუქებიათ და რო ესენი ხელიდან გაგვიძვრნენ, ლელწამსავით გაშრებით. მე ჭკუები ჩამოვახი და დაურიგე ამათ, რომ კლანჭებში გაეჭიროს. ეგეთი ვარ. ჭინჭარს ვარდი დაესხმება?

## VI

### მეხუთე ბოდვა და მოჩვენება

რა უცებ შეიცვალა სანახავები? ეხლა არ იყო, რომ ლამაზ ქალაქში ვიყავი? ეხლა კი გადმოუტყორცნივარ რაღაცას თავმოშვებული მთის ძირში; ცოტა მოშორებით მდინარე მშვენიერად იკლაკნება და თავის ნაპირებს თითქოს უწყრება ხმაურობით, რათ შეგიკრავართ, რატომ ნებას არ მაძლევთ, რომ მეც გავიშხე იქით აქეთო... ჩუ! აგერ იქ რაღაც დგას თეთრი, სახლსა ჰგავს, ხმაურობაც მოისმის; კან დათვლეთილებიც იქითკენ მიეშურებიან, გასქელებულებიც კი მიდიან. მივიდე, ვნახო. რამდენი კან დათვლეთილები არიან! ზოგს ქვემო ყბის ძვალი და ბაგე კარში გამოსწევია და ზემოთიკი შიგნითკენ შეწეულა; ყველანი პირდაღებულნი შესცქერიან ჩასქელებულებს. ჩასქელებულები ყორეზედ დგანან და პირ მომღიმარნი კბილ დაკრეჭილ კანშემოთვლეთილებს ჩასცქერიან; ერთი ვიღაც თავშიშველი და გძელ, შავ ფარაჯასავით რაღაცა გადაცმული დგას და თითქოს რაღაცას ელოდება. აი ყორეზედ გამოჩნდა ერთი ლოყებ ჩაწითლებული, მკლავზედ უწყვია რაღაცაები: გძელ გძელი, თხელი — სრულებით ლავაშებსა ჰგავს. ამის დანახვაზედ კანშემოთვლეთილებში მოშმანი და ძვრა იწყობა; ყველანი თვალებს შეაჭყეტენ და უნებლიეთ, თითქოს, პირები ეღებათ. ლოყა ჩაწითლებული ისვრის ძირ ფეიალესა, კან შემოთვლეთილებში დიდი ძვრა: ყველანი ხტებიან, იჭერენ ყორიდან გადმონაყარს. აი გადმოაყარეს კიდევ რაღაცები — წვრილ-წვრილად დაჭრილ ხორცსა ჰგავს; ყველანი თავგამოდებულნი ხტებიან, იჭერენ და ერთი ერთ-

მანერთს ხელებიდან ჰგლეჯენ. მოიტანეს დიდი თაბახი, ზედ სასმელს ასხამენ; ყველა ცდილობს დაეწაფოს, ზოგმა კიდეც წაუჩოქეს, დადვეს ტუჩები და დაეწაფნენ. მაგრამ გარეშემო ამ თაბახისა რა ამბავი არის? რა ნაირად უჯლიგვინებენ ერთმანეთს ბეჭებში და გვერდებში! აი ერთი კიდეც ჩავარდა სავსე თაბახში... ამოძვრა კიდეც. აი რა კარგა გაუბანია თმა-წვერი წითელი წყლით! ჩასქელებულნი მაღლობიდან დაჰყურებენ და როგორღაც შხამიანად იღიმებიან. ზოგი კანშემოფცქნილნი რაღაცა საცოდავად შემოიხედება ლოყებ ჩაწითლებულისკენ. უსათუოდ იმათ მუცელ ჩასქელებულის წყალობა არ გაჰხვედრიათ.... ოჰო! გათავდა საშინელი სანახავი, მაგრამ რა არის ეს ამბავი, რასა ჰგავს ესა?—ვფიქრობ მე. – ეს ალბად იმას უნდა ჰგავდეს, რომ ჩემ ქვეყანაში ნადირობის მოყვარული ბატონი თავის მწევრებს და მექებრებს კურდღლის შიგნეულს გადუყრის და მწევრები და მექებრები ამ დროს ორზედ დგებიან და ერთმანერთს კბილებიდან ჰგლეჯენ შიგნეულს. სო ეს ასე არის და იმისთვის, რომ მექებრების დანაშერს კურდღლის ხორცს მონადირე შეექცევა და შიგნეულობას კი იმას აჭმევს, ვისი წყალობითაც შეექცევა კურდღლის ხორცს. ესე განა, ჩემო ჩვენებავ?—დიახ... ვიშ! ძლივს არ გადმიარა ბოდვამ, მადლობა ღმერთს. კარგი, რომ დრო გამოშვებით შემემთხვევა ხოლმე ამისთანა ბოდვა და ჩვენება. რომ ეს ასე არ იყვეს, შენი მტერი!.. მაგრამ იქნება ვინმემ იკითხოს: რა გამოდის რაღაც ბოდვისა და ჩვენებისაგანაო? თუკი, მკითხველო, «გულივერის მოგზაურობას» გაკითხებენ, რატომ მე ნებას არ მომცემთ, რომ ჩემ მოჩვენებაებს და ბოდვას გაგაცნოთ. სვივტსაც ბოლოს დროს ტვინის შერყევა შესწამეს და ესეც შერყეული ტვინის ნაწარმოებია და, გარდა ამისა, ეს ჩვენებაები და ბოდვანი არიან თქვენი «სისხლი და ხორცი». ამაში თქვენ არა გეუცხოებათ რა. მაშ ჩაფიქრდით და მე ესლა გადავავლებ თვალს «დროების» ახალ ნომერს.

## VII

«მიზანტროპის დაკვირება და ფანტაზიათი» — მთელი ნომერი გაუვსია დალოცვილ მიზანტროპს, მაშ კარგი რამ უნდა იყოს....

დიას დიდი კმაყოფილება ვიგრძნე და მომაგონდა ერთი ახირებული ჩვეულება ერთი ბებრუხა ვაჭრის ცოლისა (კუპჩიხისა). ამ კუპჩიხას ჰყავდა ერთი სამაგელი მახინჯი ქალი და, რასაკვირელი არის, როგორც ყველა დედას, ამ ქალის გასაღება ჰსურდა, სხვა და სხვა ნაირ წასახმელებს უსომდა თავის მახინჯ ქალს და თვალის სასიამოვნო «ნაირნაირ» ტანსაცმელს აცმევდა. რასაკვირველი არის, მუშტარი ბევრი გამოუჩნდა, მაგრამ სათაბალა ეს არის, რომ რაკი ახლო შეჰხედავდნენ, საწყალ მუშტრებს ხელში რჩებოდათ ისევ ის მახინჯი, დამჭკნარი და სიცოცხლე გამქრალი არსება.... ღმერთმა გაშოროს, მკითხველო, ამ გვარ სვეს! გარდა ამისა ამ მიზანტროპმა მე მომაგონა ნაპოლეონი III. არ გახსოვთ, მკითხველებო, რა ნაირად შემოსძახა ნაპოლეონმა ბისმარკს და რა კილოს დეპეშა გაუგზავნა წვრილ გერმანიის სამეფოებს? ოცდა ოთხი საათის განმავლობაში შემატყობინეთ თანაუგრძნობთ ბისმარკს თუ არაო. სკანდელი კატაგორიულად (გადაწყვეტით) მოითხოვს პასუხი მისცეს «მნათობის» რედაქციამ. ნაპოლეონის ბაქიობის შემდეგს მოვესწარით: საწყალს ტასტი აშვლიპეს და დარჩა ხელ ცარიელი და ბისმარკი, მოლტკე, ვილჰელმი კი დაბრუნდნენ შინ ჯიბე გატენილები.—თუ რამე სამართალი ჰქონდა უფ. სკანდელს, რატომ თავის მოპირდაპირესთან საქმე არ დაიჭირა. როგორც მოპირდაპირე, ისე უფ. სკანდელი ამაყები ყოფილან, თუმცა პირველის ამაყობა სულ სხვა სახიათის არის, მინამ მეორისა და ვგონებ, რომ გულ ნაკლულს არ გაუშვებდა უფ. სკანდელს... მაგრამ, ვინიცის? იქნება მოპირდაპირ, ,ფიქრობს: «ნუ გაუფანტავ მარგალიტს...» ეგ, თქვენმა მზემ ჭკუაზედ მრიელ ახლო იქნება.

ხოსია შროშანიძე

# ზოგიერთების «მამაო ჩვენო.»

(ლოცულობს) «მამაო ჩვენო! რომელი ხარ შენ ცათა შინა,»
(გულში ფიქრობს) წუხელის შურით მთელი ღამე არ დამეძინა...
«წმინდა იყავ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი,»
ვაი, რათ არის ჩემი მოძმე ჩემზედ უფრო ბევრის შემძენი?
«იყავ ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა,»
სასტიკმა სენმა ამოუწყვიტოს შვილები, ძმები, მამა და დედა!...
«პური ჩვენი არსებისა მოგვეც ჩვენ დღეს,»
ნეტამც შემეძლოს ავაოხრებდი მთლად ამ ჩვენს კუთხეს!
«და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი,»
ძმაზედ დანოსი შევიტანე დღეს, კარგად ვქენი. .
«ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა,»
ოჰ, რომ შემეძლოს, გაუჩენდი მათ სხვა-და-სხვა სენთა...
«და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან»,
ოღონდ ის წახდეს, ვთხოვ ღვთისმშობელსა, და მეც დავმარცხდე ეშმაკისაგან.

აკაკი წერეთელი.

1869 წ.

# ორიოდე სიტყვა ჩვენს ახლანდელს საჭიროებაზედ.

## წერილი მეგობართან.

### I

მრავალჯერ გამოთქმულა სხვა და სხვა პირთაგან ის აზრი, რომ საქართველოს ხალხი და უმეტესად ქართველები ვითომც «ზარმაცები» არიანო. ეს აზრი უფრო მომეტებით იმ მოაზრებაზეა დაფუძნებული, რომ ქართველი ხალხი დიდ სიღარიბეშია და ვალითაც ისეა სავსე, რომ არათუ თითონ ვერ ამოდის იმისგან მთელ თავის სიცოცხლეში, არამედ მისი შთამომავლობაც კი დანთქული და განადგურებულია ვალისაგან. «ეს ასე რათ იქნება, ამბობენ ისინი, თუ მართლა ქართველი ხალხი მშრომელი იყოს და ზარმაცობა არ უყვარდესო».

ვისაც არა აქვს ნიჭი, რომ უბრალო და ადვილად გასაგები მოვლინების მიზეზი გამოიკვლიოს, ის, რასაკვირველია, საქართველოს ხალხის სიღარიბეს და ვალში ყოფნას მიაწერს იმათ ზარმაცობას და უშრომლობას. მაგრამ აქ არ შეიძლება მწარე ღიმილით არ იკითხოს კაცმა: საქართველოს ხალხზედ მომეტებულად ვინა შრომობს? ქართველი ხალხი როდის არის მოსვენებული?—სულ შრომაშია — ზამთარ და ზაფხულს: ჰხნავს, სთესავს, მკის, ჰლეწავს, სთიბავს, ვენახს აწვენს, ჰსხლავს, ჰბარავს და სხვა და სხვა შინაურ სამეურნეო საქმეებს ასრულებს; ახლა სახელმწიფო და სასოფლო საქმეები: ბეგარა გზების კეთება და სხვა რაღაცაები? ახლა საბატონო სამსახური და ვაი-ვაგლახი?.. ერთის სიტყვით ქართველს კაცს იმდენი საშრომი და თავში საცე-

ში აქვს, რომ დიდი უგუნურება იქნება კაცმა იმას ზარმაცობა შესწამოს: განა ზარმაცობა ეთქმის იმ ხალხს, რომელსაც არა აქვს არც დღე და არც ღამე მოსვენება, არც ზამთარს და არც ზაფხულს, და რომლისაც თავში სცემია, როგორც შინაური, აგრეთვე გარეული—თავისი და სხვისა—საქმეები.

აქ რასაკვირველია, უნდა დაუმატო, რომ როდესაც ვამბობ: «საქართველოს ხალხი ზარმაცი არ არის, არამედ მშრომელია»—მეთქი—მე მაქვს აზრად მხოლოდ საქართველოს ხალხის უმეტესობა—მაწარმოებელი ნაწილი, ის ნაწილი, რომელსაც, გასარჩევად, უწოდებენ «გლეხობას» აქ «ბატონებზედ» და მაღალ საზოგადოებაზედ ლაპარაკი სულაც არა მაქვს და არც არაოდეს ვიტყოდი რასმე, თუნდაც რომ მთელმა ქვეყანამ ზარმაცებად იცნოს ისინი: «ბატონების» ზარმაცობიდამ და განცხრომის მოყვარეობიდამ არ შეიძლება კაცმა იმ ხალხის ზარმაცობა გამოიყვანოს, რომლისაგანნიც არიან ის ბატონები. ყველგან, თვით მშრომელ ხალხად ცნობილ ხალხშიაც კი, ბატონები უმეტესობით ზარმაცები და უზრუნველები არიან, იმ უბრალო კანონის ძალით, რომ სხვისა ხარჯით და შრომით ცხოვრებას დაჩვეული კაცი თითონ არაოდეს არ გასძრავს ხელებს, რომ თავისივე კუჭისთვის თვითონ გააკეთოს რამე. ერთის სიტყვით ჩვენი ბატონების უზრუნველობა, როგორც ყველა სხვა ხალხის ბატონებისაც, არ წარმოადგენს საზოგადოდ ჩვენი ხალხის გამრჯელობისა თუ სიზარმაცის საზომავს.

მაგრამ ესეც კი უნდა დაუმატოთ აქ, რომ ყველა მოვლინებას თავისი მიზეზი აქვს, ყველა იმართვის და სწარმოებს უცვლელი კანონების ძალით. აგრეთვე ჩვენი ბატონების უშრომელობაც არაოდეს არ წარმოგვიდგენს იმას, ვითომც ეს მათი უზრუნველობა და უშრომელობა მათი შინაგანი ბუნებითი თვისებისაგან წარმოსდგებოდეს. არა. ეს არის შედეგი მხოლოდ ცხოვრების გ ა რ ე მ ო ე ბ ა ე ბ ი ს ა: ის, რომ ცხოვრების სხვა-და-სხვა შემთხვევაებს და გარემოებაებს ძლიერისთვის სუსტი დაუმონავებია და—რადგან საზოგადოდ კაცის ბუნებაში არის ლტოლვა განცხრომილებისადმი, ან თუ გინდ ცხოვრების გაადვილებისადმი—«ძლიერი» მისცემია განცხრომას და ყველა თავის ცხოვრების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად უსმარია «სუსტი»—იმის ხარჯ-

ზედ და იმის შრომით უწყვია ცხოვრება. ეს ყველგან ასე ყოფილა (და ახლაც არის), ვიდრე გაუგიათ ჭეშმარიტება—ნამდვილი ცხოვრების მოთხოვნილება და ისიც, თუ რაგვარი უნდა იყოს კაცთა ურთიერთშორისი დამოკიდებულება, ერთის ლექსით ვიდრე ხალხში განათლების სხივი შესულა.

მაშასადამე, თვით ჩვენი «ბატონებიც» არ წარმოადგენენ ბუნებითად უზრუნველ ხალხს,--არა, ისინი არიან მხოლოდ გარეგანი ცხოვრების გარემოებისაგამო გ ა ზ ა რ მ ა ც ე ბ უ ლ ნ ი და განცხრომას მიჩვეულნი; ამის დასამტკიცებლად ის უნდა მოვიგონოთ, რომ ჩვენში ბევრი ისეთი «ბატონია» ეხლა, და უწინაც ყოფილა, რომ ყველა «გლეხზედ» მომეტებულად ირჯება და შრომობს.

ერთის სიტყვით, ქართველი ხალხის ბუნებაში სიზარმაცე სრულებით არ არის, რადგან თვით მისი საცხოვრებელი ქვეყნის ბუნება ისეთია, რომ უშრომელად არავის არას აძლევს; და თუ ერთი მცირედი ნაწილი ქართველი ხალხისა უზრუნველად სცხოვრობდნენ, ან ეხლაც ცხოვრებენ,—ეს წარმოსდგება გარეგანი, შემთხვევისაგან, ცხოვრების მოწყობილებისაგან, და არა ქართველი კაცის ბუნებითი თვისებისაგან.

## 2

მაგრამ მახვილ გონიერი მომხრე იმ აზრისა, რომ ქართველ კაცს შრომა ეზარებაო, ზარმაციაო, ვერ გაიგებს ამ ჩემს ნათქვამს, თუ არ აუხსენ ის, თუ როგორ მოხდება, რომ კაცი სულ შრომობდეს და არაფერი კი არა ჰქონდეს და ამასთან ვალითაც სავსე იყოს.

ყველა შრომა მაშინ ჯილდოვდება რიგიანად, როდესაც ძალასა და მოქმედებას, ანუ შრომის ნივთიერს მხარეს ზედ დაართავენ გონებითს მოაზრებას და ცოდნას, ანუ — სხვანაირად ვსთქვა—როდესაც ძალაღონის მოქმედებას გონივრულად საქმის მოაზრებით შეასამებენ. განა გუთნის-დედას აქვს უფლება სთქვას: ბევრი მოსავალი მომივაო, ამიტომ რომ ბევრი მოვხანიო და სულ რვა-ცხრა უღელი ხარითაო და ამასთან ძალიან სქლადაც დავთესეო. რასაკვირველია, არა აქვს, ამი-

ტომ რომ ამ შემთხვევაში გუთნის-დედის იმედი დამყარებულია შრომის რაოდენობაზედ და არა თვისებაზედ, სახელდობრ: დიდ შრომაზედ, ბევრ მოქმედებაზედ და არა იმაზედ, თუ რანაირი მიწა მოხნა, რა სახით მოხნა, როგორ დათესა, როგორ დაფარცხა, ან თავის დროს თუ არა, და დათესილი მარცვალიც რანაირი იყო — მოსული თუ მოუსვლელი. აგრეთვე ვერც დიდი ბოსტნის პატრონი დაიკვეხებს შრომის დიდ დაჯილდოებას, თუ იმის იმედი მარტო იმაზედ არის დამყარებული, რომ დიდი ბოსტანი აქვს, სულ ძვირფასი მცენარეები აქვს დათესილი და მკეთებლებ'საც სულ დიდ ფასს აძლევს, — ვერც ეს დაიკვეხებს, დიდ მოსავალს, თუ იმ ბოსტნის მიწა კარგი არ არის, თესლიც სალი, ბოსტნეულიც იმისთანა, რომელსაც ძალიან ხმარობენ ცხოვრებაში, მებოსტნეებიც მცოდნენი და ამასთან თუ კარგი გზაც არა აქვს იმას იმ ბაზრამდის, სადაც თავის ბოსტნის მოსავალი უნდა გაჰყიდოს, გაასაღოს; — ამ უკანასკნელსაც დიდი მნიშვნელობა, აქვს, შრომის დაჯილდოებაში, რადგან შეძლება ბევრი მოსავალი მომივიდეს, მაგრამ გზების უქონელობით, ან სიშორით შინ დამილპეს და შრომამ ფუჭად ჩამიაროს. ესვე ითქმის ყველა მშრომელებზედ და მაწარმოებლებზედაც. ჩვენში უმეტესი ყურადღება არის მიპყრობილი შრომის სიდიდეზედ — ერთის სიტყვით — რაოდენობაზედ და არა თვისებაზედ და გონებითს მოაზრებაზედ შრომის დაწყების დროს ამის მიზეზი არის უცოდინარობა ჩვენი ხალხისა: შრომა, გამრჯელობა ბევრია, მაგრამ ცოდნა არ არის, რომ შრომის ჟამს ხელმძღვანელობდეს ჩვენი ხალხი; ამას დავართოთ ისიც, რომ შინაური გზები არა გვაქვს, რომ ჩვენი უხეირო ნაშრომი ადვილად გავასაღოთ ფულად. (სწორედ ამ მიზეზებისგან არის რომ ჩვენს ხალხს სჭირდება ბევრი შრომა და ზომაზედ მომეტებულსაც შრომობს: ცოდნა რომ ჰქონდეს, რასაც ეხლა შრომობს, იმის ნახევარი რომ ეშრომა, უკეთესად იცხოვრებდა და არც ვალი ექნებოდა).

აი, დიახ საჩინო და ადვილად დასანახავი მიზეზი ჩვენი ხალხის უქონელობისა, თუმცა უშრომელად ერთ დღესაც არ ატარებს ის თავის სიცოცხლეში. ამ უქონელობას და შრომის დაუჯილდოებლობას, რასაკვირველია, მოსდევს ვალებიც. ყველა ცხოვრების საჭიროება და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმაყოფილებას ითხოვს, და ჩვენ ხალხს კი მრავალი საჭიროება აქვს (თავისი და სხვისა) დასაკმაყოფილებელი, ასე გასინჯეთ, სხვა ბუნებით, წესიერ მოთხოვნილებაებს გარდა, ჩვენ ხალხს ისიც ფრიად დიდ საჭიროებად მიაჩნია, რომ მკითხავებთან იაროს ყველა უბრალო შემთხვევის ჟამს და იმათ დარიგებას და შეკვეთას ასრულებდეს მტკიცედ, თუნდა ამას სამი-ოთხი თუმნის უბრალოდ გადაგდება მოუნდეს და რამდენიმე კვირის მოცდენა და კიდევ, იქნება, რამე უბედურება და სხვა ხარჯიც ზედ დაერთოს.

როდესაც შრომა არა ჯილდოვდება, ესე იგი როდესაც კაცს თავის შრომიდგან იმდენი გამოსავალი არა აქვს, რომ თავის ცხოვრებისა თვით მარტივი და აუცილებელი საჭიროება დაიკმაყოფილოს, მაშინ ის, რასაკვირველია, ცხოვრებისათვის სხვა სახსარს ეძებს. ამ შემთხვევაში ყველაზედ უადვილესი სახსარი (მეტადრე გაუნათლებელი ხალხისათვის, სადაც ხელოვნება და ვაჭრობა დაცემულია)—არის მ ო მ ა ვ ა ლ ი შ რ ო მ ი ს ხ ა რ ჯ ი თ ცხოვრება. აქედამ წარმოსდგება ვალი და მამულის დაგირავება. ეს მამულის დაგირავება და ვალი იმდენად უფრო გავრცელებულია ხალხში, რამდენიც შრომა, უმეცრებისა და სიტლანქისა გამო, არა ჯილდოვდება, არ აძლევს კაცს ცხოვრების სახსარს და რამდენიც კიდევ ვალის შოვნა ადვილია? და ისიც კი უნდა ვსთქვათ, რომ როდესაც ვალის აღება ადვილია, ოღონდ მამულის დაგირავების მეტი არა უნდოდეს რა, მაშინ ვალს ისეთი კაციც იღებს, რომელსაც სრულებით არ უჭირს ვალის აღება. აი ამისთვის არის, რომ რამე სასესხო დაწესებულება, თუ უდროოდ არის დაფუძნებული—არათუ არ შეადგენს ხალხის საჭიროების ნამდვილს დამაკმაყოფილებელს საშუალებას, არამედ ხშირად, სარგებლობის მაგიერ, დიდი ვნებაც მოაქვს. ჩვენთვის ბევრჯელ უთქვამსთ გაკვირვებით, რომ «აი პრიკაზიცა გაქვსთო.... ოღონდ მამული შეიტანეთ გირაოდ, ფულს გამოიტანთ და იმ ფულით მამულის გაკეთება შეგიძლიათო; მაგრამ აბა რატომ ვერა მოახერხეთ რაო»? მაგრამ აქ მცირედი გაგების პატრონი კაცისთვის გასაოცარი არ არის რა. ვინც იცის კაცის სისუსტე (მეტადრე გაუნათლებელისა) არ კი გაოცდება, რომ ქართველებმა პრიკაზით მამულები ვერ გააკეთეს *),

*) მე აქ ვამბობ უმეტესობაზედ: ამ გვარ ბაასის ჟამს აზრად

და პირიქით იმაზედ გაჰკვირდება, თუ ან კი აქამდის როგორ ყველა ცარიელი არ დარჩა თავის მამულებიდგან.

იმისთანა დაწესებულება, საიდამაც კაცი ადვილად აიღებს ფულებს (მამულის დაგირავებით), ჩემის აზრით სასარგებლო სულაც არ არის იმისთანა ხალხისთვის, რომელიც გაუნათლებელია, ცოდნა, ხელოვნება და, მაშასადამე, ვაჭრობა არა აქვს, ერთის სიტყვით არ იცის წესიერად, სარგებლიანად ფულების მოხმარება და ამის ნაცვლად განცხრომილებისა და ამაო ცხოვრების მეტი არა ესიამოვნება რა, — ამისთანა ხალხისთვის ფულების სესხად აღების სიადვილე, სარგებლობას კი არა, დიდ ვნებას მოიტანს: შეაჩვევს უზომო და უფიქრელ კეთილ-ცხოვრებას, გადააჩვევს შრომას და ბოლოს იქამდისაც მიიყვანს, რომ ნივთიერად გაასაწყლებს და ზნეობითაც დააძაბუნებს. აი ამისგამო მოხდა, რომ ჩვენმა ხალხმა და უმეტესად თავად-აზნაურობამ, სარგებლიანად ვერ მოიხმარა ვალად აღებული ფულები და ეს ვალი, გადასხდის უღონობის გამო, ისე გაიზარდა*), რომ სულ ვეღარ გადუხდიათ და ამიტომ მუდამ დღე რამდენიმე ქონება უნდა გაიყიდოს — კერძო და სახელმწიფო ვალში.

ყველას თავისი დრო აქვს და ყველა დაწესებულება მხოლოდ

---

ჭყასთ ათასები და არა ერთი-ორი, მთელი ხალხი და არა წოდება რემე. მაგრამ ვეჭობ, რომ ათიოდეს მაინც რამე გაეკეთებინოს თავის მამულისთვის პრიკაზიდან ან სხვაგან აღებული ვალით.

*) ამბობენ, რომ საქართველოს მამულებს სულ ერთად ორ მილიონზედ მეტი ვალი აძევსთო! ეს ვალი სუმრობა არ არის. აქ კაცი გაოცებით იკითხავს: რა უქნია ეს ამოდენა ფული ხალხს. მამულები უკანასკნელ მდგომარეობამდის მიუყვანია და მაშ რა გაუკეთებიათ იმ ფულებით? ამ კითხვას მხოლოდ ერთი პასუხი აქვს: ამ ფულებით ჩაუცვამთ, დაუხურავთ, კარგად უჭამიათ და ბალებში ხომ მუდამ ერთმანერთის დასაჯაბნავად გამოპრანჭულან. ერთი სიტყვით ყველას თავისებურად «გემრიელად» გაუტარებია თავის სიცოცხლის ერთი წუთი, მხოლოდ «ერთი წუთი», ამიტომ რომ ჩვენისთანა ხალხის ხელში ფული მხოლოდ ერთ წუთას რჩება ჯიბეში.

მაშინ არის კარგი, თუ საჭიროებას ნამდვილად აკმაყოფილებს. ჩვენი გაუნათლებელი და მომჭირნეობის უცოდინარი ხალხისთვის ყველაზე უწინარეს უფრო უმეტესად საჭირო იყო ისეთი დაწესებულებაები, სადაც ცოდნა შეეძინა (და არა ფულების ფლანგვა): ესწავლა მას შრომა, ხელოვნება, ვაჭრობა, მომჭირნეობა, მეურნეობა და სხვ. ამაების მისაღწევად კი საჭირო იყო: სამეურნეო და სახელოსნო შკოლები, ვაჭრების შკოლა, ღვინისა, აბრეშუმისა, ყველისა, ბამბისა და სხვა ამ გვარი სამაგალითო ქარხნები (ზავოდები), რომელიც კი ამ ჩვენ მდიდარ ბუნებაში გამოდგებოდა. და როცა ამ გვარ სასწავლებლებსა და ქარხნებში ჩვენი ხალხი გაიწვრთნებოდა, ისწავლიდა სხვა და სხვა მოსავლის მოყვანას, სხვა და სხვა ხელოვნებას, და აი სწორედ მაშინ იქნებოდა საჭირო ფულის სასესხებელი დაწესებულება, თუ გინდ პრივაზი იყოს, რომელიც ამ სხვა-და-სხვა შეძენილ ცოდნას დაეხმარებოდა და გონივრულ შრომასა და ვაჭრობას გააჩაღებდა ჩვენში; აგრეთვე ფრიად საჭირო იყო შინაგანი გზების გაკეთება, რომ ყველა ნაწარმოები ადვილად გასაღებულიყო ბაზრებში. ეს ყოველი ფერი რომ ასე მომხდარიყო, რომ ნამდვილი საჭიროების დამაკმაყოფილებელი დაწესებულებაები თავის დროსა გვქონოდა, მაშინ ჩვენი ხალხი ამ უკანასკნელ გაღარიბებულ მდგომარეობაში აღარ იქნებოდა და ბევრი ჭკვის პატრონებს ეს ჩვენი ხალხის სიღარიბე და ვალიანობა მის ზარმაცობის შედეგად აღარ ეჩვენებოდათ.

3.

მაგრამ, ჩემო მეგობარო, ჩვენი პოეტი ამბობს:

მას ნუღარ ვჩივით რაც დაკარგულა...

. . . . . . . . . . . . . . . . .

ჩვენ უნდა ვსდევდეთ ახლა სხვა ვარსკვლავს:
ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს.

დიაღ რომ სწორედ ამაო იქნება გლოვის ზარს მოვყვეთ იმაზედ, რომ ჩვენში ყველა საჭიროება ნამდვილი საშუალებით არა კმაყოფილ-

დება და ამიტომ ჩვენი ცხოვრების მოვლინებაები მრავალთ უნერგვენ გულში ჩვენი ხალხის შესახებ სხვა-და-სხვა შეცდომილს აზრებს და გაგებაებს: სახელდობრ, რომ ჩვენი ხალხი ვითომც ზარმაცეც არის, უნიჭოც და სხვა ამისთანა სასაცილო და თითქოს ბოროტ განზრა-ხულ ცილის წამებაებს.

ჩვენ ეხლა უნდა გვქონდეს მიპყრობილი ყურადღება განსაკუთრე-ბით იმაზედ, რაც ხალხს პირ-და-პირ გამოადგება, რაც იმას მოსწ-მენდს უზომო ოფლსა და ცრემლს და გაუმთელებს დასუსტებისაგან დამჭკნარს ჯანს, ანუ უბრალო სიტყვითა ვსთქვა, რაც იმის ცხოვრე-ბას გააუმჯობესებს და გამოიყვანს ამ ეხლანდელი უხეირო მგომა-რეობიდგან.

ამის მისაღწევად ეხლა ჩვენთვის საჭიროა:

1) საკუთარი, შინაგანი ფულის სასესხებელი ბანკი. ამ შემთხვე-ვაში ჩვენი «საკეთილშობილო» ბანკი დიად გამოსადეგი იქნება, რომ პატარა დააჩქარონ მისი დაბოლოება და ამასთანა გლეხობაც მონაწი-ლე გახადონ: თუ არა კერძო, მხოლოდ ერთი წოდებისათვის დაწე-სებული რამე ვერაფერი იქნება, რადგან იმ გვარი დაწესებულებიდგან მოსალოდნი არ არის ფართო, საზოგადო სარგებლობა—და ჰბა-დებს განკერძოებას, უკავშირობას, თანაუგრძნობლობას წოდებაები შორის.

2) აგრეთვე საჭიროა ყველა სოფელში სახელოსნო შკოლების დაფუძნება გონივრულს საფუძველზედ და ბეჯითი ყურის გდებით. ამასთან სხვა-და-სხვ მაწარმოებელი, სამაგალითო ქარხნები (ზავოდები), რომელიცკი ჩვენს ქვეყანაში გამოდგებოდა.

3) რიგიანი სამეურნეო სასწავლებელი, *) საიდამაც მეცნიერი მამულის მკეთებლები—მუშები გამოვიდნენ და ვრცელებოდნენ ჩვენს ბუნებით მდიდარ ქვეყანაში.

4) ისეთი საზოგადოება, რომელიც ყველა ღონისძიებით ცდი-

---

*) ლოჭინის ბაღში გაიხსნა ამ გვარი სასწავლებელი და ვისურ-ვებთ, რომ უფრო ვრცელად მოეკიდოს იგი საქმეს, ვიდრე ახლაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობდეს გაავრცელოს ჩვენს ქვეყანაში ადვილი მიწის სამუშაო-იარაღები *).

5) საჭიროა ამასთანავე მაწარმოებელთ საზოგადოებების დაფუძნება, რომ ნაწარმოები გროვდებოდეს სოფლებიდამ ქალაქებში ერთ ალაგას, ერთ დუქანში, და იქიდამ იყიდებოდეს მომხმარებლებზედ—პირ-და-პირ და არა მეორე-მესამე ჩარჩებიდგან. ესეთი გვარი ვაჭრობა ცხოვრებასაც გააიაფებს და მაწარმოებელსაც ეხლანდელზედ მეტად დააჯილდოებს: ეხლა ჩარჩები წოწიან აქა-იქ და თვისს უკლებენ ნაწარმოებს, რა არის თითონ უფრო მეტი მოიგონ.

6) მაგრამ უფრო საჭიროა შინაგანი გზები, რომ ნაწარმოების გადატან-გადმოტანა გაადვილდეს და ამასთან საზოგადოდ მისვლა-მოსვლაც ასე ძნელი არ იყოს, როგორც ეხლა არის უგზოობის გამო. ეს შინაგანი გზები მით უფრო საჭიროა ეხლა ჩვენთვის, რომ გარეგანი რკინის გზა გვიკეთდება, და ამ შემთხვევაში, თუ შინაგანი გზები კარგი არა გვაქვს, შესაძლებელია, რომ ჩვენი ქვეყნის ნაწარმოები, უგ-

---

*) ამ აზრით არის დაფუძნებული ჩვენში «სამეურნეო საზოგადოება»; მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენს გლეხს კაცს ჯერაც არ უნახავს როგორ ხმარობენ, ან როგორია ის «ადვილი» სამუშაო იარაღები. მაგრამ ამას ვერც თავად-აზნაურობა დაიკვეხებს. ჩვენ მხოლოდ ექვსიოდე კაცი, ვიცით რომელნიც ხმარობენ თითო - ოროლა ამ იარაღებისას. ამათი გავრცელებისათვის საზოგადოებამ სულ სხვა გზა უნდა ამოირჩიოს და არა გაყიდვა. ყიდვას ფული უნდა და ჩვენი ხალხი კი —ფული არა და—ვალითაც სავსეა. ამ «საზოგადოებამ» შეძლებისამებრ უნდა დაურიგოს ყველა სოფელს თითო—ოროლი ძალიან საჭირო და ადვილი სახმარი მიწის სამუშაო იარაღები და ამასთან ჩამოართოს სხვა და სხვა პირობა, რომელიც სოფლისათვის ადვილი ასასრულებელი იქნება და საზოგადოებასაც ხარჯს არ დაუკარგავს. თუ არა ამ სახით, როგორც ეხლა არსებობს, «სამეუნეო საზოგადოება» ვერ გაავრცელებს სამეურნეო იარაღებს და ვერ გაავრცელებს მაშასადამე გონივრულ მუშაობას ჩვენს ხალხში და, კიდევ მაშასადამე, ამაოდ, მიზნის მიუღწევლად დაშრება.

ზოობის გამო და მაშასადამე სიძვირის გამო (რადგან გადატანა ძვირად დაჯდება), ვერ გაიყიდოს და პატრონს დაულპეს, და ამის ნაცვლად რკინის გზით მოტანილი სხვა ქვეყნის ნაწარმოები კი გასაღდეს ბაზარში, რადგან გზის სიადვილის და იაფობის გამო — ნაწარმოებიც იაფდება. გზების სიკარგეს და სიცუდეს დიდი მნიშვნელობა აქვს ვაჭრობაში: კარგი გზები და ადვილი და მაშასადამე იაფი გადატანა ერთ ნახევრად და ერთი ორად აიაფებს ნაწარმოებს, და პირიქით ცუდი გზები და მაშასადამე ძნელი და ძვირი გადატანა—აძვირებს ნაწარმოებას. ამისგამო, თუ ჩვენი შინაგანი გზები არ გაკეთდნენ—მაშინ ჩვენ რკინის გზით მოტანილი ნაწარმოების (ბევრისა) ხმარება მოგვიხდება და ჩვენი მაწარმოებლები კი დარჩებიან ცარიელები. ამიტომ ყველაზედ უმეტესად ამჟამად გზებს უნდა ყურადღების მიპყრობა.

7) მაგრამ ყველაზედ უკეთესი და საჭირო ის იქნებოდა, რომ ისეთი წყობილება გვქონდეს, რომ ყველა ეს ზევით მოხსენებული ჩვენი აუცილებელი საჭიროება საზოგადო რჩევით და მოაზრებით, საზოგადო ხმით მომხდარიყო. ესეთი წყობილება არის ზემსტვო და რუსეთის ქალაქებში ბევრგან არის ეს. ზემსტვო არის ისეთი წყობილება, სადაც მთელი ერთი მხარის საჭიროებაები თათბირით და რჩევით კეთდებიან და კენჭის ჩამოტარებით სწყდებიან, იმ სახით, როგორც მაგალითად ამ ჩვენ ქალაქის სამმართველოშია. როგორც ქალაქის სამმართველოში, იქაც ყველა ფერი ამორჩეული პირებისაგან კეთდება: ამ პირებს ირჩევს მთელი ის მხარე, რომელსაც შეადგენს ზემსტვო. ამ გვარ წყობილებაში ყველა ხალხის საჭიროება უფრო ადვილად გაკეთდებოდა, რადგან თითონ ხალხისავე ხელში იქნებოდა; მაშინ არც ფული წავიდოდა მეტი ამ გვარი საქმეებზედ. რადგან თავის საქონელს კაცი უფრო უმეტესად უგდებს ყურს ვიდრე სხვისას, ბოროტ მოქმედებაც უფრო ნაკლებად მოხდებოდა და ერთის სიტყვით ყველა საქმე საზოგადო ყურის გდებით და ზრუნვით გაკეთდებოდა. ან კი მართლა რატომ არ უნდა ჰქონდეს ხმა ჩვენ გლეხს კაცს სხვა და სხვა მის ცხოვრების შესახებ საქმეში, — და შეხებით კი ყველა საქმე შეეხება იმას რადგან უფრო მოხარჯე და მობეგრეა. თუ კი კინტოს, რომელსაც

ერთი თაბახისა და სასწორის მეტი და ორიოდე მანათის მეტი არა აბადია რა — ხმა აქვს საქალაქო სამმართველოში, ისე როგორც ათასი თუმნის პატრონებსა აქვსთ ხმა, რატომ ათი დღიურისა და ვენახების პატრონს კი არ უნდა ჰქონდეს ხმა ყველა საქმეში, რაც კი ამ ჩვენს ქვეყანაში კეთდება — რითა კეთდება? იმ გლეხის გარდასახადით და შეგარბით არა.

მაგრამ მეტყვიან: ეგ შენი ლაპარაკი არის «ხმა ღაღადებისა უდაბნოსა შინა.» შესაძლებელია, მაგრამ ისეთ რამეს არ ვლაპარაკობ რომ აუსრულებელი იყოს.

შარშან რომ შევიტყვეთ **ხელმწიფე** იმპერატორის ჩვენ ქვეყანაში მობძანების სურვილი, ჩვენმა თავად-აზნაურობამ მაშინვე იფიქრეს: რა წყალობა ვთხოვოთ ჩვენს **ხელმწიფესაო** და ბოლოს მოიგონეს — პრიკაზის ვალების (საზოგადოდ) პატიობა ვთხოვოთო. ეს კარგი წყალობაა, მაგრამ ჩემის აზრით უკეთესი იქნებოდა, რომ მთელს ჩვენს საზოგადოებას ჯერ ერთი ამდენს ხანს დაუბოლოებელი თავად-აზნაურობის ბანკის დაბოლოება ეთხოვნა, ისე კი რომ გლეხებსაც ჰქონოდა მონაწილეობა იმ ბანკში, საზოგადო ყოფილიყო და მეორეც: ეთხოვნა, რომ რა წყობაც ზოგ რუსეთის ქალაქებსა აქვს ის წყობა ჩვენი მხარისთვისაც მიენიჭებინა — სახელდობრ ზემსტვო. ამ წყალობის თხოვნა უფრო გასაბედია, ვიდრე ფულების ჩუქების თხოვნა და ამასთან უფრო პირდაპირაც შეეწევა და წარმართავს ჩვენს საჭიროებას და გამოიყვანს ჩვენს ხალხს ახლანდელი უხეირო და შევიწროებული მდგომარეობისაგან. აი აქ გამოჩნდება თუ ჩვენს მოწინავე საზოგადოებას ესმის ნამდვილი ჩვენი საჭიროება და გარემოება. კარგი შემთხვევა გვაქვს და **ხელმწიფეც** მწყალობელი — აბა მოვიხმარებთ ამ კარგ გარემოებას თუ არა..

ნიკ. შაროევი.

1871 წ.

თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიმღერა

***

ვზივარ მარტო მოწყენილი, მსურს ფიქრით ვივსებოდე,
ამ ჩემს ოთახს, მარტო ხელს, მუდამ არ ვშორდებოდე.
ჩემ სამშობლოს ვიგონებ, ნასვამს ვეღირსებოდე,
ოხ, ფრთა მომცა, ჩიტი ვიყო, მალ-მალ გავფრინდებოდე!

იქაურსა მწვანეზე, ნეტავ ოდეს ვჯდებოდე,
ნორჩ ყვავილსა, ბუჩქებზე, ბავშურათა ვცელქობდე,
დას მმურად ხელს ვართმევდე, ძმებს ყელზედ ვეხვეოდე,
ოხ, ფრთა მომცა, ჩიტი ვიყო, ნეტავ გავფრინდებოდე!

ჩემს ტოლს მოძმეს, ამხანაგს, ნუ თუ ვაგონდებოდე
იმ დროს, ოდეს მე მარტო ჯავრით აქ ვხელდებოდე.
ღმერთო, ისე ნუ მომკლავ, ძმას თუ ძმად არ ვჰრგებოდე...
ოხ, ფრთა მომცა, ჩიტი ვიყო, მათკენ გავფრინდებოდე!

ოდეს მამულს, კეთილო, მარად ვეკარგებოდე—
მომკალ ნუ გეცოდები,არც მსურს გენაღვლებოდე.
გამაცოცხლე, მანატრე, თუნდ სათვლავში ვდნებოდე,
აღუვავებულ სამშობლოს თუმც კი მოვესწრებოდე.

მოიფიქრე კეთილო, თუ ძნელად არ ვსცხოვრებდე
მაშინ, ოდეს, ტურფასა აქიდან ვეტრფებოდე,—
სამძიმოა, მერწმუნე, თუნდ ეშხით ვივსებოდე...
მაშ ფრთა მინდა, ფრთა მომეცით, თქენკენ გავფრინდებოდე.

გ. ჭალადიდელი.

1871. წ.
პეტერბურღი.

---

# შინაური მიმოხილვა

წარსული «მიმოხილვის» დამატება: ჩვენი საზოგადოობრივი ცხოვრების უქონელობის შესახებ: ამის მიზეზის გამოკვლევა და მათი უკანონობა და ვნება ახლანდელი ჩვენი ცხოვრებისთვის. —კიდევ «დროება» თავის ახალი თანამშრომლებით—«ფუტკრითა» და «კრაზანით».—ამ თანამშრომლების მახვილ-გონიერება და მათგან «დროების» დიდი იმედი.—დასასრულ, ჩვენ მხცოვან «ცისკარზედაც» ორიოდე სიტყვა.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ამას წინად (თებერვლის «მნათობში») მე გესაუბრე იმაზედ, რომ ჩვენი საზოგადოობრივი ცხოვრების უქონელობის მიზეზი არის ერთ-გვარი «საზოგადო აზრი» რომლითაც უმეტესად ვხელ-მძღვანელობთ ჩვენ ჩვენს ცხოვრებაში. ახლა გეტყვი იმას, თუ სახელდობრ რა აზრია ეს (რადგან, ერთი მიზეზისაგამო გარკვევით არ იყო ნათქვამი წარსულ ჩემ საუბარში)—და სადა აქვს ამ აზრს სათაური—რომელ ჩვენ ცხოვრებაში, და ეშესაბამება თუ არა ახლანდელს ჩვენს ცხოვრებას მისი ხელმძღვანელობით სვლა და მოძრაობა; ამასთან ამ «აზრმა» ჩვენ ცხოვრებას საზოგადოდ კ ა რ გ ი მოუტანა, თუ ც უ დ ი.

ამ «საზოგადო აზრს» საფუძველი ანუ სათაური ჩვენს წარსულს ისტორიულს ცხოვრებაში აქვს. ჩვენი წარსული ცხოვრება წარმოგვიდგენს ერთს—უფრო უმეტესად საგრძნობელს და გავლენის მქონე გარემოებას—შთამომავლობითს სხვა-და-სხვაობას, მთელი საზოგადოების წოდებაებად განაწილებას, იმას, რომ ერთს დაბადებითვე ენიჭებოდა ყველა უფლებაები და ნივთიერებითი შეძლებაც, თუ გინდ გონებითის

მხრივ გადასაგდებიც ყოფილიყო), და მეორე კი იბადებოდა უარაროდ; ამ უკანსკნელს შრომა და გონიერი საქმეებიც კი ბევრს ვერას მოუპოვებდა. რაღა თქმა უნდა, რომ ამ მოვლინების შესაფერი აზრიც შეადგინა საზოგადოებამ. ეს «აზრი» მდგომარეობდა იმაში, რომ დიდი შთამომავლობისას სისხლი მშვენიერი ალისფერი ჰქონდა და ძვალიც თეთრი, ვითარცა თოვლი; ხოლო დაბალი შთამომავლობისას კი —სისხლი მუქი-წითელი, თითქმის შავი, და ძვალიც შავი, ნახშირის მსგავსი; ამასთან—ვითარცა ბუნებითად სხეულებრივი სისრულით დაბადებული—«წითელ-სისხლიანი» და «თეთრ-ძვლიანი» ყველა გვარი ზნითაც და გონებითაც მიუწდომლად მაღლა იდგებოდა «მუქ სისხლიანი» და «შავ-ძვლიანზედ», როგორც უხეირო და უსრულო სხეულით დაბადებულზედ; ამ გაგებიდგანვე გამომდინარეობდა, რომ ყველა რიგიანი და მაღალი ხარისხის საქმის გაკეთება ეშესაბამებოდა ხარისხოვანად დაბადებულს, ხოლო უბრალო და სატვირთველი საქმის შესრულება კი—დაბალს, «შავძვლიანს», როგორც რიგიანი და მაღალი ხარისხის საქმეებისათვის უნიჭოს და უმაქნისს. ამ გვარად წარმოსდგა ხალხის აზრში ორი, სრულებით ერთმანეთის მიუმსგავსებელი, წოდება. მაგრამ რადგან დაბალსა და მაღალშიაც იყო კიდევ ხარისხების განსხვავება, რადგან დაბალნიც და მაღალნიც იყოფებოდნენ კიდევ რამდენიმე კიბეებად და ყველა კიბეს ანუ ხარისხს თავის შესაფერი უფლება და შეძლება ჰქონდა მინიჭებული, ამიტომ წარმოსდგა მთელი საზოგადოების გაყოფა ნაწილებად ანუ წოდებაებად, რომელნიც ერთმანერთისაგან ყველაფრით განირჩეოდნენ.

ყველა ხალხი ყოფილა ამ გვარად დაყოფილი წოდებაებად და ეს დაყოფა ზოგან უფრო სასტიკი ყოფილა და ზოგან კი უფრო სუსტი. აღმოსავლეთისკენ—აზიის ქვეყნებში—ეს დაყოფა უფრო სასტიკი და უძრავი იყო, და დასავლეთისკენ კი—ევროპაში—უფრო სუსტი და სხვა თვისებისაც. უწინდელი ეგვიპტის მცხოვრებნი დაყოფილნი იყვნენ ოთხ ნაწილად ანუ კასტებად: ქურუმებად—ღვთის-მსახური წოდება იყო,—მხედრებად—მეომარი, მამულის დამცველი წოდება იყო,—ხელოსნებად და მიწის მკეთებლებად (მხვნელ-მთესველებად). ყველა ამ წოდებას თავის საკუთარი მოქმედების საზღვარი ჰქონდა და-

ლებული და ამ საზღვრის გადაბიჯება სასტიკს სასჯელს მოასწავებდა — მეტადრე დაბალი წოდებაებისათვის. ასე რომ ხელოსანს ან მიწის მუშას ქურუმთან რამე კავშირი დაეჭირა — სიკვდილით სჯიდნენ ან ამახინჯებდნენ საძაგლად. ყველა წოდების ჩამომავალნი იმავე წოდებაში უნდა დარჩენილიყვნენ სამუდამოდ, რაც უნდა ნიჭიცა ჰქონოდათ სხვა ხელობისათვის და წოდების საქმისათვის, და ერთი სურვილი თავის წოდებიდგან გამოსვლისა სასტიკს სასჯელს მიაყენებდა დამნაშავეს: სიკვდილს, ცხვირის და ყურების მოჭრას, ენის მოჭრას და სხვა ამ გვარს. — ახლანდელ ინდოელებშიაც ამ გვარი საზოგადოობრივი წყობაა: იქაც წოდებაებად, ან კასტებად, არიან გაყოფილნი, და ერთმანერთში წოდებაებს არავითარი ერთობა არა აქვსთ და სასტიკი კანონებით არის აკრძალული რაიმე გვარი ერთმანერთშორისი კავშირი ან ერთი წოდებიდგან მეორე წოდებაში გადასვლის სურვილი. აგრეთვე ყველა აღმოსავლეთის სახელმწიფოები ასე ან მეტნაკლებად არიან დაყოფილნი წოდებაებად და ცხოვრებაც ყველა წოდებას საკუთარი და სხვა წოდებისაგან განსხვავებული აქვს.

როდესაც მთელი ხალხი ასეა განაწილებული პოლიტიკურ თუ ნივთიერებაებით ცხოვრებაში, მაშინ იმ ხალხში, რაღა თქმა უნდა, ურთიერთშორისი ზნეობითი კავშირი და თანაგრძნობაც არ იქნება; პირიქით — იქნება საზოგადო, შეგუბებული, სიძულვილი დაბალი წოდებაებისა მაღალი წოდებაებისადმი და აგრეთვე დესპოტიური მედიდურობა და მტარვალობა მაღლებისა დაბალი წოდებაების შესახებ. აბა, ამ გვარს საზოგადო წყობაში რა საზოგადოობრივი ცხოვრება უნდა გამოჰხატოს კაცმა; განა ან კი ამის აჩრდილი მაინც არის შესაძლებელი?! საზოგადო ცხოვრებაში პირველი საჩინო მოვლინება ის არის, რომ ყველა ერთმანერთისკენ ილტვის და ერთად საქმის გაკეთებით ცდილობს, რომ ამ გვარად უფრო ჩქარა გაიადვილონ საზოგადო ცხოვრება; ამ გვარ წყობაში კი (როდესაც კასტურ წოდებაებად განაწილებულია საზოგადოება) ერთმანერთისკენ ლტოლვის ნაცვლად ვხედავთ ერთმანერთისაგან განლტოლვას და ერთად საქმის გაკეთების მაგიერ, (რომ საზოგადო ცხოვრება გაიადვილონ) — ვხედავთ, რომ

ერთი მეორის მტარვალობით იადვილებს ცხოვრებას (დროებით, რა-საკვირველია, რადგან ამ გვარ წყობაში ხანგრძლივი არა არისრა) — და მეორე კი რჩება ყველას წართმეული და ძალა-ღონე მოკლებული. მე ვსთქვი: ამ გვარ სხვა-და-სხვა წოდებად განაწილებულ საზოგადოე-აში ერთმანერთისგან განტოლვა მოხდება მეთქი — რაღა თქმა უნდა, რომ ეს ასე იქნება, ამიტომ რომ ერთმანერთისკენ მიილტვიან მსო-ლოდ თ ა ნ ა ს წ ო რ ნ ი, ცხოვრებაში ერთნაირად მონაწილენი, ერთ-ნაირი უფლებისა და საჭიროების მქონენი და ცხოვრების ასპარეზზედ ერთნაირად მოქმედნი. — საქვეყნო მოთხრობაში ვკითხულობთ, რომ ხალხი, რომელსაც ამ გვარი ცხოვრება არა ჰქონია, არამედ ყოფილა გაყოფილი სხვა-და-სხვა წოდებაებად, ერთმანერთისგან განკერძოებულ და შემოზღუდულ წოდებაებად — ის ხალხი, დიად ძლიერნიც, მალე და-ცემულან და ან სულ მოსპობილან, ან გაბნეულან ქვეყანაზედ და ან კი-დევ გადაცვლილან სხვა ხალხად და სხვა სახელმწიფოდ.

ეს არ არის საკვირველი. ასეთი უკავშირო განაწილება საზოგა-დოებისა დიად ცუდად მოქმედებს ხალხის ცხოვრებაზედ და წარმატე-ბის ნაცვლად — მიჰყავს უკანასკნელ მდგომარეობამდის. ამ გვარი უკავშირობა და ურთიერთ შორის თანაუგრძნობლობა ჰსრყვნის ხალ-ხის ზნეობითს ახოვანებას, რადგან ჰნერგავს ბოროტებას და სიძუ-ლილს ერთმანერთშორის; ჰზღუდავს და ავიწროებს — ახშობს სულის გამბედავს და გმირულს ლტოლვას ჭეშმარიტებისა და ძლიერებისადმი, რადგან მთელი სიცოცხლე ყანსა და წვრილმანს სოფლიულ ცხოვრებას და ამასთანავე ურთიერთშორისს ბძარვას აქვს დახარჯული; ნივთიერებითის მხრივ ქონებას უთანასწოროდ, მეტნაკლებად, ანაწილებს, რადგან ერთს მეტის მოპოვების (სხვისი შრომით) უფლება მემკვიდრეობითვე აქვს მინიჭებული და მეორეს კი — სულ ცოტა, დღიური ცხოვრებისთვისაც საკმარისი არა აქვს; ეს უკანასკნელი მდგომარეობაც ჰბადებს სხეულებ-რივს (მაშ სულიერსაც რადგან საღ სხეულში საღი სულია) სიმახინჯეს და დამაბუნებას, სახელდობრ: ერთი განუწყვეტლივი და უზომო შრო-მისაგან სუსტდება, მეორე კი უსაზღვრო განცხრომისაგან იქამდის ზანტდება, რომ ჩხირის გადაბრუნების თავიც არა აქვს, და სხვა და სხვ. ეს ყოველი აქ ჩამოთვლილი უწესო მდგომარეობა ერთმანერთ-

ზედ არის გადამბული და ერთი მეორეს თითქოს ხელს უწყობს. — აი, ასე ამ გვარად განაწილებული საზოგადოება ყოვლის მხრივ შეუფარდებლობას და სიმახინჯეს წარმოგვიდგენს ცხოვრებაში: ნივთიერებითის, ზნეობითის და გონებითის მხრივ, და როდესაც ხალხის ცხოვრება ასე ყოვლის მხრივ მახინჯდება და იხრწნება, მაშინ, რაღა თქმა უნდა, რომ სიცოცხლის ძალა უძლურდება, და ამ მდგომარეობაში კი ხალხი ახლოა სრულებით სიკვდილზედ — მოსპობაზედ და ან სრულებით გადაგვარებაზედ და დედა მიწის ზურგზედ გაფანტვაზედ. ჩემის აზრით ყველა ხალხი ან თითქმის ყველა, რომელიც კი მოსპობილა და ან გადაგვარებულა, სწორედ ამ შინაგანი ცხოვრების უწესოებისაგან მოჰსვლია ეს ბოლო, სწორედ ამ ზნეობით და ნივთიერს უკავშირობას და განაწილებას მოუღია ბოლო მისთვის, ამიტომ რომ როდესაც მთელ სხეულში ნაწილები კავშირს ჰკარგვენ — ჰშორდებიან ერთმანეთს, მაშინ სხეული იხრწნება, იშლება — კვდება.

რასაკვირველია, საქართველოს ხალხში არა ყოფილა ამ გვარი სასტიკი — კასტური (როგორც ინდოეთში არის) განაწილება და ვერც იქნებოდა, რადგან ჩვენი ისტორიული ცხოვრება წინ უძღვებოდა ამას: — ეს იყო მუდამი ბრძოლა მტერთან. მაგრამ მაინც აქაც იყო განაწილება საზოგადოებისა და გავლენაც თავისებური ჰქონდა. მაღალ-დაბლობა ჩვენში დიაღ რამ დიდ პატივში იყო და ეხლაც კიდევ ისეა გამჯდარი ჩვენი ხალხის გაგებაში, რომ მის კანონიერების დამამტკიცებელ საბუთად ხშირად მოჰყავსთ ხოლმე ის ამბავი, რომ: «ღმერთს დედამიწაც არ გაუჩენია თანასწორი, არამედ დაბალ-მაღალი» და რომ «თითებიც კი ზოგი დიდი გვაქვს და ზოგი პატარა». ამ «დაბალ-მაღლობის» აზრის ხელის შემწყობ ცხოვრებას კანონებიც თავის შესაფერი შეუდგენია: ჩვენი ძველი კანონები წარმოგვიდგენენ ზოგიერთს მუხლს თითქმის ინდოეთის კანონების ფარდს, სახელდობრ: რომ ერთგვარ დანაშაულობაში დაბალი წოდებისა უფრო დანაშაულია, ვიდრე მაღალი წოდებისა; ხოლო დაბალსა და მაღალ წოდებას შორის თუ მოხდებოდა რამე უთანხმოება ან დანაშაულობა, მაშინ «დაბალი» უთუოდ დანაშაული იყო და სასჯელიც ჰქონდა განჩენილი, ხოლო მაღალი თითქმის ყოველთვის მართალი და ან სრულე-

ბით უსასჯელო რჩებოდა, ან მცირედს რასმე ჯარიმას იხდიდა. აგრეთვე—რაც შეეხება იმას, რომ «მაღალი» «დაბალის» შრომით და სიცოცხლით სარგებლობდა ისე, როგორც ესიამოვნებოდა—ეს უეჭვოა, და რომ «დაბალი» მუდამ შრომაში იყო და «მაღალი» კი მუდამ შექცევაში და შესაქცევარ ვარჯიშობაში (რასაკვირველია მშვიდობიანობის დროს)—არც ეს არის ეჭვს ქვეშ,—ესეც საზოგადო ჩვენი ცხოვრების კანონებით იყო განჩინებული.

ერთის სიტყვით—საქართველოშიაც იყო ეს საზოგადო ცხოვრების გამხრწნელი უკავშირობა და განაწილება; და თუ ძალიან სასტიკი არ იყო და მომაკვდინებელი ძალა არა ჰქონდა, ამის მიზეზი, გავიმეორებ, იყო, ჩემის ფიქრით, საქართველოს შინაგანი და გარეგანი ცხოვრება—ეს მუდამი ბრძოლა მტერთან, რომელიც (ბრძოლა) მისთვის თითქოს ვარჯიშობას შეადგენდა და რამდენადაც კი შეიძლებოდა, აძლევდა, უახლებდა მას სულის და ზნეობითს ძალას.

ამ გვარმა უკავშირო, განაწილებულმა ცხოვრებამ და ურთიერთ შორისმა ზნეობითმა და ნივთიერებითმა უთანხმოებამ და შეუფარდებლობამ თავისთვის ხელმძღვანელი აზრიც თავის შესაფერი შეადგინა. ეს აზრი ის იყო, რომ დაბადებით, ჯიშით, ერთი მაღალი, მდიდარი და გონიერი და სხვა კეთილი ზნისა და თვისებისა იყო და ყველა მაღალი და გონიერი საქმის გაკეთება შეეფერებოდა და შეეძლო კიდეც, რასაკვირველია; ხოლო მეორე—აგრეთვე ჯიშით—დაბალი, უარარაო—მაშასადამე უგონოც და ყველა სხვა ზნითა და თვისებითაც უსეირო იყო და მაშასადამე საქმეც უსეირო, ტლანქი, მძიმე შეეფერებოდა და რიგიანი საქმისთვის უნიჭო იყო. ეს «საზოგადო-აზრი» ხელს უწყობდა, ამგვარ განაწილებულს, კერძოობითს, ვიწროდ შესაზღვრულს ცხოვრებას, და ამიტომ საზოგადობრივი ცხოვრებაც შეუძლებელი იყო ჩვენში. რასაკვირველია, ამას გარდა სხვა მიზეზიც იყო კიდევ, რომელიც უშლიდა ჩვენში საზოგადობრივი ცხოვრების მყოფობას და ამყარებდა განკერძოებას: ეს იყო ჩვენი ქვეყნის გაყოფა რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ, რომელთაც ერთმანერთში, კავშირის და თანაგრძნობის მაგიერ, მუდამი განხეთქილება ჰქონდათ და ბრძოლა....

მაგრამ ამაზედ გაგრძელება არ ძალგვიძს, რადგან ძალიან შორს მიგვიხდება წასვლა და ამასთან, მე მინდოდა მხოლოდ იმაზედ მელაპარაკნა თუ საიდამ წარმოსდგა ჩვენში ეს «საზოგადო აზრი», ჩვენი ცხოვრების კავშირის დამრღვევი და გამანაწილებელი, გამკერძოებელი,—ეს კი რამდენათაც შევიძლე—ავასრულე.

ახლა აწმყო ცხოვრებას გადავხედოთ და გავსინჯოთ, თუ რა გზაზედ გვიწვევს ეს ცხოვრება და რა სიკეთეს გვიქადის.

ეხლა ჩვენი ცხოვრება სრულებით შეიცვალა: კანონით აღარ არსებს მაღალ-დაბლობა (წითელ-სისხლიანობა და შავ-სისხლიანობა) და ყველა თანასწორად იბადება, ყველას ერთნაირად ეკუთვნის ცხოვრების ასპარეზი; ერთი მეორესთვის აღარ შრომობს მუქთად: ყველა შრომა მშრომელის შეუხებელს საკუთრებას შეადგენს; ეხლა ნიჭს და მოქმედებლობას ეძლევა პატივი და დიდება, და არა ჯიშს, შთამომავლობას. მაშასადამე, ჩვენი ძველებური საზოგადო აზრით ხელმძღვანელობა ახლანდელს ჩვენს ცხოვრებაში უგუნურებაზედაც მეტი იქნებოდა ჩვენგან და მრავალ სიმასინჯემდის მიგვაღწევინებდა. ეხლა მოითხოვება ყველასაგან ერთნაირი, ერთგული შრომა და მოქმედება (ნიჭის შესაფერად) საზოგადო ასპარეზზედ, ერთმანერთის დახმარება და მჭიდრო კავშირი, რომ ასე ურთიერთის დახმარებით მოქმედებას ძალა მიემატოს და საზოგადო ცხოვრებაც წინ წავიდეს, გაუკეთესდეს: საზოგადო დახმარებით მოქმედება დაჰბადებს საზოგადოებაში ნივთიერებითს ძალას და ამას კი თან მოჰყვება ზნეობითი და გონებითი გაუმჯობესობაც. უამისოდ კი ჩვენი ცხოვრება მუდამ უხეირო იქნება და სიცოცხლე მოკლებული და უკეთესობაშიაც ვერ შევა, არამედ ძველებურად ღობე-ყორეს მიეხლება-მოეხლება და რამდენიც ეს მიხლა-მოხლა ძლიერი იქნება, იმდენი წყლული ამ მიხლა-მოხლისაგან მომსდარი ძლიერი და მომაკვდინებელი იქნება.... ეს გარემოება საყურადღებელია. ერთის სიტყვით ჩვენი ეხლანდელი ცხოვრების წინწამწყვი, მაცხოვნებელი——არის საზოგადოობრივი, ერთმანერთის დახმარებით შრომა და ცხოვრება.

ახლა კი გადავიდეთ ჩვენ ლიტერატურისთან.

ვსთქვათ რამე ერთი ჩვენი თანამედროვე გონების ნაწარმოებზედ—ისევ «დროებაზედ». თუმცა ამაზედ ამ უკანასკნელ დროს თითქოს ბევრი რამ ითქვა, მაგრამ ეს არაფერი: რომ ხალისი ჰქონდეს ვისმე და მისი სრული ისტორია დასწეროს,—დიაღ, რომ ღირსეულს და სასარგებლოს საქმეს იქმოდა. ბევრს კაცის გონების და ხასიათის სისუსტეს და მრავალ-სამოძღვრებელს კაცის ბუნების თვისებებს ამოიკითხავდა იქიდგან კაცი. რასაკვირველია, ამისთანა სახალხო საგანი, როგორც «დროება», ოდესმე მაინც მოიპოვებს თავისთვის ისტორიკოსს, რომელიც წარუდგენს ქვეყანას მთელს მის სიცოცხლეს და ღვაწლებს—ქვეყნის სადიდებლად და შთამომავლობის სამოძღვრებლად.. ჩვენც ამ იმედით დაუტევოთ ვრცელი მოლაპარაკება მაზედ და მკითხველის ყურადღება მივაპყროთ მის «დროების» ახალ თანამშრომლებზედ: ფუთკარსა და კრაზანაზედ. ეს მისი ახალი თანამშრომელნი დიაღ საყურადღებელნი არიან, რადგან, როგორც ვფიქრობ, «დროება» ამ სახელებით თავის ხასიათსა და თვისებას აქვეყნებს მკითხველების წინაშე, ესე იგი, რომ ის არის ფუტკარი—მაგრამ მწერი-ფუტკარი კი არა, ამას არ იკადრებს ის,—ის არის კაცი-ფუტკარი, მომკრები კაცობრიობის ცხოვრების სიცუდისა თუ სიკეთისა და გამქვეყნებელი საზოგადოების სამოძღვრებლად; და მასთანავე არის კრაზანაც (ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ორი მწერობა ერთ პიროვნებაში უნდა იყოს შეერთებული, რადგან არ გვინდა იმისთვის შეურაცხვყოთ კაცის ღირსება, რომ ვიფიქროთ ვითომც ორი მწერის თვისებას ერთად ვერ შეიერთებდა კაცი თვის ბუნებაში; წინააღმდეგ ამისა—ჩვენ ბევრი ისეთი კაცებიც ვიცით, რომ რამდენიმე მწერისა და რამდენიმე ოთხფეხის თვისებებიც ერთად აქვს თვისში შეკავშირებული მჭიდროდ; შეიძლება ისიც იყოს, რომ თვით ამ კრაზანობის და ფუთქრობის მიმთვისებელს სხვა სულიერების თვისებაც ჰქონდეს. ჩვენ რომ ეს არ ვიფიქროთ, მაშინ იმ აზრისა უნდა ვიყვნეთ, როგორც სხვები არიან, რომ ვითომც ის უსყირო, დიაღ მწერული, სტატია ორი-სამი ღთივ-სასიერი კაცისაან არის «შეთხზული»;—არა,—ამას როგორ ვაკადრებთ...)—ჰო, იმას გვამბობდი, რომ ის კაც-ფუტკარი მასთანავე კრაზანაც არის, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც შხამიან ნესტარს ურის ყველას სიცუდის გასაგმირავად და სიკეთის ჩასაგონებლად.

მაგრამ ამ მწერ-კაცა თანამშრომლებით «დროება» საზოგადოებისგან კი არ მიიქცა არა; — პირველსავე გამოსვლაზედ ის მიიქცა «მნათობისკენ», რომელიც იმას ისე უყვარს, როგორც კაცს უყვარს თვალში გაჩრილი ჩხირი, და როგორც მელას თავის მახრჩობელა, და ისე მუდამ აგონდება და ფიქრობს იმაზედ, რომ ისიც კი არ გამოჰპარვია, თუ «მნათობს» რა ქ ს ი ზ მ რ ე ბ ა ხოლმე, და ვითარცა მისი მოყვარე მზრუნველი ბებრუცუნა — უღსნის თავისებურად ბებრული ღვარძლით მის ზმანებას. დიაღ, «დროებას» უყვარს «მნათობი» და ყოველთვის ცდილობს არ დააგდოს ხოლმე უყურადღებოდ, ყოველთვის იტყვის ხოლმე ორიოდე სიტყვას მაინც იმაზედ, მაგრამ საქმე ის არის, რომ იმ სიტყვებში ყოველთვის სჩანს ქიშპობა, მეტოქეობა და არა ნამდვილი სურვილი მისი საქმის წარმართვისა; მის სიტყვებში და კილოში უფრო სჩანს წვრილმანური ყიდი, ვიდრე სურვილი საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანისა. მაგრამ ეს ახალი ამბავი არ არის და ყველა მის საუბარში, «მნათობის» შესახებ, მკითხველი ადვილად გამოჰჭნახავდა ამას. რასაკვირველია, ჩვენ არ ვიტყოდით არაფერს ამ გვარს, რომ მის ბაასში გვენახა როდისმე დარბაისლური სჯა და საქმის წარმართვის სურვილი და ამის ნაცვლად არ ამოგვეკითხნა მისგან კრაზანული დაშხამვა, რომელსაც არა ვითარი მოძღვრება არ შეუძლიან და არა ვითარი ჭეშმარიტების გამოძიება არ მალუძს...

მაგრამ... გვეყოფა ეს წინასიტყვაობა: გადავათვალიეროთ კრაზანისა და ფუტკრის გონიერება.

ამ ახალ «დროების» თანამშრომლებს, თუ თანამშრომელს, ფუტკარ-კრაზანული თვისების გამო, უფრენია «მნათობის» თებერვლის წიგნზედ და აქა-იქ დაჰფრენია წყალტუბელის სტატიას და ლექსს და თქვენი უმორჩილესი მონის მიმოხილვას და, ფუტკარ-კრაზანულივე ნიშით, აქა-იქ უთავბოლოდ ადგილები ამოუგლეჯია იმ სტატიებიდგან მათი სისუსტის დასამტკიცებლად, და შემდეგ კრაზანულივე კილოთი ჰშხამავს მათ მკითხველების წინაშე. იმის შენიშნულ ადგილებს რომ

ვკითხულობთ, უნებურად მოგვდის ფიქრად, რომ ფუტკრობა ამ ავტორს პირვით მიუთვისებია, ხოლო კრაზანობა კი ჩვენ თვითონაც მიგვილოცავს იმისთვის, რადგან იმის ნიჭში კრაზანული ნიჭი დიად ცხადად გამოსჭვირავს: ეს ნიჭი არის დაუცხრომელი, უხეირო ფრენა-ბზუილი თითქოს საქმეს რასმე აკეთებსო, და თაფლის კეთების მაგიერ—გამოფიტულ ბუდეში უხეირო ფაცხა-ფუცხი და მასთანავე, თავის უხეირობისგამო, თუ რაღაცა,—სიანჩხლე და ყველას დაშხამვა, ვინც კი მის უხეირო ფაცხა-ფუცხს და ფრენა-ბზუილს შეეხება. ამის სიმართლეს ახლავე დავანახვებთ.

უფ. წყალტუბელი ამბობს თავის სტატიაში: «თამარ მეფის პირველი ქორწინებაზედ», რომ რუსული მატიანეები არაფერს ამბობენ იმაზედ, რომ რუსის მთავარი გიორგი, ანდრია ბოლოლიუბსკის შვილი იყო თამარ მეფის მეუღლეო და ამიტომ ეს ამბავი თითქოს არა სჯეროთო რუსის ისტორიკოსებს. ამის დასამტკიცებლად, (რომ თამარ მეფის პირველი მეუღლედ სწორედ რუსის მთ. გიორგი იყო), უფ. წყალტუბელს მოჰყავს რამდენიმე მოაზრება, ისე როგორც ამ გვარ შემთხვევაში სხვა მწერლები სჩადიან ხოლმე რამე საეჭვო და საბაასო აზრის გამოსაძიებლად და დასამტკიცებლად. ამ ამბის გამოსაკვლევად უფ. წყალტუბელს მოჰყავს ქართული და რუსული მატიანეებიდგან ისტორიული საბუთები; თითონ ამბობს რამდენიმე მოაზრებას, ზოგს მათგანს ამყარებს რუსულსა და ქართულს მატიანეებში ამ საგნის შესახებ მოხსენებულს სახელების შეფარდებაზედ, და ერთის სიტყვით იკვლევს ამ ამბავს რამდენადაც კი შესაძლებელია წესიერად. ამ გამოკვლევის უწესოებაზედ ფუტკარ-კრაზანაც არას ამბობს, ხოლო აქა იქ მხოლოდ სამს უთავბოლოდ ამოგლეჯილ ადგილებს იღებს და სწამებს მათ დასკვნაში უჯერობას და დასცინის სილოგიზმოებს. რომ აქ არა არის რა უჯერო, თვითონ ჩვენ დავინახავთ. აი ეს სამი ფუტკარ-კრაზანისაგან შენიშნული ადგილი.

უფ. წყალტუბელი ამბობს, რომ როგორც ქართული და რუსული მატიანეები მოგვითხრობენ, ეს ორი პიროვნება: თამარ მეფე და მთ. გიორგი ბოლოლიუბსკი ერთსა და იმავე დროს სცხოვრებდნენო; მაშასადამე ა მ მ ხ რ ი თ მათ მეუღლებაზედ წინააღმდეგი არა ითქმის

რაო. ეს აზრი რომ სხვა სიტყვებითა ვსთქვათ, ასე გამოვა: ეს ორი პიროვნება რომ სხვა და სხვა დროს ეკუთვნოდნენ, მაშინ იმათ შეუღლებაზედ ბევრი მოსაზრების თქმა აღარ დაგვჭირდებოდა და პირველივე შეხედვით ცხადი იქნებოდა, რომ გიორგი ბოგოლიუბსკი თამარ მეფის ქმარი ვერ შეიქმნებოდა, რადგან ერთი ერთ დროს სცხოვრებ-და მეორე—მეორეს დროს, ანუ ფუტკარ-კრაზანისთვის უფრო გასაგებად ვსთქვათ: ერთი მაშინ მკვდარი იყო, როდესაც მეორე სცხოვრებდა ქვეყანაზედ. ეს, მგონია, შეიძლება ითქვას და აქ არც უწესო დასკვნაა და არც უჯერო სილლოგიზმო.

შემდეგ უ. წუალტუბელი ამბობს: რაკი გსევოლოდმა განაძო თავის ქვეყნიდგან გიორგი, მას შემდეგ რუსული მატიანეები იმას აღარ ისხენებენ, რადგან ან აღარა იციან რა იმის მოღვაწობაზედ და ცხოვრებაზედ და ან იმიტომ, რომ აღარა მნიშვნელობა არა აქვს რა მას (მთ. გიორგის) რუსეთის ისტორიულ ცხოვრებაში. ამიტომ: თუ რუსის მატიანეები არას ამბობენ მთ. გიორგისა და მეფე თამარის შეუღლებაზედ, ეს იმის წინააღმდეგ საბუთად ვერ ჩაითვლება, ვითომც გიორგი არა ყოფილიყოს მართლა თამარ მეფის ქმრად... მგონია, არც აქ არის რამე უწესოება დასკვნაში.

შემდეგ კიდევ ამბობს უ. წუალტუბელი: რუსეთის მთავრები ისეთი მოუსვენარნი იყვნენ, რომ არავის არას შეარჩენდნენო, და აგრეთვე განძევებული გიორგი თავის სამკვიდროს მუქდად არ შეარჩენდა თავის მტერს—განმძევებელს გსევოლოდსაო, თუ რამე უკეთესი, თბილი ადგილი არსად ექოვნაო იმას; და რადგან სხვა მოსაზრებაები და ჩვენი მატიანეც ამტკიცებსო, მაშ რაღა წინააღმდეგი საბუთი გვაქვსო, რომ არ მივიღოთ, რომ ეს თბილი ადგილი იყო სწორედ საქართველო და თამარის შეუღლეობაო. მგონია, არც ამ მოსაზრებაშია უჯერო დასკვნა, და ფუტკარ-კრაზანას კი მეტად გამხიარულებულა ამ დასკვნაზედ და ამ აღტაცებას ერთი უთავბოლო, მოუფიქრებელი, სწორედ მწერული მახვილობა წარმოუთქმევინებია იმისთვის, სახელდობრ აი ეს: «დღემდის მე დარწმუნებული ვიყავ ამაში (თამარ მეფის და გიორგის შეუღლებაში). მაგრამ ახლა, უფ. წუალტუბელის საბუთებს და სილლოგიზმებს შემდეგ, მართალი გითხრათ, ეჭვში შევედი: იქნება,

მართლა, თამარ დედოფლის ქმარი სრულიად გიორგი არა ყოფილა?» ეს მახვილგონიერება შთაუგონებია ზევით მოყვანილ სამ დასკვნას, თუ სიღრმიზმოს და ეჭვი ჩაუდვია უფ. ფუტკარ-კრაზანისთვის თამარ მეფისა და გიორგი ბოლოლიუბსკის შეუღლებაზედ!! ისმინეთ და ჰსაჯეთ: მწერული არ არის ეს მსჯელობა, მაშ რა არის?

ამ გვარადვე მწერულად ბაასობს იგი შესახებ კუხელისა და შემდეგ ბაასისა უძღვნის მას ლექსს, რომელშიაც მისი სახელიდგან გამოჰყავს მისი მ კ ვ ა ხ ე . . . . . . და შეწყალების კილოთი ალაპარაკებს კუხელს თავის ვინაობას.

ამ შეხებაში მწერულ თვისებასთან სხვა სულიერის თვისებაც არის შეერთებული მის მთხზველში, და ამიტომ ამაზედ ლაპარაკი არა ღირს. მხოლოდ ეს კი უნდა დავინანოთ, რომ ჩვენ ლიტერატურაში ეს მწერული მთხზველები ურევიან და საზოგადოებას ებაასებიან თავისი მწერული...... ღმერთო, გვიხსენ ჩვენ მწერ-გაცებისაგან. თუმცა აქ შეიძლებოდა გაგვეთავებინა ფუტკარ-კრაზანაზედ ლაპარაკი, მაგრამ ცოტა კიდევ შევიცადოთ.

ფუტკარ-კრაზანა კრაზანულად არის გასკლებული იმ კუხელის სიტყვებზედ, რომელიც «კრებულის» გამომცემლის შესახებ არის ნათქვამი და «დროების» რედაქტორზედ, როგორც «კრებულის» თანამშრომელზედ. ამ ალაგს ფუტკარ-კრაზანა სწორედ ისეა გაცხარებული და მზა მთელი ქვეყანა დაჰშხამოს, როგორც გაცხარდება ხოლმე ნამდვილი კრაზანა, როდესაც იმას უხეირო ფაცაფუცს და ბზუილს შეურყევს ვინმე. დიაღ, კუხელის სიტყვებს ძალიან შეურყევია ამ მწერული-მწერლის უხეირო ფაცა-ფუცი და ბზუილი და ისე გაუცეცხლებია, რომ ბრაზებისაგან ფრიად ადვილი დასანახი და გასაგები ველარც დაუნახავს და ველარც გაუგია.

მე ვსთქვი ამასწინ, რომ ჩვენი სალიტერატურო ასპარეზი ძალის მალად არის გადიდებული მეთქი, რომ ჩვენ არც მწერლები გვყავს იმდენი და არც მკითხველები, რომ ქმნას დროგამოშვებით გამოცემას ეწვნენ მეთქი... 1869-წელში, როცა «მნათობის» გამოცემა გამოცხადდა, «დროების» გამომცემელი, — მე აქ სიტყვის შეცთომა მომივიდა, მე უნდა მეთქვა, და ახლა ვიტყვი «დროების» რედაქტორი (ახლან-

დელი «კრებულის» რედაქტორი და გამომცემელი) ამ აზრისა იყო მეთქი: სახელდობრ იმისა, რომ ჩვენ არც მკითხველები და არც მწერლები გვყავნდა იმდენი, რომ ხ უ თ დ რ ო-გ ა მ ო შ ვ ე ბ ი თ ს გამოცემას ჰყოფნოდნენ და მაშასადამე «მნათობის» გამოცემა იმის აზრით საჭირო არ იყო მაშინ. ახლა კი, როდესაც არც მკითხველები მოჰმატებიან და არც მწერლები—ერთი ორო კი რა სათქმელია—ახლა კი, თითქმის სრულებით იმ გვარსავე გარემოებაში, იმავე პიროვნების აზრით «კრებულის» გამოცემა შესაძლებელად შეიქმნა—და კიდეც გამოსცა მეთქი. ამაზედ, მგონია, წინააღმდეგი არა ითქმის რა და აშკარად სჩანს ულოღიკობა «კრებულის» გამოცემაში. მაგრამ უფ. ფუტკარ-კრაზნას კი მოჰყავს ეს სურათად ჩემის შეცდომილებისა და შემდეგ გაბრაზებით ამბობს, იგავით, რომ «მნათობის» გამომცემელი უხეირო იყო და იმიტომ შეიძლებოდა ეთქვა ვისმე უსაჭიროება «მნათობისაო» (ესეც კიდევ ლოღიკა გახლავსთ), ხოლო «კრებულის» გამომცემელი კი ყოჩაღიაო, და ამიტომ ყოველთვის საჭიროა იმის გამოცემაო, თუნდ ექვსი კი არა ორმოცი გამოცემაც იყოსო (ეს უკანასკნელი სიტყვები შეიძლება გამოიყვანოს კაცმა ფუტკარ-კრაზანის სიტყვებიდგან).

დიაღ, დიდი საბუთია; მაგრამ ჩვენ კი რას დაგვაჯერებინებს ამ გვარი საბუთების სმენა, როდესაც სათითაოდ ვიცნობთ თავიდგან ბოლომდის, აღმა-დაღმა და გარდი გარდმო ყველა ჩვენი გამოცემების გამომცემლებს და რედაქტორებს და კარგა ახლოს გვაქვს გაცნობილი იმათი ყოჩაღობა და საქმიანობა. მხოლოდ ამას კი ვიტყვით, რომ ყველა ეს რედაქტორები თუ გამომცემლები ერთმანერთს არას ჩამოუვლენ და «კრებულის» გამომცემელიც ამ შემთხვევაში, ჩვენის აზრით, სხვა გამომცემლებზედ უკეთესი ხუროთ-მოძღვარი არ არის ლიტერატურული შენობისათვის. ამასთან დაჰვიწყებია უ. ფუტკარ-კრაზანას, რომ ჩვენი დროგამოშვებითი გამოცემების გარემოება ისეთია, რომ გამოცემები რედაქტორსა და გამომცემლებზედ ვერ იქმნებიან სრულებით დამოკიდებულნი, არამედ თანამშრომლებზედაც —თითქმის ერთნაირად. ამას თვით საქმით დაანახავს თითონ ფუტკარ-კრაზანაც, თუ კი არა დაუშლის რა იმას ამის დანახვას და გაგებას.

ამაზედ არა ღირდა ამდენი ლაპარაკი მაგრამ არც შემდეგი იქნება ემაზედ ღირსეული. მე ვსთქვი, რომ უფ. მესხმა თავის «დროებას» უგდოს ყური და მისთვის იშრომოს რიგიანად, ისა სჯობია, ვიდრე სხვაგან შრომის აღთქმასა მეთქი. ამაზედ უ. ფუტკარ-კრაზანა საშინლად ჯავრობს და მატყუობინებს, რომ სხვაგან, განათლებულ ქვეყნებში, ერთი და იგივე პირი რამდენიმე ჟურნალისთვის, თუ გაზეთისთვის შრომობს, და ამასთან, რომ მე არ ვიცი, ვითარმედ საჟურნალო სტატია სხვაა და საგაზეთო——სხვა. მე ვიცი თუ არა ეს ფუტკარ-კრაზანის სიბრძნე—არას ვიტყვი მხოლოდ ეს კი კარგა ბეჯითად ვიცი, რომ ჩვენი მწერლები ფუტკარ-კრაზანული და განათლებული ქვეყნის მწერლები ძალიან შორი-შორს მოვლენ ერთმანერთთან, ჩვენმა მწერლებმა რომ ერთი ჟურნალის ან გაზეთის შველა შეიძლონ, ისიც დიდი ღვაწლი იქნება იმისგან, და რამდენიმე გამოცემაში შრომას იმისი ტვინი ვერ აიტანს; ამასთან ისიც კიდევ ნამდვილად ვიცი, რომ «დროებას» და «კრებულს» შუა რაღაცა კავშირია და რომელსაც რა სტატია მამოადგება იმასა ჰბეჭვდენ, მაგრამ ის კი ძალიან გაკვირვებს, რომ მესხის სტატია, რომელიც საგაზეთოდ ძალიან კარგად გამოდგებოდა და «დროებას» უფრო არგებდა—დაიბეჭდა «კრებულში», ხოლო «დატუსაღებული ნაილია», რომელიც «კრებულისთვის» უფრო გამოდგებოდა—დაიბეჭდა «დროებაში». თუ ასეთი კავშირი აქვს «დროებას» და «კრებულს»—ძალიან მოაზრება უსმარიათ... საკვირველ არიან საქმენი შენნი, უფალო!

დასასრულ ორიოდე სიტყვა ვსთქვათ. ამ ფუტკარ-კრაზანისა «დროებას» დიდი იმედი მისცემია, ასე რომ «მნათობზედ» აღარავის არ ალაპარაკებს სხვას. მარტის «მნათობის» გაჩხრეკას ძალიან იქადოდა ფუტკარ-კრაზანის მეოხებით და ჯერაც არსად არის. მაგრამ მე ურჩევდი «დროებას», როცა ფუტკარ-კრაზანის სტატია მოუვიდეს, ან თითონ სწერდეს, კარგა წაიკითხოს და კარგა გაიგოს ის, რაზედაც სწერს, თორემ ასე უთავ-ბოლოდ და გაუგებრად ფაცა ფუცი და ბზუილი ან თითონ რაში გამოადგება და ან საზოგადოებას რას ასწავლის?

აქ კიდევ ბევრი რამ მინდოდა მეთქვა, მაგრამ მეორე შეხვედრა-

მდის იყოს. ახლა ჩვენ დარბაისელ «ცისკარზედაც» ვსთქვათ რამე, —ეს როგორღაც დაავიწყდა ყველას.

ამ წლის პირველი სამი თუ ოთხი წიგნით რომ ვსაჯოთ (შემდეგი წიგნები არ გვინახავს), «ცისკარი» წარმოგვიდგენს ეხლა ერთს დაძველებულს ბომონს, რომელსაც ქურუმები, შიშით რომ ზედ არ დაგვექცესო,—სულ გასცლიან, ერთ თავგამოდებულ მსცოვან მის გამაასხლებელს ქურუმს გარდა, და ერთიც მართლ-მორწმუნე მწირისა. ეს ქურუმი და მწირი, რაც კი ძალა და ღონე აქვსთ, ძველის ძველ ამბებს მოუთხრობენ თავის ოციოდე მორწმუნეს, რომ ამით ამ ბომონის სარწმუნოება გაუცხოველონ, და ხან და ხან კიდევ,—რომ ეს ოციოდე მორწმუნეც არ ჩამოგვეცალნენო,—უგმევენ იმათ გუნდრუკსა და მურს და, რაც კი შეუძლიანთ, უხვად უგზავნიან მათ ლოცვა-კურთხევას. ჩემის აზრით, ეს ძველი დაფუტუროებული ლიტერატურული ბომონი თავის ერთი წყვილი ქურუმ-მწირით ამ გულკეთილობით და თვისი ლოცვა-კურთხევის მეოხებითღა არსებობს, და შესს მტერს მოუვიდეს საქმე, ჩემო მკითხველო, რომ იმას საქმე მოუვა, რომ მისმა მორწმუნეებმა ამ ლოცვა-კურთხევის ყალბობა როგორმე დასწომონ მას,—მაშინ ვეჭობ, რომ ბომონმა გასძლოს კიდევ რამდენიმე ხანი და თავის დაქცევის გრიალით არ გასდევნოს თავის-გან სიცოცხლის დასაცველად ის ერთი წყვილი ქურუმი და მწირი....

კუჩელი.

1871 წ. აპრილი.

თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი

დებული და ამ საზღვრის გადაბიჯება სასტიკს სასჯელს მოასწავებ-და — მეტადრე დაბალი წოდებაებისათვის. ასე რომ ხელოსანს ან მი-წის მუშას ქურუმთან რამე კავშირი დაეჭირა — სიკვდილით სჯიდ-ნენ ან ამახინჯებდნენ საძაგლად. ყველა წოდების ჩამომავალნი იმავე წოდებაში უნდა დარჩენილიყვნენ სამუდამოდ, რაც უნდა ნიჭიცა ჰქონოდათ სხვა ხელობისათვის და წოდების საქმისათვის, და ერთი სურვილი თავის წოდებიდგან გამოსვლისა სასტიკს სასჯელს მიაყენე-ბდა დამნაშავეს: სიკვდილს, ცხვირის და ყურების მოჭრას, ენის მოჭრას და სხვა ამ გვარს. — ახლანდელ ინდოელებშიაც ამ გვარი საზოგადოობრივი წყობაა: იქაც წოდებაებად, ან კასტებად, არიან გაყოფილნი, და ერთმანერთში წოდებაებს არავითარი ერთობა არა აქვსთ და სასტიკი კანონებით არის აკრძალული რაიმე გვარი ერთმანერთშორისი კავშირი ან ერთი წოდებიდგან მეორე წო-დებაში გადასვლის სურვილი. აგრეთვე ყველა აღმოსავლეთის სახელ-მწიფოები ასე ან მეტნაკლებად არიან დაყოფილნი წოდებაებად და ცხოვრებაც ყველა წოდებას საკუთარი და სხვა წოდებისაგან განსხვავე-ბული აქვს.

როდესაც მთელი ხალხი ასეა განაწილებული პოლიტიკურ თუ ნივთიერებაებით ცხოვრებაში, მაშინ იმ ხალხში, რაღა თქმა უნდა, ურთიერთშორისი ზნეობითი კავშირი და თანაგრძნობაც არ იქნება; პირიქით — იქნება საზოგადო, შეგუბებული, სიძულვილი დაბალი წო-დებაების მაღალი წოდებაებისადმი და აგრეთვე დესპოტიური მედი-დურობა და მტარვალობა მაღლებისა დაბალი წოდებაების შესახებ. აბა, ამ გვარს საზოგადო წყობაში რა საზოგადოობრივი ცხოვრება უნ-და გამოჰნახოს კაცმა; განა ან კი ამის აჩრდილი მაინც არის შესა-ძლებელი?! საზოგადო ცხოვრებაში პირველი საჩინო მოვლინება ის არის, რომ ყველა ერთმანერთისკენ ილტვის და ერთად საქმის გაკე-თებით ცდილობს, რომ ამ გვარად უფრო ჩქარა გაიადვილონ საზო-გადო ცხოვრება; ამ გვარ წყობაში კი (როდესაც კასტურ წოდებაებად განაწილებულია საზოგადოება) ერთმანერთისკენ ლტოლვის ნაცვლად ვხედავთ ერთმანერთისაგან განლტოლვას და ერთად საქმის გაკეთების მაგიერ, (რომ საზოგადო ცხოვრება გაიადვილონ) — ვხედავთ, რომ